


K<sup>223294</sup>  
3

მან რბისთავი



„რეკამბაჯი სპატსელი, ქანთულად ნათახგმანები“

ანუ

„ვეფხისტყაოსნის“

სიუჟეტის მეორე


განგოვილება

თამარ ქრისტაძე



„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“  
ანუ  
„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განხილვა

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში  
აქვს ქსია  
1996წ.



გამომცემლობა „ნეკერი“  
1995



ՑԸԴՕԶ [հայերազգի]

հայերազգի, Լուս



**ՑԵՆՏՐԱԿԱՆ ԶՈՒՄՆԻ ԶԱՅՐԱԹԻՐՈՒՄ**

Պեմբեթա № 388

Երաթի 500

© տաթար րերստաթի — 1995

## წინათქმა

ახალს არაფერს ვიტყვი, იმ ჭეშმარიტებას თუ ვაღიარებ, რომ რუსთველის გენიალური პოემის სათაური ნაწარმოების მთავარ გმირს ტარიელს გულისხმობს. ისიც ცნობილი ფაქტია, სიტყვა „ვეფხისტყაოსანი“ ერთმნიშვნელოვანი რომ არ არის (იმ გაგებით, რომ ისტორიულად მსოფლიოში არსებობს ვეფხისტყავემოსილობის რამდენიმე სიმბოლური გააზრება, რამაც თავის მხრივ ლიტერატურაშიც პოემა ასახვა). მაგრამ მე დამებადა კითხვა: რუსთველის პოემაში სათაურის მრავალმნიშვნელოვნებას ხომ არა აქვს დაკისრებული ფუნქცია სიუჟეტის მრავალპლანიანობის მინიშნებისა; ე.ი. ვეფხისტყავემოსილობის სხვადასხვა გააზრებას ხომ არ შეესაბამება პოემის სიუჟეტის სხვადასხვა განზომილება (შინაარსი, წაკითხვა). ამაზე დაფიქრების საბაბი მომცა პოემის მთელ განწყობლებაში ვეფხისტყავემოსილობის ინდურ სიმბოლოდ გააზრების შესაძლებლობა,<sup>1</sup> რაც ფაქტურად, საფუძვლად დაედო ჩემს მიერ პოემის სიუჟეტის მეორე განზომილების (მეორე შინაარსის, მეორე წაკითხვის) ძიებას. ამ მიმართებით ჩემი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე შესავლის ცნობილმა სტროფმა „ესე ამბავი სპარსული“ ... დაეიწყებ ამ უკანასკნელით.

მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ მეცნიერული, რუსთველოლოგიური ნაშრომის პრეტენზიით არ ვთავაზობ მკითხველს ჩემს ნააზრევს. მე მხოლოდ იმ სიუჟეტის წარმოჩენა დავისახე მიზნად, რომელიც თავდაპირველად „ვეფხისტყაოსანის“ ნაცნობი ამბის მიღმა ცალკეულ ფრაგმენტებად დავინახე და რომლის მთლიანობა ჩემს წინაშე თანდათან გამოიკვეთა მისი სტრუქტურის შეცნობის კვალდაკვალ. შევეცდები თანმიმდევრულად წარმოვადგინო ჩემი ძიების პროცესი.

### „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“

ეს საყოველთაოდ ცნობილი სტროფი გზის მაჩვენებელი ნიშანსვეტივით დგას პოემის დასაწყისში. მაგრამ სტროფის პირველი სამი სტრიქონი დამატკეველ ინფორმაციას შეიცავს და უფრო გზის ამრევის როლს ასრულებს, ვიდრე გზის გამკვლევისას (უთუოდ წინასწარგამიზნულად):

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,

1 - სიტყვა „ვეფხისტყაოსანის“ სპარსულ სიმბოლოდ გააზრებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნაწარმოებში, მაგრამ იგი მთლიანად რჩება პოემის მხატვრული განზომილების ფარგლებში და ამდენად, სიუჟეტის მრავალპლანიანობის შექმნაში არ მონაწილეობს (ამის შესახებ ცალკე გვექნება მსჯელობა). იგივეს ვიტყვდი პოემაში ვეფხისტყავემოსილობის სხვა სიმბოლური გააზრების შესაძლებლობაზე. ეს ნაწარმოების სულ სხვა ასპექტია.

სპგ-2000  
შეამოწმებულია

ეკოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები, ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები.“ (9)

ცნობილია, რომ ვახტანგ VI-მ, სპარსული ენისა და დიპლომატიური მკოდნემ, დაძებნა „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ფაბულა და აღნიშნა, რომ „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“; ისიც დაასკვნა, რუსთველმა „ამბავიც თვითონ გააკეთა“ და ლექსადაც თვითონ გარდაქმნაო.

აკად. ნ. მარის გულმოდგინე ძიებამაც ვერ აღმოაჩინა სპარსულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი. ჩვენი თანამედროვე რუსთველოლოგების მიერ ხომ საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ პოემა ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ამასთანავე, მიჩნეულია, რომ ამბის „სპარსულად“ გამოცხადება ჩვეულებრივი ალეგორიის ხერხია: უცხო სახელშერქმეული სამეფოების მიღმა რუსთველის დროინდელი საქართველო დგას მისი ყოფით, ცხოვრების ზნით, ფილოსოფიით, ეროვნული ხასიათებით და სხვ. და სხვ.

და თუ ახლა ისევ ამ სტროფზე ჩამოვადგე სიტყვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წარმომიდგა შესაძლებლობა უკვე მიკვლეული ჭეშმარიტების სხვა ასპექტში გააზრებისა. ეს შედეგი მოპყვა ჩემს ცდას, - გავრკვეულიყავი საკუთრივ სტროფის შინაარსში და შემეცნო ლოგიკა, რომლითაც ეს შინაარსი უკავშირდება შესავლის საერთო კონტექსტს.

თუ სტროფის შინაარსს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ (და პირველი წაკითხვისას სწორედ მისი პირდაპირი მნიშვნელობა აღიქმება), უნდა ვერწმუნოთ აზრს, რომ ნაწარმოები, რომლის წინასწარ დახასიათებასაც იგი იძლევა, სხვა არაფერია, თუ არ სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი, პოეტის მიერ ნაპოვნი და გალექსილი. პოეტის ეს განცხადება ერთნიშნა გააზრებას გვთავაზობს, თუ მის დასკვნით ფრაზას: - „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“, - ასევე ერთნიშნად გავიგებთ. სიტყვა „საჭოჭმანების“ ერთ-ერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის „საქები, სასახელო“ (იუსტ. აბულაძის ლექსიკონი). თუ სხენებულ ფრაზაში სიტყვის ამ მნიშვნელობას ჩავდებთ, მაშინ საკუთრივ სტროფის ლოგიკაში ყველაფერი რიგზეა: - გამოდის, რომ პოეტს ქართულად ნათარგმნი სპარსული ამბავი უპოვია, გაულექსავს და ამ საქმეს სასახელოდ მიიჩნევს.

ეს სტროფი ამ შინაარსითაა შესული „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ თარგმანში (იხ. ს. იორდანიშვილის და ელისაბედ ორბელიანის ფრანგული თარგმანი; მარჯორი უორდროპის ინგლისური თარგმანი). მაგრამ ყურადსაღებია, რომ თარგმანებშივე აისახა ის დაუჭვება, რომელსაც იწვევს სიტყვა „საჭოჭმანების“ ერთნიშნა გაგება. მაგ. მარჯორი უორდროპს სქოლიოში მითითებული აქვს, რომ გარდა PRAISEWORTHY (საქები)-სა, ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს EQUIVOCAL (ორაზროვანი, ეჭვის აღმძვრელი,

1 - „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები მითითებულია 1951 წლის გამოცემის მიხედვით.

საგონებელში ჩამგდები). ნიშანდობლივია მთარგმნელების მიერ სიტყვა „საჭოჭმანების“ სხვა მნიშვნელობათაგან სწორედ იმ მნიშვნელობის გერდათ-  
მობა, რომელიც სტროფის მოელ შინაარსს საგონებელში ჩამგდებთან დაკ-  
მათოდ წარმოგიდგენს. საქმე ისაა, რომ ეს შინაარსი, თითქოს უფლებს  
ამოყარდნილია შესავლის კონტექსტიდან.

დავიწყოთ იმით, რომ რუსთველი შესავალშივე თავად აბათილებს ამ  
სტროფში ჩადებული ინფორმაციის პირდაპირი მნიშვნელობით გაგების  
შესაძლებლობას. პოეტის მიერ თამარის მისამართით თქმული – „მისი სახელი  
შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“ (19), ეწინააღმდეგება პოემის ამის სპარ-  
სულიდან ნათარგმნობას; და არა მარტო ეწინააღმდეგება, იმის უფლებსაც  
არ გვიტოვებს, რომ ვივარაუდოთ, თითქოს პოემის ფაბულის „სპარსულ ამ-  
ბად“ გამოცხადება უბრალო ალგორითის (შეფარვის) ხერხად გამოყენებინოს  
პოეტს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ალგორითს შესავალშივე არ გაში-  
ფრავდა (არ იტყოდა, – პოემაში თამარს ვაქვებ შეფარვით).

თუ შესავლის კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“  
სპარსულიდან თარგმნილი ამბავი არ არის, მაშინ „ნათარგმანები“ ფაბულის  
პოენაც ხომ ფიქცია უნდა იყოს. არადა, რუსთველი ამბობს „ვპოვე“.  
სწორედ აქ წარმოიქმნება მოურიგებელი წინააღმდეგობა, რომელიც უჭვე-  
ლად იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიტყვა „ვპოვე“ და მისთან ერთად, სტროფში  
შემავალი სხვა სიტყვებიც პოლისემიურია და ერთობლივ სხვა წაკითხვას  
საჭიროებენ. ეს სტროფი დელფოს ორაკულის წინასწარმეტყველებასავეთ,  
მისი მეორე მნიშვნელობის საძიებლად აღგვირავს...

მართლაც, სიტყვას „ვპოვე“, გარდა რისამე პოენისა, აღმოჩენისა,  
სხვა აზრობრივი დატვირთვაც აქვს ძველ ქართულში: იღია აბულაძის  
„ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ მოცემული „პოენა“ ძირისაგან წარმო-  
ებული სიტყვების – „მოპოენებული“, „მოპოენებული“ და სხვათა შეფერებით  
ირკვევა, რომ ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა „გამოგონება, შეთხზვა“  
ყოფილა; აქ სიტყვა „მოგონილი“-ს სინონიმად ნახმარი „მოპოენებული“-ს  
საილუსტრაციოდ ძველი ტექსტის ასეთი ნიმუშია მოყვანილი: „აქუნდაცა მას  
სიმაღლე ჭეშმარიტი და არა მოპოენებული“ (ე.ი. ჭეშმარიტი სიმაღლე სქონდა  
და არა მოგონილი, შეთხზული). ცხადია, მიმღობა „მოპოენებული“ ამ  
მნიშვნელობას ისე ვერ შეიძენდა, თუ ზმნას „პოენა“ არ ექნებოდა ასეთი  
გატება.

„ვპოვე“-ს მეორე მნიშვნელობის (გამოვიგონე, შევთხზე) შემოტანით  
მთლიანად იცვლება სტროფის გააზრება: თუ პოეტი ამბობს, – ეს სპარსული  
ამბავი მე გამოვიგონე, მე შევთხზეო, მაშინ ცხადია, რომ იგი გულისხმობს  
არა რაიმე კონკრეტულ სპარსულ ფაბულას, არამედ სპარსული ყაიდის ამ-  
ბავს. სპარსული ყაიდა სიუჟეტისა, ტრადიციული აღმოსავლური ხატოვანებით  
ხორცშესხმული, რომ მართლაც საცნაურია „ვეფხისტყაოსანში“, ეს უაქტია.  
მაგრამ მარტო ამის დასადასტურებლად რომ არ შეურქმევია პოეტს

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის „ამბავი სპარსული“, ამას ცხადყოფს მასზე დამინებული სიტყვა „ნათარგმანები“.

ცხადია, ამ ახალ კონტექსტში „ნათარგმანები“ უკვე აღარ შეიძლება ნიშნავდეს ერთი ენიდან მეორეზე თარგმნილს. აქ სიტყვის სხვა მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე. საბას განმარტებით „თარგმანი არის იგავიანი სიტყვის გაცხადება“; ასევე არის იგი იგავიანი ამბის გაცხადება. იგავის „გაცხადება“ თავდაპირველად რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა. ცნობილია ბიბლიის იგავიან ამბავთა „თარგმანები“. რელიგიური თარგმანება ეყრდნობა იმ წინამძღვარს, რომ მატერიალური, გრძნობადი სამყარო არის მის მიღმა არსებული სულიერი სამყაროს იგავური (ალეგორიული) გამოვლინება. ამ მნიშვნელობით თარგმანება ნიშნავს იგავის პირველსაწყისის გაცხადებას, ანუ მოვლენის პირობითი (იგავური) ფორმიდან მის არსთან, დედანთან დაბრუნებას.

სიტყვების „ვპოვე“ და „ნათარგმანები“-ს მეორე მნიშვნელობებმა შექმნეს სტროფის ახალი კონტექსტი, რომელშიც „ამბავ სპარსულს“ მიეცა ახალი გააზრება – პოეტის მიერ შეთხზული იგავიანი ამბავი; ამავ დროს, სიტყვა „ნათარგმანებმა“ ისიც გვამცნო, რომ „სპარსულ ამბავ“ წოდებულ იგავიან ამბავთან ერთად პოემაში მისი ქართული პირველსაწყისიც არის გაცხადებული.

ცხადია, პოეტს იმის თქმა არ სჭირდებოდა (და ისიც ქარაგმულად), რომ მხატვრული ამბავი ცხოვრების სინამდვილის თავისებური ანარეკლია; ეს ხომ თავისთავად იგულისხმება ლიტერატურული ნაწარმოების სპეციფიკაში. გამოდის, რომ აქ პოემის ცალკეულ ეპიზოდებში არეკლილ ისტორიულ სინამდვილეზე ან გმირთა ხასიათების ქართულობაზე კი არ სვამს მახვილს ავტორი, არამედ იმ ფაქტზე, რომ პოემის მთელი ფაბულა არის იგავური ფორმა ქართულ სინამდვილეში მომხდარი ამბისა, და რომ პოემაში ჩადებულია ამ სპარსულფორმიანი იგავის ქართული დედანიც. ეს კი აღიქმება, როგორც მინიშნება იმისა, რომ პოემის სიუჟეტს აქვს მხატვრულისაგან განსხვავებული მეორე წაკითხვა (შინაარსი), ანუ მეორე განზომილება.

დიდი მასშტაბის მქონე ლიტერატურულ-ფილოსოფიურ, ან ფილოსოფიურ-რელიგიურ ნაწარმოებებს რომ მრავალპლანიანი სტრუქტურა აქვთ, ამას მსოფლიო ლიტერატურა ოდითგანვე გვიდასტურებს: ერთი და იგივე სიტყვა, ხატი თუ კონტექსტი ერთი ნაწარმოების ფარგლებში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს მისი მხატვრული, ფილოსოფიური ან რელიგიური გააზრებისას, მასში ჩადებული სიმბოლოების თუ ალეგორიების ამოხსნისას და სხვ. და სხვ. მრავალპლანიანობის მაგალითები უხედადა ძველ ინდურ ლიტერატურაში; ამისი ნიმუშია დანტე ალიგიერის ნაწარმოებები და მრავალი სხვა.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მრავალპლანიანობის ვარაუდი, როგორც შემოთავაზებულია ადვინიშნე, თავდაპირველად გამიჩინა პოემის სათაურის ინდოურ სიმბოლოდ გააზრების შესაძლებლობა.

ქართული

## „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განხორციელებაში ანუ ვეფხისტყაოსნილი ინდოელის შთამბეჭდავი ხატვა

ცნობილია, რომ ვეფხის<sup>1</sup> (ან სხვა გარეული ცხოველის) ტყავით შემოსვა ძველ ინდოეთში ცხოვრებიდან განდგომის სიმბოლოდ ითვლებოდა. მე, ჩემდათაჲდ, „მაპაპარატას“ და „რამაიანას“ კითხვისას ამ ფაქტის აღმოჩენამ მაშინვე „ვეფხისტყაოსნისკენ“ შემომბარუნა: ტარიელი ინდოელია; ამასთანავე, იგი ერთხანს ცხოვრებიდან განდგომილიცაა თავისი სატროს დაკარგვის გამო, და იმ განდგეილებივით, - ინდურ ეპოსებში რომ გვხვდებიან, ხან ირმის და ხან ანტილოპის, ხანაც ვეფხის ტყავით შემოსილები, - ტყე-ღრეში ცხოვრობს.

მაგრამ მსგავსება გარეგნული აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ თვით ტარიელი ვეფხის ტყავით შემოსვის მიზეზად სულ სხვა გარემოებას ასახელებს:

„რომე ვეფხი შევნიერი სახედ მისად დამისახავს,  
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“. (657).

ტარიელისათვის ვეფხი და ვეფხის ტყავი ესთეტიკური ხატვა და არა განდგომილობის სიმბოლოა; უკვე ეს ვეფხი ტარიელს თუქ სი ცრვოლ აგონებს. და ეს არაერთხელ დასტურდება პოემაში: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარალსა ვეფხი პირგამეხებულნი“-ო (522) ამბობს ტარიელი, როცა მისი საქციელით განრისხებულ ნესტან-დარეჯანს იგონებს, ხოლო ავთანდილს ამგვარად უყვება ღომ-ვეფხის დახოცვის ამბავს:

„ხრმალი გატყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;  
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვეავს ცეცხლითა ცხელითა;  
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლითა მღვრელითა,  
ვეღარ გაუძულ, იგიცა მოკეკალ გულითა ხელითა. (911).

რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,  
გავგულისხმი, მოვიქნიე, გეარ მიწასა, დავაწყვიდე;  
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე,  
სული სრულად არ ამომხდეს, რას გიკვირს რომ ცრემლსა  
ვკლვირდე.“ (912).

1 - „ვეფხი“ ჩემი გაგებით არის ვეფხე (тигр, tiger) და არა ჯიქი (барс, panther).



ყველა ცალკეულ ამბავში ცხადდება არა განდევნილის, არამედ შმაგ მოჯინურის დამოკიდებულება ცოცხალი ვეფხისა და ვეფხის ტყავის მიმართ.

რუსთველი თავისი პოემის გმირისათვის თავად ქმნის მხატვრულ სიმბოლოს, რომელიც ისეთი ძალმოხილვებითა განუწილი პოემამ, რომელიც თავდურთ სინამდვილედ იგი იქცევა. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყარო თვითმყოფადი სამყაროა, რომელსაც ღვთაება სიყვარული განაგებს; ტარიელის ინდოელობა მხოლოდ პირობით როლს თამაშობს მოვლენათა მხატვრული აღქმისა თუ გააზრებისას. ძალადობა იქნება, პოემის მხატვრულ ლოგიკას თავს მოახვიო სიმბოლოს ის მნიშვნელობა, რომელსაც პოემის გმირის მიმართება ვეფხის ტყავისადმი ხაზგასმით ეწინააღმდეგება.

მაგრამ ჩემს წარმოსახვაში, პოემის მხატვრული სამყაროს მიღმა და მანც პოემის ფარგლებში, მის სათაურქვეშ, ვეფხის ტყავით შემოსვის გააზრება ჯოტად უკავშირდება ხსენებულ ინდურ სიმბოლოს, რადგან წარმოუდგენლად მიმანია, რომ რუსთველმა არ იცოდეს მისი მნიშვნელობა, და ნაწარმოებში, რომლის მთავარი გმირი ცხოვრებიდან განდგომილი ვეფხისტყაოსნილი ინდოელია, არავითარ როლს არ თამაშობდეს ინდოელის ისტორიული დამოკიდებულება ვეფხის ტყავით შემოსვისადმი. გენიოსი შემთხვევით არ ხმარობს ასეთ მინიშნებებს.

თავდაპირველად სწორედ ამ ლოგიკამ დაბადა ჩემში იმისი რწმენა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს უნდა აქონდეს სინამდვილესთან მიმართების სხვა წახნაგი, სხვა პლანი, რომელშიც უთუოდ იხსნება ინდური სიმბოლოს მნიშვნელობა და დანიშნულება.

ერთხელ, „ვეფხისტყაოსნის“ გაბმული კითხვის დროს, მთელი სიცხადით შევიგრძენი ის საოცრად ორგანული კავშირი, რომელიც არსებობს პოემის შესავალში გაცნობილ რუსთველსა და პოემის მთავარ გმირს შორის. გონების თვალწინ გამოივლია რუსთველის იდემაღმა ბედმა: საქართველოში მისი კვალის არარსებობამ და ჩვენში ღამის რწმენად ქცეულმა პოეტურმა ტრადიციამ, რომ იგი თამარის სიყვარულის გამო გადაიხვეწა სამშობლოდან. და ჩემს წინაშე წამოიჭრა ვარაუდი: რუსთველი საკუთარ პიროვნებას ხომ არ უკავშირებს ვეფხის ტყავით შემოსვის ინდურ სიმბოლოს და ამ გზით, ე.ი. ვეფხის ტყავით შემოსვის ორგვარი გააზრების დაპირისპირებითა და ურთიერთშერწყმით ხომ არ აიგივებს თავის თავს ტარიელთან პოემის სიუჟეტის მეორად განსომილებლაში?

მაგრამ არსებობს კი მყარი საფუძველი ამ ვარაუდის ჭეშმარიტებად აღიარებისათვის?

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ისევ დავსვათ მრავალგზის დასმული კითხვა: ვვაქვს თუ არა ხელშესახები ფაქტობრივი ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ირგვლივ?

პასუხი ერთია - არა!

საქართველოს მატინაჟებში მისი სახელი ხერხოდ არ შემორჩენილა. მას არც მისი თანამედროვე ქართველი პოეტები იხსენიებენ.

რუსთველის ვინაობის ირგვლივ არსებული ყველა ვარაუდის დასაბამი, უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსანია“; პოემის „დასაწყისი“ და „დასასრული“ ერთადერთი პირველწყაროა, რომელიც ცნობებს გენაწელს ანუ ემის ავტორის შესახებ. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით მასზე, „ვეფხისტყაოსნიდან“ ვიცით:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის რუსთველი

ა) „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:

ვის მშორნილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი; (8)

ბ) „დავუკე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ღაბჯარ-სობილი,

აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარჯალიტი წყობილი.“ (7).

გ) „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისად.“ (1665)

დ) „ამირან დარუჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა,

ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.“ (16669).

ე.ი. პოემა გვამცნობს პოეტის გვარს, თუ ზედწოდებას (იქნებ ფსევდონიმს), მის წარმომავლობას მესხეთიდან, და კიდევ იმას, რომ

2. რუსთველი თამარის მიჯნური და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია.

რუსთველის თამარისადმი უსაზღვრო სიყვარული გამჟღავნებულია პოემის „დასაწყისში“. საგულისხმოა, რომ ეს აღსარება არ არის ერთმნიშვნელოვანი, ე.ი. ის მარტო სიყვარულზე კი არ დაღადავებს, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის საოცარ პოეტურ ძაღისხმევას ამ სიყვარულის გამოვლინებად წარმოგვიდგენს: – იმ სტროფში, სადაც პოეტი თავისი ნაწარმოების შექმნის ამბავს ვადმოვცემს ქარამგულად („ეჲ ამბავი სპარსული“), სტროფის ლოგიკური და ემოციური მწვერვალი თამარია: „ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ღაღმან და ღამაზმან ნები“ (9).

სიტყვა „ნები“ ძველ ქართულში „ხელის გულს“ ნიშნავს (იხ.საბას ლექსიკონი). რაც შეეხება სიტყვას „დამმართოს“, იგი ისეთი ძაბვის კონტექსტშია ნახმარი („ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს..ნები“), არ შეიძლება არ იგრძნოთ, – ეს ნები, როგორც ნები ღმრთისა, მაღლით რომ წარმართავს მთქმელს. რაკი თავისი შემოქმედების წარმმართველად რუსთველს მისი ხელ-მქმნელის (მისი გიჟად-მტკვეველის) ნები მიაჩნია, ცხადია, ამით გვეუბნება, – თამარის ხელთდასხმით დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“-ო.

თავის „ხელმქმნელში“ და თავისი შემოქმედების წარმმართველში რომ თამარს გულისხმობს რუსთველი, ეს კიდევ და კიდევ დასტურდება პოემის შესავალში:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:

ვის მშორნილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;

დავუძღვრდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,



ანუ მომცეს განკურნება, „ანუ მიწა მე სამარი.“ (8).

„ვექმენ საქმე“, „ვიქმ საქმეს“, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერას გულისხმობს; რადგან მხოლოდ ამ „საქმის მქმნელად“ გვაცნობს რუსთველი თავს. „ხელობითა“ (სოგიეთთა) ვიქმ ამა საქმესო, – აშობს პოეტს. „მისთვის ვხელობ“ (მისთვის ვარ გაგიუბული), ვისაც სპანი მორჩილებენო. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ „ვის ამორჩილობს ჯარი სპათა“ იმ ორ იშვიათ ეპითეტთანაა, რომელიც მეფურ ძალმოსილებაზე მინიშნებით იხსენიებს თამარს. ყველა სხვა შემთხვევაში თამარი მშვენიერების განსხეულებაა, რომელსაც პოეტის უზენაესი სიყვარული მარავეანდევდევით ევლება გარს.

ეს უზენაესი სიყვარული უშუალოდ ერწყმის პოეზიას; მოჯნური მელექსეში პოეებს თავის ALTER EGO-ს:

„ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,  
ერთი უნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშკობდეს,  
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას ჯქებდეს, მას ამკობდეს,  
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს. (18).

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია;  
ესე მიწნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია  
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია;  
მისი სახელი შეფარვით ქვემოზე მოქქვამს, მიქია“. (19).

ამ სტროფთა თანამიმდევრობის ლოგიკაში და ურთიერთგადაძახილში იგივე აზრის მგზნებარებაა გაცხადებული, რომ რუსთველს ერთი ვინმე უწანს სამიჯნურო და მთელი თავისი პოეტური ხელოვნება მხოლოდ მის საქებრად და შესამკობად ემეტება.

ეს სტროფები დასაბუთებენ თამარისადმი თავყვანისცემას და ვნებიან სიყვარულს; იმასაც გვაუწყებენ, რომ თამარი ჯიქივით უწყალოა (შეუბრალებელია) მისი მოჯნურის მიმართ.

თვალში საცემია ის გარემოება, რომ რუსთველი პოემაში შეფარვით აქებს თამარს, პოემის შესავალში კი აშკარად, შეუფარავად ამჟღავნებს თავის მიჯნურობას თამარისადმი. ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსთველს, რომლის მთელ ნააზრევს სიყვარულის გენიის ბუჭედი აზის, თავისი სიყვარული რაიმე ლიტერატურული პირობითობის კარნახით შეეთხზას. და თუ პოეტი მაინც ტრადიციული აღმოსავლური ხატოვანების ღბილ სამოსელში ხვევს თავის სათქმელს, ამისი პირველადი დანიშნულება უთუოდ ის არის, რომ კადნიერებად არ გამოჩნდეს მისი ეგზოზი სითამამე. (თვით პოემაშიც ამ პოეტურ ხერხს არაერთმნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია).

როგორც არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა არის სიყვარული, ასევე შეუძლებელია ეჭვის შეტანა იმაში, რომ თვით პოეტის ცხოვრების და შემოქმედების წარმმართველად სიყვარული ქცეულა.

ამ შეხედულებას თუ შევამოწმებთ მიჯნურობის რუსთველიანული „ტრაქედიის“ სასინჯი ქვით, კიდევ უფრო განგვიმტკიცდება რწმენა იმისა, რომ პოეტი ერთი იმათგანია, რომელთაც თვითონ ასე ახასიათებს:

„მიჯნური შმაგხა გვიქვიან არაბულისა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხედომისა წყენითა;“ (22).

თამარზე რომ ამბობს პოეტი - „იგია ჩემი სიცოცხლე“-ო, და თანაც მას „ჯიქივით უწყალოს“ ეძახის, ამ სიტყვებში ნათლად ჩანს „ვერ მიხედომისა წყენა“. ხოლო მისი სიშმაგე მრავალთაგან ამ სიტყვებშიც მქალაქნდება:

„თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;  
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხდომია ველთა რბენა“ (10).

ამ ფანტიკური სიყვარულის შეუფარავი აღიარების ფონზე უცნაურად გამოიყურება სტროფი:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,  
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,  
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ღობილისა.“ (5).

ერთის შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბრძანებამ გასტეხა რუსთველი და აღძრა თამარის საქებრად. მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით, თორემ მართლა რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ეჭვი უნდა შეგვეტანა რუსთველის მიერ თავის თავზე თქმულ ყველა სიტყვაში, რადგან მან თავისი სიცოცხლეც და „ვეფხისტყაოსნის“ თამარის სიყვარულთან განუყრელობაში დაგვანახა.

ეს სტროფიც, „ესე ამბავი სპარსულის“ არ იყოს, გზის ასარევად ჩაუქრებულსა პგავს და შესავლის მთელ კონტექსტთან მოჩვენებითი წინააღმდეგობის გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ მოჩვენებითობას ქმნის სტროფის უჩვეულო სტრუქტურა: დასაწყისში ნათქვამი სიტყვა „მიბრძანეს“ არ არის სტროფში ჩადებული პოეტური აზრის გასაღები, თუმცა ფორმალურად მთელი სტროფი ამ სიტყვიდან მომდინარეობს.

სტროფის დასკვნითი ტაეპი გვეუბნება, რომ „მაგარი ქვის“ (აღმასის) გამტეხი არის „გრდემლი ტყვიისა ღბილისა“. შეუძლებელია რუსთველს სინონიმებად ეხმარა პოეტურად ისეთი ურთიერთსაპირისპირო ცნებები, როგორცაა „ბრძანება“ („მიბრძანეს“) და „გრდემლი ტყვიისა ღბილისა“. ცხადია, ამ უკანასკნელში იგულისხმება სილამაზე „წარბთა და წამწამთა, თამათა და ბაგუკბილისა“.

სტროფის პოეტური ლოგიკიდან გამომდინარე, მაგარ ქვას ანუ აღმასს თავისი პიროვნების სიმტიცეს ადარებს პოეტი, ხოლო მის გამტეხ ღბილი ტყვიის გრდემლად თამარის სილამაზე მიაჩნია. საოცარი პოეტური სახეა: ჩვენს თვალწინ გაკრთება პოეზიის ნაპერწკლები, როგორც სილამაზის ღბილ გრდემლზე აღმასის მსხვრევა.

მაგრამ მაინც რისთვის ისურვა პოეტმა ამ სტროფის ისეთნაირად აგება, რომ მკითხველს ეფიქრა, თითქოს მას ვისიმე ბრძანებით, თავისი ნების წინააღმდეგ დაეწეროს თამარის ქება, მაშინ როდესაც ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას ამ სტროფშივე აქარწყლებს. იქნებ მას, რაღაც ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, სურდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მას უბრძანეს თამარის ქება. თავად მე მკითხველთა იმ კატეგორიას ვეკუთვნი, რომელსაც ეს ხერხი უკურაქციისთვის გამიზნული ჰგონია: როდესაც მიჯნური პოეტის მთელ აღსარებას ზიარებული, შენდა უნებლიეთ ამ სტროფს ისევ მიუბრუნდები, უფრო აქტიურად აღიქვამ მასში გაცხადებულ მგზნებარებას და ასკენი – თუ ეს მართლა ბრძანება იყო, უთუოდ თამარის თვალთა ბრძანება იქნებოდა, ისიც ტყვიის გრდემლივით ღბილი.

და საერთოდაც ხომ ცხადზე ცხადია, რომ რუსთველის თამარისადმი მიმართება გამორიცხავს კარის პოეტის მიმართებას მეფისადმი. ეს იგრძნობა პირველივე სტროფში, რომელშიც პოეტი იწყებს უშუალოდ თამარის „ქებას“:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ეთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესვას ღახვარი გულსა ხეული.“ (4).

ამგვარი ქება მეფისა თავისთავად პარადოქსია, – ქება, რომელიც იწერება „სისხლის ცრემლ-დათხეული“ თვალებით და რომელიც, მსმენელს გულს განუგმირავს, ნაცვლად იმისა, რომ აღაფრთოვანოს. ასეთი რამ მეფის გარდაცვალებაზე შეიძლება დაიწეროს, მაგრამ შესავლის მთელ კონტექსტში ცოცხალ თამარს წარმოგვიდგენს პოეტი: „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია“; „ვის შორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკედარი“ და სხვ. და სხვ.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ თამარის „ქებაში“ რუსთველი გულისხმობს მისადმი თავისი უსახლდრო სიყვარულის

გაცხადებას, და თან დასაწყისშივე გვაგრძობინებს, რომ სატროუს ქება მისთვის რაღაც დიდ მწუხარე განცდასთანაა დაკავშირებული. რა მწუხარე განცდაა ეს, ვარდა იმისა, რომ თამარი მისადმი „ჯიქივით უწყალო“, ამის თაობაზე არაფერს გვეუბნება. მაგრამ თამარის ქება არ ამოიწურება მხოლოდ პოემის შესავლით: „მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს მიწია“, უკვე ველოდოთ, რომ თუ მივაკვლევთ პოემის სიუჟეტის იმ შინაარსს, რომელსაც ქარაგმულად ვეპირდება რუსთველი, ბევრს რასმე მოეფინება ნათელი.

საბოლოოდ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას: არც ერთი კლიშე არ გვხვდება თამარის ქების სტრიქონებში, - ეს სიყვარულით გაშმაგებული გულის ფეთქება, ეს იმ მუღყესის ღიადღისია, რომელსაც ერთადერთი საღოცავი პეაგს ამ ქვეყანაზე და თავის დანიშნულებად მიაჩნია - „ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს“.

პოეზიის ნაპერწკლებად გარდაქმნილი აღმასის მსხვერვის მიხეზიც თამარია და ხელის-ხელ საგოგმანები თბილი მარგალიტის შესახებხველად პოეტის აღმძვრელიც იგივე თამარია; თამარია მისი ხელ-მქმნელიც და ხელთ-დამსხმელიც.

ასე რომ, რუსთველი ორ ძირითად ცნობას გვაწვდის თავის შესახებ პოემის შესავალში: 1. რომ იგი არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და 2. რომ იგი თამარის მიჯნურია. გამოდის რომ ეს არის მისი ამქვეყნიური არსებობის ანი და პაე.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენს ყურადღებას იზიდავს იქვე, პოემის შესავალში თქმული: „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“. (26). როგორ ვაგივით ეს? როგორც უბრალოდ ხარკის გადაება მიჯნურობის აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციისადმი, თუ როგორც რუსთველის პირადი გამოცდილება? მიუღს შესავალში აღმოსავლური პოეზიის ტრადიციული ფრაზეოლოგია იმისათვის გამოიყენა რუსთველმა, რომ თავისი სიყვარულის ტკივილი გაენდო ჩვენთვის. გენიალური პოეტის ნებით აღმოსავლური ნიღაბი „ვერ“ ფარავს გენიალური მიჯნურის „სისხლისა ცრემლ-დათხეულ“ თვალებს. თავის თავზე თუ რამ სთქვა რუსთველმა, უპირველესად ისა სთქვა, რომ კარგი მიჯნურია, ხოლო ამ აფორისტულ თქმაში სინონიმებით შეაწყვილა ერთმანეთს „კარგი მიჯნური“ და „სოფლისა თმობა“.

მაგრამ ჯერ ეს ვიკითხოთ, კონკრეტულად რა უნდა იგულისხმებოდეს კარგი მიჯნურის მიერ სოფლის თმობაში? „ვეფხისტყაოსნის“ ცხადყოფს, რომ „კარგი მიჯნურის“ რუსთველური ხატი ტარიელშია განსხეულებული. მაშასადამე, „სოფლის დათმობაც“ ისე უნდა ვაგივით, როგორც ტარიელს ესმის: „კარგმა მიჯნურმა“ სიყვარულის გულისთვის უნდა დათმოს ყველა სხვა ამქვეყნიური მისწრაფება და მოვალეობაც კი, სიყვარულს უნდა ანაცვალოს ყველა სხვა ჯურის ვნებათა ღელვა და ამბიცია.

ე.ი. „კარგი მიჯნურის“ რუსთველური გააზრება ადამიანურ ფასეულობათა უმაღლეს რანგშია აყვანილი, და არ გადაეჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მას არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ მსოფლმხედველობრივ კატეგორიად მიიჩნევენ პოეტი.

ობიექტური დაკვირვება გვარწმუნებს, რომ რუსთველი თავის თავს არა მარტო პოემის შესავლის, არამედ მთელი ნაწარმოების იდეათა ორბიტაში აქცევს. არა გვაქვს არაერთი საბაბი დაქვეყნისა, რომ იგი „კარგი მიჯნურია“; ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით „იქმს სოფლისა დათმობას“.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ „სოფლის დათმობა“ რუსთველისთვის, ისევე როგორც ტარიელისთვის, არ შეიძლება იყოს თვითმიზანი, მას უნდა პქონდეს გამაპირობებელი მიზეზი და მამოძრავებელი სტიმული.

ტარიელის მიერ სოფლის დათმობა (განდგომილობა), პირველ ყოვლისა, სატრფოს სამშობლოდან განდევნას და მის რეალურ ძებნას უკავშირდება. იგი საბოლოოდ განდგომილობიდან თავდადწვეით ერწყმის ამაღლებულ მიწიერ სიყვარულს და უბრუნდება სოფელს. სატრფოსთან შეყრის ექსტაზი მისი გოლიათური ფიზიკური ძალისხმევითაა მოპოვებული.

რუსთველის გზა ისე ხელშესახებად საჩინო როდია, როგორც გზა ტარიელისა, მაგრამ იგი იკვეთება მოვლენათა ურთიერთგარდამავლობაში: 1) რუსთველისთვის იმთავითვე აღკვეთილია სატრფოსთან მიწიერი ერთობის გზა, რადგან სატრფო მისადმი ჯიქივით უწყალოა. 2) მაგრამ რუსთველი, პირველ ყოვლისა, მიჯნურია; მიჯნურობა მისი ამქვეყნად არსებობის ამომწურავი ფორმულაა. რა ღირსებებიც არ უნდა პქონდეს რუსთველს, ისინი მხოლოდ და მხოლოდ „მიჯნურთ ზნეობის“ შესავსებად ესაჭიროება (ასე ტყეაღია რუსთველური მიჯნურის ცნება). 3) რადგან რუსთველის მიწიერი არსებობა მიჯნურის ცნების განსხეულებაა, გამოდის, რომ სოფლად ყოფნა და თამარის სიყვარული რუსთველისთვის ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა სახელია. 4) მიჯნური რუსთველი იძულებით თმობს თამარს. მიჯნური რუსთველისთვის თამარის დათმობა სოფლის დათმობის ტოლფარდია. 5) თამარის სიყვარული რუსთველს მიწიერი სფეროდან სულიერ სფეროში გადააქვს. მიჯნური რუსთველი ერწყმის პოეტ რუსთველს. იგი ეძიებს თამართან მიახლების საზეო გზას. 6) ასე, რომ ტარიელის მსგავსად, რუსთველის მიერ სოფლის დათმობა (სოფლიდან განდგომა) სატრფოს ძიებას უკავშირდება, ოღონდ, ეს არის ძიების სულ სხვა ასპექტი. იგია სიყვარულის მაღალი არსის ძიება ადამიანობის მარადიულ არსში: „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“. ამ აღმაფრენით იწერება „ვეფხისტყაოსანი“, ე.ი. რუსთველის სატრფოსთან შეყრის ექსტაზი გოლიათური სულიერი ძალისხმევითაა მოპოვებული პოეზიის პარამონიულ სამყაროში.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რუსთველის სოფლიდან განჯომა ერთ-  
ვითვე სამშობლოდან წასვლასაც მოასწავებს (ტარიელის მსგავსად), თუ  
მხოლოდ ცხოვრების აზრის გადაზიდვლებს მიწიერი სფეროდან სულიერ  
სფეროში. მაგრამ ერთი რამ ცხადია: სიყვარულის ძიება თუ მიკვლევა რუსთ-  
ველისთვის ბოლომდე განდგომილობას გულისხმობს (პირდაპირ თუ არა,  
გადატანითი მნიშვნელობით მაინც), რადგან აღკვეთილი აქვს ის, რაც სო-  
ფლად ყოფნის აზრად მიიჩნია (თამარის სიყვარული) - და მას ერთვის  
მხოლოდ მიწიერ ვნებათა მიღმა.

წარმოდგენილ სურათში გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს ის, რომ  
სიყვარულის აპოთეოზისკენ განსხვავებული გზებით სწრაფვის მი-  
უხედავად, რუსთველი და ტარიელი თვისობრივად გეგნან ერთმანეთს:  
იდენტურია სიყვარულთან მათი ემოციური და მსოფლმხედველობრივი და-  
მოკიდებულებების არსი: სიყვარულის სიშმაგით შეპყრობა, ცხოვრების  
აზრად სიყვარულის მიჩნევა და სიყვარულის გამო „სოფლის დათმობის“  
იდუა აერთიანებთ მათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის რუსთ-  
ველის და ტარიელის პიროვნების მთავარი მახასიათებელი (სიყვარულის  
ძიების და მასთან მიახლების სხვადასხვა ფორმაში განხორციელებული).

ნაწარმოების გამჭოლ პოემის ავტორისა და გმირის მსგავსების  
უცილობლობა, უკვე საკმარისი საფუძველია იმ ვარაუდისათვის, რომ  
შესაძლოა რუსთველს ტარიელი თავის იპოსტასად ჰყავდეს გამიყვანილი პოე-  
მაში, ანუ ტარიელში პროეცირებული იყოს რუსთველის პიროვნება.<sup>1</sup> ხოლო  
იმისი მინიშნება, თუ რა ხერხით შეიძლება იყოს ჩადებული მხატვრული  
ნაწარმოების გმირში რუსთველთან დაკავშირებული ისტორიული სიმართლე,  
სწორედ პოემის სათაურშია საგულებელი, რამდენადაც მასში სიტყვა  
„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გააზრების (კაცი მიჯნური) პარალელურად  
მისი ისტორიული (ინდური) გააზრების (კაცი განდგომილი) შესაძლებლობაც  
ძვეს.

მეტი სიცხადისათვის, ამ ჩემი ვარაუდის ლოგიკურ საფუძველს  
ერთხელ კიდევ მილიანობაში წარმოვუდგენ მკითხველს: -

1. აქსიომაა, რომ ტარიელის ინდოელობას, პოემის მხატვრულ კონტე-  
ქსტში პირობითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასში არ მოიძვევა  
გმირის რაიმე ინდური სპეციფიკა, რომელიც რისამე წარმმართველი ან  
განმსაზღვრელი იყოს; ამიტომ ვეფხისტყაოსნობის ცნება პოემის სათაურში  
მხოლოდ და მხოლოდ იმ შინაარსს შეიძლება გულისხმობდეს, რაც მასში  
თვით პოემის ვეფხისტყაოსნილი გმირის მიერ არის ჩადებული („რომე ვეფხი  
შეგნიერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად

1 - ეს ნიშნავს, რომ ტარიელის თავგადასავალს მისი ძირითადი მხატვრული  
წაკითხვის პარალელურად შეიძლება ჰქონდეს წმინდა ისტორიული წაკითხვაც,  
როგორც მისი მეორე შინაარსი, როგორც რუსთველის თავგადასავალი.



მომინახავს<sup>1</sup>). ასე რომ, მოღიანი არსი იმ მხატვრული სამყაროსი, რომელიც რუსთველმა შექმნა, სათაურის შინაარსის ერთადერთ გააზრებას ექვემდებარება: - ვეფხისტყავემოსილი კაცი, ე.ი. კაცი მიჯნური.

2. მაგრამ ინდოეთის მოხსენიება ვეფხისტყავემოსილ კაცთან კავშირში იმდენად სპეციფიკური კონტექსტია წმინდა ისტორიული თვალსაზრისით, რომ პოემაში მიზანდასახულად შემოტანილსა ჰგავს. იგი როგორღაც წარმოსახვით სივრცესა პქმნის პოემის ირგვლივ და სათაურს თავს ახვევს მხატვრულობისაგან განსხვავებულ, მეორე გააზრებას: - კაცი ვანდგომილი.

რუსთველს რომ ტარიელი რომელიმე პირობითსახელიან ქვეყნის შეიღად გამოუყვანა, (ვთქვათ, მულდაზანზარისა ან ზღვათა სამეფოსი), მაშინ ეს ისტორიული აღუზია არ გაჩნდებოდა, და ამდენად, სათაურში მეორე გააზრებაც არ დაიღანდებოდა.

და მინც შესაძლებელია, სკეპტიკოსს შემთხვევითობად (ე.ი. უფუქციოდ) ჩაეთვალა ეს კონტექსტი და მისით გამოწვეული ასოციაციები, პოემაში ჩადებული ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რომ არა:

ა) პოემის შესავლიდან თვით რუსთველი რომ არ წარმოადგებოდეს, როგორც (სიყვარულის გამო) ცხოვრებიდან განდგომილი კაცი და ამრიგად არ უმიზნებდეს პოემის სათაურის ამ გააზრებას;

ბ) და თვით პოემის გმირი, ტარიელი (სიყვარულის გამო) ცხოვრებიდან განდგომილი რომ არ იყოს, და სწორედ ამით არ ჰგავდეს რუსთველს. ძნელი წარმოსადგენია ამდენი ურთიერთშესაბამისობის შემთხვევითი თავმოყრა.

3. მე ვიგულისხმე, რომ ვეფხისტყავემოსილის ინდური (ისტორიული) კონტექსტის შექმნა (პოემის მხატვრული სამყაროს მიღმა, და მინც პოემასთან კავშირში) იმისათვის დასჭირდა „სოფლის დამომოზ“ რუსთველს, რომ ნაწარმოების სათაურში გაშუალებული გზით (განდგომილობის სიმბოლოთი) თავისი თავი შემოეყვანა და შეეწყვილებინა ტარიელთან.

რა თქმა უნდა, რუსთველის მიერ თავისი თავის დაკავშირება პოემის სათაურთან არ შეიძლება იყოს თვითმიზანი, იგი ამ გზით პოემის ტექსტში

1 - ვეფხისტყავემოსილობის სპარსული გააზრება: - კაცი გოლიათი („ესე ამბავი სპარსული“-ს გავლენით ნაკარნახევი) გარკვეულ როლს თამაშობს პოემის პირველ ნაწილში, ვიდრე მას საბოლოოდ გადაფარავდეს ტარიელისეული გააზრება. მაგრამ ვუქრობ, რომ მისმა შემოქმედებამ სათაურის აღქმასუ თავი იჩინა პოემის ზოგიერთ თარგმანში "Витязь в тигровой шкуре", "THE KNIGHT IN THE PANTER'S SKIN", "LE PREUX A LA PEAU DE TIGRE", "DER RECKE IN TIGERFELL". სიტყვები Витязь, THE KNIGHT, LE PREUX, DER RECKE და ა.შ. მიგვანიშნებს, რომ მთარგმნელებმა სათაური გაიზარეს, როგორც ვეფხისტყავემოსილი გოლიათი, რაინდი (გამონაკლისს წარმოადგენს მარჯორი უორდროპი, რომელიც თარგმნის "THE MAN IN THE PANTER'S SKIN". „ვეფხისტყავემოსილი კაცი“, უფრო ზუსტად - „ვეფხისტყავემოსილი კაცი“; ე. ი. „კაცი“ და არა „რაინდი“.

უნდა ჩაეხიაროს ტარიელს და რაც მთავარია, სათაურში მისი შესვლის ხერხმა უნდა მოგვანიშნოს, რა პრინციპით შეიძლება ტარიელის თავდადებების მხატვრული სინამდვილიდან გადავერთოთ რუსთველის თავდადასხველის ისტორიულ სინამდვილეში.

ამ თვალსაზრისით გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს ორი მომენტი, რომელიც სათაურში გამოვლინდა:

1) პოემის გამართან დაკავშირებული პირობითი ფაქტით (ინდოელობა) შემოტანილი ისტორიული შინაარსი (განდგომილობა), რომელსაც უშუალოდ ერთვის რუსთველი.

2) ერთსა და იმავე მოვლენაში (ვეფხისტყაოსნობა) სხვადასხვა შინაარსის ჩადების შესაძლებლობა (მხატვრულისა და ისტორიულისა ისე, რომ მხატვრულ შინაარსს პოემის გამირი უკავშირდება, ხოლო ისტორიულს - პოემის შემოქმედი).

სათაურში არსებული პირველი მომენტი გასაღები უნდა იყოს, ე.ი. რუსთველისკენ მიმავალ გზას უნდა ხსნიდეს, ხოლო მეორე - იმას უნდა მოგვანიშნებდეს, რომ პოემის სიუჟეტი ორგანოზომილებიანია (ე.ი. ორი სხვადასხვა შინაარსის შემცველია).

გასაღები: სათაურის ანალოგიით პირობით ფაქტს ფუნქციონალური დანიშნულება უნდა აქონდეს ნაწარმოების მეორე შინაარსის წარმოჩენისათვის. მაშასადამე, თუ პოემის ტექსტში აღმოჩნდება ტარიელთან დაკავშირებული რაიმე პირობითობა (რომელიც მსგავსად მისი ინდოელობისა, არავითარ როლს არ ასრულებს მოვლენათა განვითარებაში), იგი ისტორიულ კონტექსტს უნდა ქმნიდეს, ე.ი. უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს რუსთველს.

საჭიროა მოცემული გასაღებით პოემაში ვეძებოთ რუსთველისკენ მიმავალი გზა (კარი), ე.ი. აღმოვაჩინოთ პოემაში საგულგებელი პირობითი ფაქტი, რომელმაც პირდაპირ საქართველოს ისტორიაში უნდა გადაგვართოს.

ფიზიკური, დადარაჯებული თვალთ ვიწყებ „ვეფხისტყაოსნის“ იმ ნაწილის კითხვას, სადაც ტარიელის ამბავია მოთხრობილი. მშრალი ფაქტების პოზიციიდან ვჩხრეკ ინდოეთის მეფის კარზე ბედისწერის მიერ გათამაშებულ მოვლენებს, ე.ი. ვამოწმებ, რამდენად ლოგიკურია მომხდარი ამბები ფაქტების თანმიმდევრობის და ურთიერთგანპირობებულობის თვალსაზრისით. (აღლათ, შემინდობს რუსთველი ამ მკრეხელობას, რომელსაც მისივე დაფარული ნების კარნახით ჩავდივარ).

იხვე კარგად ნაცნობი ამბავი: ინდოეთის სამეფოს მოკლე აღწერა, სარიდანისგან ჯერ თავისი სამეფოსი და მერე შეილის ჩაბარება ფარსადანისთვის, ტარიელის ბავშვობა, ტარიელის გამოჯანურება, ნესტანდარეჯანის პირველი წერილი, ტარიელის პასუხი, სატრფოსთან პირისპირ შეყრა, ომი ხატაელებთან... აქ პოემის ტექსტი არავითარ პირობითობას არ შეიცავს. მისი მხატვრული მომხიბვლელობა მოვლენათა ფაქტობრივი ურთიერთობის სიმწობრეს ეფუძნება. რუსთველის პოეტური გენია ორივე თვისო-



ბრიობას აერთიანებს, როგორც ნესტან-დარეჯანის საკვირველი რიდე, თრ-  
მელზეც ამბობენ: „სიღბო კჷონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისა“<sup>1</sup>.  
პოემის ამ ნაწილში მოვლენები მოტივირებულია მომხდარი ამბების ურთ-  
იერთგანპირობებულობით. მაშინაც კი, როცა ფარსადანი მოულოდნელად  
უფლებულებლად ტარიელის გამეფების შესაძლებლობას ქრეშტავადანს  
ვეტილება ტარიელის მამისადმი მიცემულ დაპირებას ეწინააღმდეგება, მაშინ-  
ნაც კი (თუმცა ბეწვის ხიდზე გავლით), მოვლენები ინარჩუნებენ ფაქტობრივი  
შესაბამისობის პრინციპს; რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთში საქმე იმა-  
ვითვე ისეა წარმოდგენილი, რომ ტარიელის გამეფება თუ არგამეფება მთლი-  
ანად ფარსადანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული; აშკარად და გა-  
მოკვეთილად ჩანს, რომ პოემის ინდოეთში კანონმდებლური ძალა აქვს მეფის  
ერთპიროვნულ სურვილს: ადრე იყო და, ჩველი ტარიელის თაობაზე „მეფემ  
ბრძანა, შეილაღ გაეზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“<sup>2</sup>. მოგვიანებით კი  
იგივე მეფე ბრძანებს:

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, საღ მოვნახოთ,  
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,  
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,  
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“.<sup>3</sup> (509)

თუმცა ყოველივე ეს აშკარად აღიქმება, როგორც მეფობის მოიმედ  
ტარიელისთვის იმედის გაცრეუება (და თავისთავადაც მოულოდნელი ამბავი),  
მაგრამ ვინაიდან ის იმედიც ფარსადანს მეფის სიტყვას ემყარებოდა, ამჟამადაც  
ასევე ბუნებრივია, რომ ფარსადანისავე სიტყვამ და სურვილმა გადაწყვიტოს  
საქმე. სხვა საკითხია, რამდენად უთიკურია ადამიანური თვალსაზრისით მეფის  
ასეთი საქციელი; მაგრამ ხომ აქსიომად უნდა მივიღოთ, რომ მეფეთა სახ-  
ელმწიფოებრივი ზრახვანი ადამიანურ უთიკას არ ემყარებიან. ეს პრინციპია  
გადამწყვეტი „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთში: მეფემ მოისურვა გაამეფოს თავისი  
ასული და მას ქმრად შერთოს სპარსელი უფლისწული, და ტარიელის  
წინაშე მობოდიშება აზრადაც არ მოხვლია; პირიქით, იგი სათათბიროდ იხმო  
და დახტურიც კი დააცემინა ამ გადაწყვეტილებაზე.

- დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჩმით მჯდომელი,  
მათსამცა შეიღსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი?“  
„შეცილებაშცა ვით ეკადრე, რათგან თვით იყო მნდომელი  
მოწმობა დაეპრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი.“<sup>4</sup> (513)

ტარიელის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, რომ მეფის (მეფე აქ  
დედოფლის პირით ლაპარაკობს) სურვილი კანონია, - „შეცილებაშცა ვით  
ეკადრე, რათგან თვით იყო მნდომელი“.

მაგრამ აი, ტარიელმა მოკლა ხვარაზმშას შვილი და დაუპირისპირდა ინდოეთის მეფის სურვილს. ამ მკვლელობით თავზარდაცემული ფარსადანი ტარიელს დიდებულების პირით რომ შეუთვლის:

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინებ, თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“ (562)

ამ სიტყვებში არის მეფური დიპლომატია, რომელიც ვასალის მიერ არ შეიძლება გამოაშკარავებულ იქნას; ამიტომ ტარიელი, - სამეფო ეტიკეტის კარგად მცოდნე დიდებული, - ამ დიპლომატიას დიპლომატიური სფლითვე უპასუხებს (მით უმეტეს, რომ ეს პასუხი წინასწარ შთაგონებული აქვს ნესტანისაგან): -

„მე, თქვენმა მზემან, მაშოროს ნდობა თქვენისა ქალისა“ (563)

მაგრამ, რასაც ამის შემდეგ იტყვის განრისხებული ტარიელი, ეს უკვე არ არის ნესტანის მიერ შეგონებული დიპლომატიური სვლა:

„იგი რა მოკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა, კადრე, თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა, ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა, არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა“-ო. (544).

ეს არც ტარიელის წარმომავლობით (მეშვიდე სამეფოს მფლობელის შვილი) განპირობებული პრეტენზიაა; ეს არც უბრალო გამეორებაა ადრე, ნესტანთან საუბარში ფარსადანის მისამართით გულდიდად ნათქვამი სიტყვებისა:

„მეშცა დაშლა ვითა ვკადრე, რათგან იგი ვერ მიმხედარა, არ იცის თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა? ტარიელ არს მემამულე, სხეასა მართებს არად არა, ვის მოიყვანს არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა“-ო? (534).

და ბოლოს, ეს არც მეფის მიერ შეიღივით გაზრდილი და უეცრად უგულვებლყოფილი დიდებულის წამოძახილია: - აკი სამეფოს პატრონად მზრდიდი, რატომ მიშალე პირიქც ეს სულ სხვა ჭეშმარიტების მაუწყებელი სიტყვებია... ტარიელი ფარსადანს კი არ შესთხოვს რაიმეს, ან მამაშვილური გრძნობებით კი არ უჩუყებს გულს იმის მსგავსად, თვით ფარსადანმა რომ შემოუთვალა:

„მე ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,  
ღღელ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მიახლებინე“-ო. (562).

მას არც სპარსთა ინდოეთში შემოსვლის პერსპექტივა არ მოაქვს თავისი გულისწყრომის საბაბად; არა, ტარიელი სამართლის სახელით უპირისპირდება ინდოეთის მეფეს და მკაცრად, ყოველგვარი დიპლომატიის და ორანჟონების გარეშე შეახსენებს, რომ მისი სამოწყალო არაფერი სჭირს:

„იციოთ, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომიად  
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, - ყველაი თქვენ მოგხდომია;  
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;  
სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია!“ (564)

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!  
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცე ჩემგან კიდე,  
ვისცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოუფხვრიდე,  
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკად, ვისცა ვინატრიდე!“ (566)

ერთბაშად დაირღვა ის უცილობელი ბარიერი, რომელიც მეფესა და ვასალს პყოფდა. მეფე ადამიანურ უთიკას ებღაუჭება, ვასალი კი პოლიტიკური სამართლის სახელით იმადლებს ხმას. მისი მუქართო სახსე სიტყვები არა მარტო ნესტანის მემკვიდრეობის საკითხს, არამედ თვით ფარსადანის მიერ ინდოეთის ერთპიროვნულ ფლობასაც რაღაც ეჭვის ბურუსით მოსავს; „ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია“ აყვედრის ტარიელი მეფეს; თავის თავზე კი ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე ამბობს: „ერთილა მე ვარ მემკვიდრე“ „სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია“.

ამ ეპიზოდამდე ინდოეთში მიმდინარე მოვლენების ფაქტობრივი სურათი იმ წინამძღვრებს ეფუძნება, რომ „ფარსადანსა აქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა“ (314) - ე.ი. მისი ექვსი სამეფოსი; რომ ის არის „მეფეთა ზედა მფლობელი“; და ამასთანავე, იმდენად ღირსეული მეფეა იგი, რომ თვით ტარიელის მამამ, სარიდანმა (ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მფლობელმა), თავისი ძლიერებისა და აღზევების უამს ბრძანა: „წავად და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები“-ო (313), ე.ი. მისი ქვეშევრდომობა ისურვა და მას ინდოეთის მეშვიდე სამეფოც ჩააბარა; „სახელი დარჩეს ჩემისა ერთოყლად ნამსახურისა“-ო. (314)

ყოველივე ეს თვით ტარიელის პირით არის მონათხრობი პოემაში და ამდენად, ფარსადანთან მისი პირადი დამოკიდებულების ტოლფასია. ახლა კი ორივე ტარიელი ექიმპება ფარსადანს და რაღაც შემთხვევითობას მიაწერს იმას, რომ ეს უკანასკნელი მთელი ინდოეთის მფლობელი გამხდარა („ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია“); ქვეყნის ნამდვილ პატრონად კი

თავის თავს აცხადებს: „ინდოეთი ჩემი არის“ „ვინცა ჩემსა დამუცდილს, მისით მასცა ამოფხვრიდეს“ ტარიელის ეს შეკარა პირდაპირ ფაქტობრივად ამართობა ნათქვამი.

როგორც ვხედავთ, წინარე მოვლენათა ლოგიკა ტარიელს იმისი თქმის საფუძველს არ აძლევს, რომ ფარსადანს „დარწმობა“ მამული, „მიხდომია“ სამეფო, და რომ სამართლის ძალით ინდოეთი მისია (ტარიელისა) და არა ნესტანის. ასეთ სამართალზე მითითება პოემაში არხად ჩანს, - არც აქამდე და არც ამის შემდეგ. (აქსიომაა, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მომხდარი ამბების განხილვა მხოლოდ და მხოლოდ ამ ნაწარმოებში არსებული სამართლით შეიძლება. აქ ისტორიული ინდოეთის ან საქართველოს სამართალს ხელი არა აქვს).

იქნებ ტარიელის სიტყვების საფუძვლიანობა ამ ეპიზოდის მომდევნო კონტექსტში იხსნება? არა! ტარიელის თავგადასავალი ამ ამბოხების შემდეგ ისე წარიმართება, რომ მისი საპროტესტო სიტყვების სამართლებრივ შინაარსს არავითარი ფუნქცია არ აკისრია: პოემის გმირის მთელ თავგადასავალს სიყვარულის ძალმოსილება წარმართავს და არა მეფეთა სამართლის სახელით მისი ამბოხება. ამიტომ არის, რომ ამ ეპიზოდის ჩვეულებრივი, ლიტერატურული კითხვისას ტარიელის ხსენებულ სიტყვებში ყურადღების მიღმა რჩება წინარე მოვლენათა ლოგიკის დარღვევაც და მათი სამართლებრივი შინაარსიც. ეს გარემოებანი ასე მკაფიოდ პოემის ტექსტის ფაქტობრივმა ანალიზმა წარმოაჩინა; ამ კუთხით მოვლენები ჩვენს წინაშე წარმოდგენენ შიშველი ფაქტის პოზიციიდან, რის გამოც შევამჩნიეთ ფაქტების შეუსაბამობა.<sup>1</sup>

როგორ ახერხებს პოემის მხატვრული კონტექსტი ამ ფაქტობრივი შეუსაბამის „გაუჩინარებას“? რასაკვირველია, იმით, რომ იგი მოვლენათა ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ მხარეს წამოსწევს წინ. ტარიელის აფეთქება მისი ტემპერამენტიდან და სიტუაციის უჩვეულო დაძაბულობიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი ჩანს. ამავე დროს, რუსთაველის მაღალი იდეალებით შთაგონებული, ჩვენ ტარიელის, - ე.ი. ადამიანური ღირსების მხარეზე ვართ და თავადაც ვუპირისპირდებით ფარსადანს, მის მეფურ პოლიტიკას და დიპლომატიას. ჩვენ სიყვარულის ძლევა მოსილებას ყვევართ შეპყრობილი, და ეს არ ვგაძლევს სამუქალებას, ტარიელის სიტყვებში გადღეპულ ახალ ჭეშმარიტებაზე გავამახვილოთ ყურადღება. „ვეფხისტყაოსნის“ კუმანისტური სულისკვეთება მეფეთა პოლიტიკისა და სამართლის დადგენას კი არ იხასიათებდა, არამედ ადამიანის კუთილშობილურ ზრახვათა და ვნებათა გამობრწყინებას. ვირტუოზი პოეტის ნებით, მთელი ეს ეპიზოდი აფექტის სახით შემოი-

1 - შენიშვნა მომცეს: როდესაც ფარსადანმა ტარიელი ამირბარად დანიშნა, ამით იგი უკვე თავის ვასალად აქცია და მისთვის ცხადი გახდა, რომ მეფედ დანშაღადარ უპირებდაო. ეს უთუოდ ასეა. და ჩემის აზრით, მთი უფრო რეალურ საფუძველს მოკლებული ჩანს სამართლის სახელით ტარიელის აჯანყება.

ჭრება ჩვენში და წვრილმანი განსჯისთვის ადგილს არ ტოვებს. მართლაც და რა მნიშვნელობა შეიძლება აქონდეს იმას, თუ რა უთხრა აღლევებულმა ტარიელმა პოლიტიკური სამართლის სახელით ფარსადან მერაბიშვილს, მაშინ როდესაც ტარიელის და ნესტანის მრწამსით, არა ტახტისთვის, არამედ სიყვარულისათვის ბრძოლაა „ქმნა მართლისა სამართლისა“.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ მონაკვეთის ორმხრივმა წაკითხვამ: მხატვრულმა და წმინდა ფაქტობრივმა, - გამოავლინა, რომ პოემის ტექსტში (უთუოდ წინასწარგამიზნულად) ჩადებულია ტარიელთან დაკავშირებული სამართლებრივი შინაარსის ფაქტი, რომელიც პოემის მხატვრულ კონტექსტში ისეთივე პირობით როლს ასრულებს, როგორც ტარიელის ინდოელიობა.

როდესაც თავდაპირველად ნაწარმოების მთლიანმა ლოგიკამ მიკარნახა, რომ შესაძლოა რუსთველს ტარიელი თავის იპოსტასად ჰყავდეს გამოყვანილი პოემის სიუჟეტის მეორე განზომილებაში, მთელი რიგი ურთიერთგანმპირობებული ფაქტების საფუძველზე ის დასკვნაც გამოვიტანე, რომ პოემის სათაურში უნდა იყოს მოცემული განსაღებები ტარიელის თავგადასავლიდან რუსთველის თავგადასავლის გამოცალკევებისა, ე.ი. სათაურის ანალიზი უნდა, პოემის გმირთან დაკავშირებული პირობითი ფაქტი უნდა ქმნიდეს სპეციფიკურ ისტორიულ კონტექსტს, რომელსაც უშუალოდ ერთვის რუსთველი.

სამართლებრივი შინაარსის „პირობით ფაქტში“ ჩვენ შეუცდომლად შეგვიძლია ამოვიცნოთ სპეციფიკური ისტორიული კონტექსტი XII საუკუნის II ნახევრის საქართველოსი; და რახან ზემოხსენებული ლოგიკის ძალით ეს რუსთველის კონტექსტი უნდა იყოს, გამოდის, რომ რუსთველი თვით ყოფილა ის ისტორიული პიროვნება, რომელიც დაუპირისპირდა მაშინდელი საქართველოს მეფეს და განაცხადა პრეტენზია ტახტის მფლობელობაზე. საქართველოს მატრიანეების მოწმობით, ერთადერთი კაცი, ვისაც შეეძლო გიორგი III-ის წინააღმდეგ სამართლის სახელით ხმის ამაღლება თუ ამბოხება, და ამბოხდა კიდევ, - გახლდათ დემნა უფლისწული.<sup>1</sup>

ვულკანის უცვარ ამოფრქვევას ჰგავს ისტორიის სიღრმიდან დაძრული ეს მტანჯველი საიდუმლო.

ნუთუ დემნა უფლისწული, - თამარის ბიძაშვილი დემეტრე ბაგრატიონი, - არის ის შმაგი მიჯნური, რომელიც თავის თავს რუსთველს უწოდებს და აღიარებს, რომ სიყვარულის სივრცით შეპყრობილი წერს „ვეფხისტყაოსანს“?

1 - ზოგიერთ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული ეპიზოდის უცილობელი მსგავსება დემნა უფლისწულის ამბოხების ფაქტთან. მაგრამ მას რომ შეიძლება რაიმე საერთო აქონდეს რუსთველთან, ამის შესახებ არავითარი ვარაუდი არ არსებობს.

ნუთუ ამ ტრაგიკული ბედისწერიდან ამოიხარდა უზენაესი სიყვარულის საგალობელი!

მაგრამ მეფის წინააღმდეგ ამბოხებისთვის უფლებდებოდა უფლისწულს ხომ უსახელოდ გარდაცვლილად და მცხეთის დამარხულია მიიხსნეს საქართველოს ისტორია!

დაუჯერებელი ჩანს დემნა უფლისწულის „მკვდრეთით აღდგომა“ ახალი სიცოცხლისათვის, მაგრამ „ეფესისტკაოსნიდან“ მომავალი სასწაული ყოველთვის აღუმატებოდა უბრალო მოკვდავთა წარმოსახვას.

დიდია შიში იღუმაღლთან მიახლოების, მაგრამ დაუძლეველია სურვილი სასწაულისთვის თვალის გასწორებისა.

რისი იმედით შეიძლება იყო სასწაულის შემსწრე კაცი? თვითონ კიდევ რომ დაიჯერო დაუჯერებელი, სხვას ვერ დააჯერებ... ეს ცხადია, იცოდა რუსთველმა, და ამ სასწაულებრივი ფაქტის წარმოჩენისთანავე თითქოს საგანგებო შუქით გაანათა ორი მეტად ნიშანდობლივი მოვლენა. ერთ-ერთმა მათგანმა ერთბაშად პოემის მეორე განზომილების ალგებრული პლანის გასაღები შემოთავაზა<sup>1</sup>, ხოლო მეორემ, თვალნათლივ დამანახა ერთი პიროვნების რამდენიმე „მე“-დ გააზრების უნივერსალური მოდელი<sup>2</sup>. რამაც პოემის მთელი სიუჟეტი ახალი კუთხით შემოაბრუნა და დამიდასტურა, რომ ნაწარმოების წიაღში ნამდვილად დემნა უფლისწულის სიყვარულის ტრაგედიაა ჩამარხული, – მისი ტრაგედია და, მისი ვადარჩენისა და რუსთველად გარდასახვის საოცარი ამბავი.

1 – იხ. ქვეთავი „ალგებრული პლანი“.

2 – ეს მოდელი წარმოიშობა, როგორც „ბაგაეად გიტას“ რელიგიურ – ფილოსოფიური მოდელის ლიტერატურული ტრანსფორმაცია. ჩემთვის გეზის მოძებნი აღმოჩნდა სახელდობრ ის, რომ „მაპაბარატას“ განსხვავებული პერსონაჟები, კრიშნა და არჯუნა, „ბაგაეად გიტაში“, ერთის მხრივ (პირველ პლანში) ინარჩუნებენ თავის დამოუკიდებლობას, როგორც ეპოსის გმირები, და ამავე დროს (მეორე პლანში), გააზრებული არიან, როგორც ერთი ადამიანის ორი განსხვავებული „მე“: კრიშნა არის პიროვნების შავი, კოსმოური „მე“, ხოლო არჯუნა – ამავე პიროვნების თეთრი, პარსონიული „მე“. მეორე პლანის გააზრებით ამასთანავე ნაგულისხმევია, რომ კრიშნა და არჯუნა ერთი ლუთების (ვიშნუს) ორი ავტარა, ანუ მიწიერი განსხვავლება.

რუსთველამდე დიდი ხნით ადრე ამ ტიპის რელიგიურ-ფილოსოფიური მოდელის არსებობის ფაქტი, ალბათ იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ რომ რუსთველმა გამოიყენა უკვე ლიტერატურულად ტრანსფორმირებული ვარიანტი ამ მოდელისა, ანდა თვითონ გადაიხარა იგი. ე. ი. ახალ მოდელში ლუთების ადგილი ისტორიულმა პიროვნებამ (თვითონ რუსთველმა) დაიჭირა, ხოლო პოემის პერსონაჟებს მხატვრული ნაწარმოების გმირის განსახიერების გარდა, მეორე მისიაც დაევაღათ: დემნა უფლისწულის შავი და თეთრი „მე“-ს განსახიერება.

ტარიელის და აეთანდილის წარმოდგენა შავი და თეთრი ცხენის მხედრებად სწორედ ამის მანიშნებლად მივიჩნიე. საამისო ვარაუდის საფუძველი, რა თქმა უნდა, თვით გმირთა ხასიათებმა მომცა.



„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება თავის მხრივ მრავალპლანიანი აღმოჩნდა. მე შევეცადე მიმეკვლია ის ლოგიკა, რომელიც თანმიმდევრულად წარმოაჩენდა დემნა უფლისწულის თავგადასავალს ტარსის თავგადასავალში. პირველ ყოვლისა, მოვიძიე ისტორიული წყაროები.

## როგორ წარმოგვიდგინეს ისტორია დემნა უფლისწულის ბედისწერას

ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში სამგან არის შემონახული ცნობები დემნა უფლისწულის შესახებ, ერთია, - თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; მეორეა - ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანის „ცხოვრება დემეტრე მეფისა“, ხოლო მოგვიანებით, ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში უთმობს მცირე ადგილს „ქე დაეთ მეფისა, - დიმიტრი“-ს.

ყველა ამ წყაროში დემნა (დემეტრე, დიმიტრი) უფლისწული მოხსენებულია, როგორც გიორგი III-ის წინააღმდეგ ამბოხებული ტახტის პრეტენდენტი. ჩანს, მისი ცხოვრების მხოლოდ ეს ეპიზოდი ქცეულა მემატიანეთა ინტერესის საგნად.

დემნა უფლისწულის ამბოხების ამბავი აღწერილია სომხურ ისტორიულ წყაროებშიც. ეს წყაროებია:

1. XIII საუკ. II ნახევრის სომეხი ისტორიკოსის (წარმოშობით ქართველი) სტეფანოს ორბელიანის (სივნიელის) „ცხოვრება ორბელიანთა“, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ამ ცნობილი ისტორიკოსის დიდი თხზულების „სისაკანის“ (სივნიეთის) „სახლის ისტორიის“ 66-ე თავს.

2. სომეხი ისტორიკოსის - ვარდან არეველცის (1200-1271) „მსოფლიო ისტორია“.

3. XII საუკ. II ნახევრის სომეხი სასულიერო მოღვაწის, დაეთ ქობაირელის (ახპატელის) თხზულება - „მოსახსენებელი“.

იგანე ჯავახიშვილი დემნა უფლისწულის ამბოხების აღწერისას, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ქართველ მემატიანეებს; მაგრამ, რადგან სომხურ წყაროებში მეტი ცნობებია დაცული ამბოხების მსვლელობის თუ შედეგების შესახებ, იგი ქართულ ისტორიულ წყაროებში არსებულ ხარვეზს სომხური მატეანეების ცნობებით ავსებს და მათი ურთიერთშეჯერებით გამოაქვს დასკვნები. კვლევის ანალოგიურ მეთოდს მიმართავენ ნიკო ბერძენიშვილი,<sup>1</sup> მარიამ ლორთქიფანიძე<sup>2</sup> და როინ მეტრეველი.<sup>3</sup>

1 - იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები; III (თბ., 1966), გვ. 74-112.

2 - იხ. საქართველოს ისტორიის ნაღკვევები, ტ. III, (თბ., 1979), გვ. 286-293 (მ. ლორთქიფანიძე).

დემნა უფლისწულის პრეტენზია საქართველოს ტახტზე ამითაა განსაზღვრებული, რომ იგი დემეტრე I-ის უფროსი ძის, მეფე დავით V-ის ერთადერთი მემკვიდრეა. მაგრამ დავით V-ის ირგვლივ ურთიერთგაპირისპირებულ ცნობებს ვგაწვდით ქართული და სომხური მატეიანები. ამასთანავე, დემეტრე I-ის გარდაცვალების თარიღიც ისეთ ვარიაციებს განიცდის სხვადასხვა ისტორიულ წყაროში, რომ ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ცნობათა ამგვარი სხვაობის გამო სიმართლის ვაგება ძნელია“.<sup>1</sup>

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი გვაუწყებს, რომ დემეტრე მეფე, - რომელსაც ორი ვაჟი აყვდა, - უფროსი დავითი და უმცროსი ვიორგი, იყო „მარნევალი ძისა უმცროსისა“.<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი ამის თაობაზე წერს: „საქართველოს წარსული ისტორიითგან ჩანს, რომ სამეფო უფლების დამკვიდრება IX საუკ. მოყოლებული, პირდაპირ მემკვიდრეობასა და პირმშობაზე იყო დამოკიდებული, ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი-უფლისწული ადიოდა ხოლმე სახელმწიფო ტახტზე. მაშასადამე, წესიერად რომ ყოფილიყო საქმე მოწყობილი, დემეტრე I-ის შემდგომ უნდა მის უხუცესს ძეს დავითს ემეფა. მაგრამ მამას სხვანაირად განუსჯია“.<sup>3</sup>

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი გვარწმუნებს, რომ დემეტრეს „ვედრებისა შემსმენელმან ღმერთმან“ დავითს დღე მოუსწრაფა და „მამამან ძითურთ ძე ტბილი, შემგუარი მამისა აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა - მზე მნათობთა შორის“.<sup>4</sup> ე.ი. დემეტრემ მემკვიდრედ აქცია და გაამეფა თავისი ღირსეული ძე ვიორგიო.

ღაშა გიორგის-დროინდელ მემატეიანეს თუ ვერწმუნებით, დემეტრე „შემონაზონებული“ გარდაცვლილა: „წარკლო ცხოვრება და მიიწია სრულქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოხა და იკურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი და მოკუდა. და დასუეს მეფედ ძე მისი დავით“.<sup>5</sup> იმეფა ექუს თუე და მოკუდა. შემდგომად მისსა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქორნიკონსა სამას სამოცდათხუთმეტსა. ამასვე წელსა დემეტრე მეფე მოკუდა,<sup>6</sup> და დაი დემეტრესი თამარ, თიღვისა აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარ-

3 - იხ. როინ მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (თბილისი, 1973), თავი IV.

1 - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, (თბ. 1965, წიგნი II, გვ.227).

2 - ქართლის ცხოვრება, (თბ. 1959) ტ. II, გვ. 3

3 - ი. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 239

4 - ქართლის ცხოვრება, (თბ. 1959) ტ. II, გვ. 3

5 - ანასეული ნუსხით: „დასუა მეფედ ძე მისი დავით“ - (იხ. ქართლის ცხოვრება, (თბ, 1955), ტ. I, გვ. 366, სქოლიო II).

6 - ერთ-ერთ ნუსხაში: „მიიკვალა მეფე დიმიტრი წლისა ერთისა ჩოხოსანი.“ - (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 366, სქოლიო 14).



დაიცვალა“<sup>1</sup>. დემეტრეს მონაზვნობაში გარდაცვალების ფაქტს ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 165).

ეს ცნობა, როგორც ვხედავთ, გამორიცხავს დემეტრეს მიერ გიორგის ტახტზე დასმას და, ამდენად, ეწინააღმდეგება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს მტკიცებებს. ეს უკანასკნელი არც დავითის გამეფების ამბავს გვაძინებს და არც დემეტრეს შემონაზვნებისას; ეს გარემოება გვაიძულებს გამოვიჩინოთ კადნიერება და არ დავეთანხმოთ XX საუკუნის ისტორიკოსთა იმ დასკვნას, რომელიც ორი ზემოხსენებული მატიანის შეჯერებითაა გამოყვანილი და ვარაუდობს, რომ დემეტრე გამოსულა მონასტრიდან და უკუერთხებია მეფედ გიორგი. ჩვენის აზრით, შეუძლებელია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ცნობებთან დაშა გიორგის დროინდელი მატიანის ცნობათა შეჯერება, რადგან ისინი ამ საკითხში ერთმანეთს გამორიცხავენ, და ამავე დროს აშკარაა, რომ გიორგი III-ის აპოლოგეტი ისტორიკოსი ცდილობს კანონიერად წარმოადგინოს მისი გამეფება (რისთვისაც გარკვეულ მოვლენებს ჩქმალავს), ხოლო უფროსი ძმა ყოველმხრივ გააშავოს. ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხსენებულ მატიანეთა ცნობების ურთიერთშეუხებლობას.

სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გვაუწყებს: „...некоторые говорят, что он (დავით V - თ. ე.) воиш от измены Сембата и Иванэ Орбеллиановых...и что они заранее условились в этом с Георгием, братом Давида, который обещал им назначить их военачальниками. В 605 году<sup>2</sup> Георгий наследовал корону своего брата.“<sup>3</sup>

ი. ჯავახიშვილი ამ ცნობას ხანდოდ არ მიიჩნევს, რადგან ორბელები შემდგომ დავითის ვაჟის - დემნას მომხრეებად გამოდიან (იხ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 226).

მარიამ ლორთქიფანიძის აზრით კი... ვარდანი იმაში ჩანს მართალი, რომ დავითი გიორგის მომხრეებას მოკლეს და არ აქონია ადგილი დავითის მიერ არაეითარი ანდერძის დატოვებას<sup>4</sup>... როგორც ჩანს, ორბელნი, რომელნიც თავიდან გიორგის მომხრეები იყვნენ და რომელთაც მიიღეს მისგან ამირსპასხალარობა, გიორგისგან დახმარების საფასურად უფრო მეტ საზღაურს ელოდნენ და რადგან არ გაუმართლდათ, ახლა მის წინააღმდეგ დემნას კანდიდატურა წამოაყენეს“<sup>5</sup>. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, მარიამ ლორთქიფანიძე საეჭვოდ მიიჩნევს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს

1 - იქვე, გვ. 366.

2 - სომხური ქრონიკის 605 წ. შეესაბამება 1156 წელს.

3 - Всеобщая история Вардана Великого, перевод Н. Эмин. М. 1861, стр. 159.

4 - ივულისხმება სტეფანოს ორბელიანის ვერსია დავითის გარდაცვალებისა (იხ. ქვემოთ)

5 - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III (თბ, 1979, გვ. 289) მ. ლორთქიფანიძე.

ავტორის მიერ დაეითის გარდაცვალების ახსნას პროვიდენციალური განხილვით („...და ვედრებისა შემსმენელმან ღმერთმან დაეითის დღეოა შემცირებოთა სრულყო პირველ მამისა...“) და ისტორიული კონტექსტისთვის ვუყურებოლოგიკურად თვლის ვარდანის მიერ მოწოდებულ ცნობას.

ზემოხსენებულ მემკვიდრეთაგან განსხვავებით, სტეფანოს ორბელიანი წერს, რომ დემეტრე მეფის გარდაცვალების შემდეგ მიიღო მეფობა მისმა ღირსეულმა ძემ, დაეითმა, რომელმაც იმეფა ორი წელი. „ხოლო ეამსა აღსრულებისა მისისა, უხმო კათოლიკოსსა და დიდებულთა და ძმასა თვისსა გიორგის და მცირესა ყრმასა თვისსა დემნას, წარმოსდგა ხატი მაცხოვრისა, ეგრეთვე ჯუარი ცხოველმოყველი და თქვა: „იოი, დიდებულნო ქართლისანო...აჲ ვეახლოე აღსასრულსა და ძმასა ამას ჩემსა გიორგის არარა სიტყუა და ცილება აქუს ტახტისა ამისთვის, აჲ ვითარცა მამამან ჩემმან მე მიბოძა სამკვიდრებლად ტახტი ესე მეფობისა, ეგრეთვე ვუბუძებ მეცა ძესა ჩემსა დემნას, და გიმოწმებ თქვენ ყოველთა, და შენ, ძმაო ჩემო გიორგი, იყავ მოადგილე ჩემდა და პყავ ძალთმთავრობა ქუყანისა ამის და მიიღე ნაწილი სამკვიდრებლისა შენის, რომელი მოგცა შენ მამამ ჩემმან, ვიდრე აღიზარდოს ყრმა ჩემი“. – შემდგომად წინ წამოაყენა ივანე, ძე სუმბატ ორბელიანისა, და შეაფიცა ყრმასა მას ანდერძისა მისთვის, რათა დაეცვა აღთქმა ანდერძისა. იპურა ხელი ყრმისა და მისცა ხელსა ივანესსა და შთააბარა მას და სხვათა დიდებულთა ყოველთა აფიცა, რათა არა ემსაკურათ ყრმისათვის, არამედ ოდეს მოწვეულ იყო პასაკად, ეცხოთ იგი მეფედ. ესე პრქუა და მიიციკულა და დაეფლა მამათა თვისთა თანა გელათს“.<sup>1</sup>

შემდგომ, სტეფანოს ორბელიანი გვაუწყებს, რომ გიორგიმ დაიბარა დიდებულები და მათის თანხმობით გვირგვინი დაიდგა, იმ პირობით, – როგორც კი დემნა სრულწლოვანი გახდება, გვირგვინს მაშინვე გადაეცემო. და რახან ეს ასე არ მოხდა, 1177 წელს დიდებულები დემნას ამოუდგნენ მხარში და შეებრძოლნენ გიორგი მეფეს, რათა დემნასთვის დაებრუნებინათ ტახტიო.

ივანე ჯავახიშვილი, რომელიც საერთოდ მადლა აყენებს ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანის მეცნიერულ პრესტიჟს, – უნდობლად ეკიდება „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ამ ნაწილს. იგი თვლის, რომ არც დაეითის მიერ გიორგისათვის შვილის ჩაბარების ამბავი ჩანს სარწმუნო ძმათა შორის არსებული უთანხმოების გამო, არც დიდებულების გულგებრყვილობა, – ვითომც მათ დაუჯერებინათ გიორგის დაპირება, – გვირგვინს დემნას გადაეცემო, და

1 – სტეფანოს ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, გამოცემული ე. ცაგარეშვილის მიერ (თბ, 1978), გვ. 40-41.

შენიშვნა: ამ წიგნში წარმოდგენილი ორი თარგმანიდან (A და B), მეორე თარგმანი ადრე მიკვლეული და გამოცემული იყო ლ. მელიქსეთბეგის მიერ. ციტატები მომყავს სწორედ ამ მეორე თარგმანიდან, მისი ენის სიმარტივის გამო (პირველის არქაული ენისგან განსხვავებით), მაგრამ სადაც მეორე (B) თარგმანს ცნობები აკლია, ვაეხებ უფრო სრული, პირველი (A) თარგმანის მონაცემებით.

არც თვით დემნას პრეტენზიის კანონიერება. „რომ დემნა სამეფო არ ემსაღებოდა, - წერს ი. ჯავახიშვილი, - ეს ყველასათვის უნდა ცხადი ყოფილიყო, მით უმეტეს, ივანე ორბელიანისათვის, იმიტომ რომ დემნას ცოლად ივანე ორბელის ქალი, მაშასადამე, ქვეშევრდომის და არა სამეფო ვჳარის ასული შერთეს. მაშინ სამეფოდ გამოადებული უფლისწულისთვის ეს შექუენარებული საქციელი იყო“.<sup>1</sup>

ასე იყო თუ ისე, 1177 წელს (დავით ქობაირელის ცნობით 1178 წელს) მოეწყო ფეოდალთა დიდი შეთქმულება გიორგი III-ის წინააღმდეგ დემნა უფლისწულისთვის საქართველოს მეფის ტახტის მოსაპოვებლად.

აქაც, მემატინათა ჩვენებანი ერთმანეთისაგან განსხვავდება. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი ამბობების წამომწყებად დემნას თელის: „შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა დემრთი ორბელთა“-ო (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 18). ღაშა გიორგის დროინდელი მემატინაჲ კი გვაუწყებს: „ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი თანაუკუიტანეს“-ო.<sup>2</sup>

დავით ქობაირელის ცნობით, - „ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახული აქონდათ მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდევ შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტ ზრახვათა განსახორციელებლად. ორბელებმა ... გადაიბირეს იმავე მეფის ძმისწული“-ო.<sup>3</sup>

ვარდანიც ადასტურებს, რომ ეს აჯანყება ორბელების ინიციატივით მოეწყო; ხოლო სტეფანოს ორბელიანი გვამცნობს, - დემნამ თვითონ შეახსენა ივანე ორბელს, მოვიდა დრო თქვენს მიერ დავით მეფისათვის მიცემული ფიცის ასრულებისათ, და ამირსპასალარმაც დაიწყო ჯარის შეკრება კანონიერი ტახტის მემკვიდრის ინტერესთა დასაცავად.

მოვლენათა სოციალური არსი კარნახობს ჩვენს თანამედროვე ისტორიკოსებს, უნდობლობა გამოუცხადონ სტ. ორბელიანს, რომელსაც მეფობის კანონიერი პრეტენდენტის კეთილშობილ მოსარჩლედ გამოჰყავს თავისი წინაპარი - ივანე ორბელი, და ჩქმალავს მის კლასობრივ ინტერესებს. დემნა უფლისწულის ამბოხების სახელით ცნობილ მოვლენას ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე და რ. მეტრეველი მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შინაკლასობრივი ბრძოლის კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევენ და მის შორსგამწვდომ შედეგებსაც ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევენ. არავითარი უფლება არა მაქვს არ ვერწმუნო ამ დასკვნათა საფუძვლიანობას და არც პრეტენზიას ვაცხადებ ამ მოვლენის სოციალური ასპექტი სხვაგვარად შევაფასო. მაგრამ დემნა უფლისწულის ამბოხების ისტო-

1 - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია (თბ. 1965) წიგნი II, გვ. 243.

2 - ქართლის ცხოვრება, ტ. 1, (თბ. 1955), გვ. 367.

3 - დავით ქობაირელი, „მოსახსენებელი“. კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“ (თბ. 1966), გვ. 262.

რიული მასალის შესწავლისას მე დაკვირვებით ვადევნებ თვალს „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთში მომხდარ ამბებს და თანდათან ვრწმუნდები, რომ პოემის სიუჟეტის მეორე განხორციელება სწორედ ამ ისტორიული ფაქტების თავისებურ ასახვას წარმოადგენს. და ეს ასახვა ზოგჯერ პრინციპულად ეწინააღმდეგება ისტორიკოსთა მიერ ხანდოდ მიჩნეულ ამა თუ იმ მატანიის ცნობას. ისტორიული მასალის შესწავლის შემდგომ ჩემი ამოცანა სწორედ პოემის სიუჟეტის ამ მეორე განხორციელების წარმოჩენა იქნება. ხოლო ჯერ ვიდრე მატანიეთა ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი ბოლომდე არ გამიჩნდება, მხოლოდ იმისი ხელახალი აღნიშვნით დაგემაყოფილდები, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, დეშნა უფლისწულის იპოსტასი - ტარიელი თავისი ინიციატივით უპირისპირდება მეფეს და აცხადებს პრეტენზიას ტახტზე („სამართლით ტახტი უწყოფდ არავის მისახდომია“). ე.ი. ეს მომენტი თანხვედება „ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი“-ს ცნობას და აგრეთვე, „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ავტორის მიერ აღწერილ სიტუაციას. (რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის ორბელთა ხათავისო ინტერესები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დეშნას პრეტენზია მათგან არ მომდინარეობს). აქვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად დიამეტრულად განსხვავებული პოზიციებისა, ამ ორი მემატანიის ფაქტობრივი ცნობები ზოგჯერ თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. ასეთია მაგალითად, დეშნა უფლისწულის მომხრეთა სია. „ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი“-ს მიხედვით, დეშნა უფლისწულს მხარი დაუჭირეს „ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, პერეთთა, კახეთთა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 18). იმავე წყაროს მიხედვით, დეშნას ბანაკში არიან „ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქეთარ ივანეს ძე, რომელნი ესე გიორგისგანვე იყვნეს ხელისუფალნი, და ანანია დვინელი“ (იქვე, გვ. 19), გარდა ამისა, „სარგის მხარგრძელი შვილითა და ძმისწულითა მისითა, შმა და საყუარელი ორბელთა“. და კიდევ ორი დიდებული, რომელნიც გიორგი III-სთან განსაკუთრებით დაახლოებული პირნი ყოფილან და უღალატნიათ: „ივანე ვარდანის ძე, რომელი ითქმოდა პირველითგანვე მოხრებულად მოხრებლისად და თან შოთაცა, ძე ართავანოს ძისა, ესენი ვითარცა შინათგამკემლნი განზრახ განგებითა“ (იქვე, გვ. 19). ეს უკანასკნელნი მხოლოდ ქართულ მატანიეში იხსენიებიან.

ი. ჯავახიშვილი ქართველი მემატანიის ამ ცნობებს, რაც თანხვედება სტ. ორბელიანის ისტორიის მონაცემებს, ავებს ამ უკანასკნელის დამატებითი ცნობებით; ამრიგად ამ სიას კიდევ ემატება: „ჯავახნი კახაი შვილებითურთ, დიდი გამრეკული, მემნა ჯაყელი, პასან კაენისა პატრონი, და გრიგოლ ანელი აპირატის ძე“. ორივე წყაროდან ჩანს, რომ დეშნა-ორბელების მხარეზე დიდძალი ჯარი შეკრებილა. სტ. ორბელიანი გვაუწყებს, რომ რო-

1 - ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია (თბ. 1965, წიგნი II) გვ. 240

გორც კი ამზოხების მოწყობა გადაწყდა, ივანე ორბელმა და შეთქმულმა დიდებულებმა „იწყეს შეკრებად სპათა მეყსეულად“.<sup>1</sup> მისი თქმით, შეთქმულთა ჯარი 30 ათასს აღემატებოდა.

იმის გამო, რომ სტეფანოს ორბელიანი, მიუხედავად თავისი ტენდენციურობისა (ე.ი. ორბელებისადმი მიკერძოებისა), ყველა სხვა მხარეებთან შეტყობის გულმოდგინებით და დაწვრილებით აღწერს ამზოხების ამბავს, ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსებიც მის ცნობებს ვერდნობიან (რა თქმა უნდა, კრიტიკული მიდგომით) ამზოხების სურათის დახატვისას. იგი გვაცნობებს, რომ შეთქმულნი გიორგი მეფის უეცრად შეპყრობას აპირებდნენ, ვიდრე იგი მცირე ამდლით სახატეს იდგა, მაგრამ მეფემ შეთქმულების ამბავი შეიტყო და მისვე თბილისს მიაშურა. ყოქალმა ყუბასარმა, რომელსაც მეფემ ღაშქრის შეკრება დაავალა, მეფეს ხუთ ათასამდე ჯარი ძლივს შეუგროვა, ხოლო ამზოხებულები, „ოდეს ესმათ შესვლა მეფისა ტფილისში და მუნ გამაგრება, არღა მოვიდნენ მას ზედა, არამედ ელოდნენ გამოსულასა მისსა“.<sup>2</sup> ვინაიდან საქმე ასე გაგრძელდაო, ამბობს ისტორიკოსი, - დემნას მომხრეებმა ნელ-ნელა იწყეს გიორგი მეფის მხარეზე გადასვლა, „ვითარცა წესი არს კაცთა კეთილად დაუმტკიცებულთა“-ო. გიორგი მათ დიდის პატივით იღებდა და ორბელიანთა მამულების მიცემას აღუთქვამდაო. იმავე სტ. ორბელიანის ცნობით, მეფის გაძლიერებით შეშინებულმა ივანე ორბელმა „თავისი ყოველი ქონება შეიტანა ციხესა მას სამშვილდესა შინა, სადაცა იყო საუნჯე წინაპართა მისთა...და თავად მან ჯარითა თვისითა წირიყვანაცა დემნა და წარვიდა ღორეს და გაამაგრა იგი, ხოლო ძმა თვისი ღიპარიტ ძითა ორითა წარგზავნა ელიტიკოს ათაბაგთან მოსაყვანად ჯარისად შემწედ თვისად“.<sup>3, 4</sup>

ეს უკანასკნელი გარემოებანი ანალოგიურად აქვს აღწერილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორს. ოღონდ იგი მიუთითებს, რომ ივანე ორბელის ელჩები „წარსრულ იყვნეს სპარსეთს..., ზოგნი შაპარმენისა, ზოგნი ელდაგუსის ძეთასა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 19). ე.ი. საქმის ვითარება ასე წარმოგვიდგება: რადგან შეთქმულთა თავდაპირველი გეგმა მეფის სახატეში შეპყრობისა ჩაიშალა და მეფემ დედაქალაქში შეხვალა მოასწრო, შეთქმულები ნელ-ნელა შემოეცადნენ ტახტის პრეტენდენტს (თუმცა კანონიერს) და გვირგვინოსანი მეფის (თუმცა უკანონოს) მხარეზე გადავიდნენ. სტ. ორბელიანი ამ მოვლენას ხსნის შეთქმულთა შეუთანხმებლობით (ამას

1 - სტ. ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, გამოც. ე. ცაგარეშვილის მიერ (თბ. 1978) გვ. 45

2 - სტ. ორბელიანი, დასახ. წიგნი, გვ. 46.

3 - იქვე, გვ. 47.

4 - ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ ელდაგუს ათაბაგი ამ დროისთვის გარდაცვლილი იყო და ათაბაგობა მის ძეს მუჰამედს ეპყრა. (იხ. მისი წიგნი „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, გვ. 76.

აღბათ უნდა დაუუმატოთ დამარცხების შემთხვევაში დაზარალების შიშს; ამასთანავე გვამცნობს, რომ ფაქტიურად, ივანე ორბელიმაც შეწყვიტა ბრძოლა, განძი გადაამალა და თვითონ დემნასთან ერთად თავისი სამეფოლოცლოს ერთ-ერთ ციხეში, - ლორეში გამაგრდა მეშველი ძალის მოდტლინში.

სტეფანოს ორბელიანის მონათხრობში ამბობების მთავარი მამყინაბეული ძალა ორბელები არიან, და მათ შორის მთავარია ამირსპასალარი ივანე ორბელი; ჯარსაც იგი ჰკრებს, დემნასაც ის პატრონობს („წარიყვანაცა დემნა“), სპარსეთშიც ის აგზავნის ხალხს მეშველი ძალის მოსაყვანად, ე.ი. მთელი ინიციატივა მის ხელშია.

მოვლენათა თვითმხილველი დავით ქობარიელი (ახპატელი), როგორც აღვნიშნეთ, ამბობებას სახაევ ვით ქართველ დიდებულთა (არა მარტო ორბელთა) ბოროტ განზრახვას გიორგი III-ის წინააღმდეგ. იგი არ ამხვილებს ყურადღებას შეთქმულთა სიმრავლეზე, უფრო მეტად, მეფის გამჭრიახობასა და მის მიერ მიღებული ზომების ეფექტურობაზე გადააქვს აქცენტი. იგი გვამცნობს, რომ შეთქმულებმა დემნა „მოიყვანეს ავარაკის სიმაგრეში და გამეფეს, რათა ვერავის შესძლებოდა მათი საქმისათვის ხელი შეეშალა“.<sup>1</sup> და შემდგომ, შეთქმულთა მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, ივანე ამირსპასალარის მიერ მეფისაგან დემნასთვის ნახევარი სამეფოს მოთხოვნის ფაქტს გვაუწყებს. მის მონათხრობში მთავარი მოქმედნი პირნი არიან მეფე და დიდებულები, ხოლო დემნა უფლისწული მეორე პლანზეა.

მემკვიდრეთა მიერ დემნას როლის ასე დაქინებულად წარმოიჩინამ საბაბი მისცა რ. მეტრეველს, ეთქვა: „ქართული და სომხური ისტორიული წყაროების შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება მტკიცედ დავასკვნათ, რომ დემნა უფლისწულის გამეფების საკითხი სრულიადაც არ ყოფილა აჯანყების მიზეზი. ეს მომენტი, ფაქტიურად, იყო საბაბი, რომელსაც ეფარებოდა მსხვილ ფეოდალთა სურვილ-ზრახვანი და მოქმედება. თვით დემნა აჯანყების ძალზე პასიური მონაწილე ჩანს“.<sup>2</sup>

დემნას პასიურობა მართლაც იმდენად საგრძნობია, რომ რ. მეტრეველს ეჭვი ეპარება უფლისწულის სრულფასოვნობაში. „რას უნდა მიეწეროს დემნას ასეთი ნაგვიანევი „მასაკად მოწვევა“? - კითხულობს ისტორიკოსი, სტეფანოს ორბელიანის ცნობით გაკვირვებული („რამეთუ იმეფა გიორგი წელსა ოცდაერთსა და ოდეს მოიწია მასაკად დემნა“). „ხომ არ იყო იგი რაიმე მძიმე სენით შეპყრობილი? (თუ ასეა, მაშინ, ბევრი საკითხი უნდა მოიხსნას“).<sup>4</sup>

1 - დავით ქობარიელი „მოსახსენებელი.“ დასახ. კრებული, გვ. 263.

2 - რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, (თბ. 1973) გვ. 123

3 - იქვე.

4 - იქვე.



ამ ქვეს მართლაც ბადებს მემატრიანეთა მიერ ამზობებაში დემნას როლის უკუღებულყოფა. მაგრამ არის ერთი საბუთი, რომელაც დემნას არა თუ მძიმე ხენით შეპყრობილ, არამედ გამორჩეული ფიზიკური წერტნის მქონე ჭბაუკად წარმოგვიდგენს, და ეს ცნობა მით უფრო ხარწმუნოა, რომ ეგი დემნას მიმართ მტრულად განწყობილი, გიორგი მეფის აპოლოგეტი მქმტრიანისა გან მომდინარეობს: „მოიწივა ძმისწული მისი, შეილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე-კეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯვე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“. („ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“).<sup>1</sup>

- ყოვლითა ხელითა სიმარჯვე ხომ ყოველგვარ სამხედრო საქმეში დიდ გაწაფულობას ნიშნავს, და თუ დემნა უფლისწული ამ მხრივ და ნასწავლობითაც თავის მამა-პაპას აგავდა, მის ფიზიკურ ან გონებრივ ნაკლზე ღაპარაკი ხედმეტია. და მით უფრო გაკვირვებას იწვევს მისი პასიურობა ხსენებულ ამზობებაში.

## რა ხერხით არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში პროვცირებული რუსთველის (დემნა უფლისწულის) თავგადასასვალი ანუ

### როგორ იქმნება პოემის სიუჟეტის მეორე განზომილება

მე წარმოვადგინე მემატრიანეთა მიერ დახატული დემნა უფლისწულის ცხოვრების სურათი (გარდა მისი ბოლო ეპიზოდისა); ხელთა გვაქვს ფაქტობრივი ცნობები ამ ისტორიული პიროვნების შესახებ. ეს ცნობები არ არის ერთგვაროვანი, რადგან მათი მომწოდებელი მემატრიანეები ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაგრამ უამატრიანეზოდ მე ვერაფერს გავაწყობდი, ვინაიდან ისტორიის აუცილებელი ცოდნა მათგან მივიღე, რითაც საშუალება მომეცა საქართველოს ისტორიას შევუპირისპირო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და გამოვავლინო, რა ხერხით არის ტარიელის თავგადასავალში ჩადებული დემნა უფლისწულის ცხოვრების ფაქტები.

ცხადია, აშკარა ფაქტობრივ დამთხვევებს არ უნდა მოველოდე, თორემ თუ მსგავსი დამთხვევებით აღრულდებოდა პოემა, მაშინ იგი ასლი იქნებოდა სინამდვილეში მომხდარი ამბებისა, რაც რა თქმა უნდა, გამორიცხულია. თამარის „შეფარვით ქება“ ნაწარმოებში უცილობლად სხვა ამბების შეფარვასაც გულისხმობს. საჭიროა მივაკვლიო ამ შეფარვის ხერხს. ლოგიკურად მიმანია, რომ ეს ხერხი უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული იყოს პოემის ტექსტის იმ ნაწილში, სადაც დადასტურდა პოემის სიუჟეტის მეორე განზომილების არსებობა. ამიტომ, ერთხელ კიდევ ვუბრუნდები ტარიელის ამბობების ეპიზოდს. იგი, როგორც ანალიზმა დამარწმუნა, მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ არის. ამ ეპიზოდის გან-

1 - ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 18 (თბ., 1959)

საკუთრებული, არატიპური მომენტია ტარიელის სიტყვების სამართლებრივ შინაარსი; არატიპურია, რადგან ეპიზოდის დანარჩენ კომპონენტებთან განსხვავებით, განპირობებული არ არის წინარე მოვლენათა ~~დროებითი~~ არც მოვლენათა შემდგომ განვითარებაში აქვს დაკისრებული რაიმე ფუნქცია; მაგრამ სამაგიეროდ, ეს მომენტი აღჭურვილია მხატვრულის მიღმა არსებულ ისტორიულ სამყაროში წვდომის ფუნქციით; იგი ასრულებს ერთგვარი ინდიკატორის როლს ტარიელის პიროვნებაში რუსთველის (დემნა უფლისწულის) პიროვნების აღმოჩენის თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ანალოგიური მომენტის არსებობა სხვა ეპიზოდებში გამორიცხებულია. ამიტომ, ამ მომენტის შემცველობის თვალსაზრისით კი არ არის ამჯერად ჩემთვის საინტერესო ტარიელის ამბოხების ეპიზოდი, არამედ იმ ტიპურობით, რომელიც მას პოემის მხატვრული კონტექსტის ორგანულ ნაწილად და მისი ყველა თვისობრიობის მატარებლად ხდის.

ახლა, როცა პოემის ეს ეპიზოდი ჩემს წარმოსახვაში ერთბაშად თავისი მხატვრული შინაარსის გარდა, მეორე, ისტორიული შინაარსის მტვირთველიც შეიქმნა, - (ე.ი. სოუქეტის მეორე განზომილებაში ფარსადანის წინააღმდეგ ტარიელის ამბოხება გადავიაზრე გიორგი III-ის წინააღმდეგ დემნა უფლისწულის ამბოხებად), ჩემს წინაშე წამოიჭრა აუცილებლობა, დავადგინო, - რა სახის შესატყვისობა არსებობს ეპიზოდის მხატვრულ კონტექსტსა და მის შესაბამის ისტორიულ კონტექსტს შორის. ამისი დადგენა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმისთვისაა საჭირო, რომ უთუოდ, ტარიელის თავგადასავლის სხვა ეპიზოდებშიც ანალოგიური შესატყვისობით უნდა იკითხებოდეს დემნა უფლისწულის თავგადასავალი. ამ საკვანძო ეპიზოდს გეზის მომცემის ფუნქცია უნდა აქონდეს დაკისრებული, რადგან მან მიიღო „ესტაფეტი“ სათაურიდან დაშვებული გასაღები. (რაკი სათაურში რუსთველის შესვლის ხერხმა ანალოგიის მეთოდით მიმაკვლევეინა, რომ სწორედ ამბოხების ეპიზოდში ყოფილა ჩადებული რუსთველთან დაკავშირებული ისტორიული სინამდვილე, - მისი იგივეობა დემნა უფლისწულთან, - ახლა ამბოხების ეპიზოდში დემნა უფლისწულის შესვლის ხერხმა ამავე ანალოგიის მეთოდით უნდა წარმოაჩინოს ტარიელის თავგადასავალში დემნას თავგადასავლის შემდგომი ძიების გზა).

რადგან ტარიელი პოემაში წარმოდგენილია ინდოეთის მეშვიდე სამთაუროს მეფის შვილად, ხოლო ფარსადანი - მთელი ინდოეთის მპყრობელად, ტარიელის მამა ფარსადანთან შედარებით, მცირე სამფლობელოს პატრონია და ბოლოს ხომ ნებაყოფლობით მისი ვასალიც ხდება. ასე რომ, ტარიელი თავისი წარმომავლობით ნესტანსუე გაცილებით მცირე უფლების მქონე უფლისწულია. მაგრამ როდესაც ამ ეპიზოდში სათაურიდან შემოსული „ინდიკატორის“ მეშვეობით მოხდა სამართლის სახელით აჯანყებული ტარიელის გაიგივება დემნა ბაგრატიონთან, და გაჩნდა ეპიზოდის მეორე (ისტორიული) წაკითხვა, ისტორიულ ჭრილში თავისთავად მოიხსნა ვასალისა



თუ მცირე უფლებების მქონე უფლისწულს ცნება. ე.ი. იხილეთის მემკვიდრე სამთავროს მეფის შვილობა დარჩა ტარიელის, როგორც მხატვრული სწავლების გმირის ატრიბუტად, ხოლო ტარიელი, როგორც რუსთველის იპოსტასი, - მოგვევლინა სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრედ.

მაშასადამე, ტარიელის ამბოხების ეპიზოდი ისეა აგებული, რომ მხატვრული სინამდვილე ასლობრივად კი არ ემთხვევა ისტორიულ კონტექსტს, არამედ გადმოგვცემს ისტორიაში მომხდარი ამბის არსობრივ მხარეს: სამართლის სახელით მოხუცი მეფის წინააღმდეგ ჭაბუკი უფლისწულის ამბოხებას ტახტის მოსაპოვებლად, ე.ი. ისტორიული მოვლენისა და პოემის მხატვრული ეპიზოდის არსობრივი სქემა იდენტურია, მხოლოდ პერსონაჟების ატრიბუტებია შეცვლილი.

როგორც ირკვევა, ტარიელის თავგადასავალში დემნა უფლისწულის თავგადასავალი პროეცირებულია მოვლენათა არსობრივი სქემით. ეს უნდა იყოს შეფარვის რუსთველური ხერხი, ე.ი. „ვეფხისტყაოსნის“ ხიუვეტის მეორე განზომილების შიფრი. ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს ამ გზით პოემის ტექსტის წაკითხვა.

მემართთ ვეფხისტყაოსანს“ ისე, რომ თვალი ისტორიულ მოვლენებზე გვეჭროს. ანდა, პირიქით, - დავიწყოთ ისევ ისტორიით:

ივანე ჯავახიშვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხარწმუნოდ მიიჩნევს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორის ცნობას, რომ დემეტრემ თავისი ხელით დაადგა გვირგვინი გიორგის, ხოლო სტეფანოს ორბელიანის ნაამბობს იმის თაობაზე, რომ მომაკვდავმა დავითმა უმცროს ძმას ნააბარა თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრე, ექვის თვალით უყურებს. მეცნიერი თვლის, რომ „მთელი ეს მოთხრობა, იმ სახით, როგორც იგი სტეფანოს ორბელიანს აქვს ნაამბობი, ყოვლათ შეუწყნარებელი რამ არის ... დავითსა და დემეტრე I - გიორგის ისეთი უთანხმოება კქონდათ ერთმანეთში, რომ შეუძლებელია დავითს გიორგი თავისი ანდერძის აღმასრულებლად დაენიშნოს“. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 243).<sup>1</sup>

დავითის ამგვარი გულუბრყვილობა მართლაც დაუჯერებელი რამ არის, მით უმეტეს, თუ დავითს ისეთ დღის პირისაგან შეჩვენებულ ადამიანად წარმოვიდგენთ, როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი გვიხასიათებს, მის მინამსგავს შვილ - დემნასთან ერთად. („უშიშობა დმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათსა, ვითარ თანაშთამამავლობა და გუართა უბედურობა ამის სამეფოსა კაცთა...ახასიათებდაო. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18). მემატინებს, შეიძლება, სწორედ ასეთად ესახებოდა მამა-შვილი. იგი გიორგი III-ის პოზიციაზე იდგა

1 - პირამ დორთქიფანიძის ზემოთმოყვანილი ახრიც „არ კქონია ადგილი დავითის შიერ არავითარი ანდერძის დარღუებას“-ო, ი. ჯავახიშვილის ამ მოხაზრებას ვსახვევა.

და მისი თვალთახედვით უნდა წარმოესახა მოვლენები; ერს, შთაშობავლობის ჭირდება დარწმუნებული იყოს მეფის სამართლიანობაში; მთ უმეტეს, იმ მეფისა, რომელმაც ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთა თავის ქვეყანას, ასეთი მეფეთა მემბტიანეების ფილოსოფიური მრწამსი.

მაგრამ... „ბევრი რამ ხდება, პორაციო, ზეცად და რატომღაც, რატ ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოღანდებიან“.

მართლაც, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთში მომხდარ ამბებს საქართველოს ისტორიასთან არსობრივი მსგავსების თვალსაზრისით კარგად ჩავუკვირდებით, ჩვენ იქ აღმოვაჩინთ ასეთივე გულუბრყვილო მეფეს, - ტარიელის მამას - სარიდანს (სუ ვექებთ ისტორიის ასლს, მივდივით მოვლენათა არსს), რომელსაც სწორედ მაშინ, როდესაც თავისი ძლევაგმოსილების მწვერვალზე იდგა, რატომღაც -

„ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები, თქვა: „წამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები, ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები“; ბრძანა, „წავად და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები,“ (313).

ამ უკანასკნელმა გაიხარა მის მფარველობაში სარიდანის შესვლით, დიდი ზეიმი გადაიხადა, მას შესაფერი პატევი მიაგო, ხოლო მცირე ყრმაზე, - ტარიელზე, თავად უშვილო ფარსადანმა თქვა „შვილად გავზრდი“-ო. საგულისხმოა სიტყვები, რომლითაც ტარიელი ამ ამბავს გადმოგვცემს:

„ვა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა მუფემ ბრძანა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“. (318)

ამის შემდგომ ტარიელი იმასაც გვამცნობს, რომ ფარსადანს მართლაც შეუხსრულებია თავისი დაპირება:

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად, საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ღაშქართა და ქვეყანათად, ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;“ (319)

მკითხველს დიდხანს აქვს იღუზია, რომ ტარიელი იქნება ინდოეთის ტახტის მფლობელი და ეს სავსებით ბუნებრივი ჩანს, რადგან ფარსადანს არ ჰკავს ვაჟი. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ფარსადანი უგულებელყოფს სარიდანისადმი მიცემულ პირობას (ვითომ ასეთი პირობა არც ყოფილიყოს) და ისე იქცევა, თითქოს ტარიელს ტახტთან არავითარი დამოკიდებულება არ შეიძლება აქონდეს.

სწორედ ამ ურთიერთობათა კულმინაციურმა მომენტმა, ჩვეულებრივსა-  
ხამართლის სახელით (კანონიერი უფლების ძალით) უფლისწულის დაპირის-  
პირების ფაქტმა, - მოგვახდენინა იდენტიფიკაცია ტარიელ-დემნასი და ფარ-  
სადან-გიორგი III-ისა, ე.ი. წარმოაჩინა პოემის სიუჟეტის „მეტრე“ გან-  
ზომილების კონტექსტი. ახლა ამ კონტექსტს კიდევ ემატება უმნიშვნელოვანეს  
ფაქტთა წყება: დემნას მამის მიერ გიორგი III-ისთვის თავისი მცირე ყრმის  
ჩაბარება; გიორგის მიერ მიცემული პირობა, რომ მას ტახტის მემკვიდრედ  
გაზრდიდა; და ბოლოს მეფის მიერ თავისივე დაპირების უგულებელყოფა. (ეს  
ზუსტად სტეფანოს ორბელიანის ვერსიაა). როგორც ამოხების ეპიზოდში,  
ისევე აქ, ისტორიული მოვლენისა და მხატვრული მოვლენის არსობრივი  
სქემა და მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება იდენტურია; პოემაში  
მხოლოდ პერსონაჟთა ატრიბუტები და მათი თანმხლები სიტუაციებია შეცვ-  
ლილი.

რამდენადაც გულუბრყვილოდ არ უნდა გამოიყურებოდეს დემნას მამა-  
დავით მეფე, და რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა ჩანდეს მისი ნდობა  
მტრულად განწყობილი უმცროსი ძმისადმი, ეტყობა იგი სწორედ ასე მო-  
ქცეულა, და გიორგი მეფესაც ის ჩაუდენია, რაც ფარსადანმა ჩაიდინა.

როგორც ვხედავთ, რუსთველის იპოტაზის, - ტარიელის თავგადასავ-  
ალში ახასულთა არსი ოფიციალურად ცნობილი თითქმის ყველა ძირითადი  
ფაქტისა, რაც კი ისტორიულმა მატრიანებმა შემოგვინახეს დემნა  
უფლისწულის ცხოვრების შესახებ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,  
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის არსობრივი სქემით წაკითხვამ მოიპოვა დემნა  
უფლისწულის მატრიანის სტატუსი, ორგანულად დაუკავშირდა რა ამით  
„ვეფხისტყაოსნის“ შესავალს, როგორც დასაწყისს ამ მატრიანისას.

თუკცა ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს ერთი მეტად მნიშვნელოვანი  
მოვლენის თაობაზე, რომელსაც არც თუ დიდ ადგილს უთმობს მეცნიერი,  
მაგრამ მაინც აღნიშნავს, როგორც ფაქტს: დემნა უფლისწული სიძე იყო  
ამირსპასალარ ივანე ორბელისა. ეს რამდენიმე სიტყვიანი ინფორმაცია თით-  
ქოს საძირკველს აცლის დემნა-რუსთველის იგივეობას, რადგან ეწინააღმდე-  
გება იმ მოთვარსა და ძირითადს, რაც რუსთველმა თავის თავზე გვითხრა პო-  
ემის შესავალში (ჩვენ მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მატრიანის დასაწყისად მიჩნეულ  
ნაწილში): 1. რომ ის თამარის მიჯნურია, მისგან ხელქმნილი და მისგან  
ხელთდასხმული. 2. რომ, თუკცა თამარი მისადმი ჯიქივით უწყალოა, მაგრამ  
მას თავისი ცხოვრების აზრად მხოლოდ მისი მიჯნურობა და მხოლოდ მისთ-  
ვის „ხელთნობა“ მიაჩნია. 3. რომ მიჯნურობა მისი მხოლოდმხედველობაა. 4.  
რომ იგი მიჯნურობის გამო სოფელს თმობს, და ა.შ.

თუ „ვეფხისტყაოსნის“ მატრიანემ შექვი არ მოჰყინა რუსთველის  
პოზიციიდან გაუმართლებელ მისი (დემნა უფლისწულის) ქორწინების ფაქტს,  
და რაც მოთვარია, არ წარმოაჩინა თამარისადმი სიყვარულის როლი მის  
ცხოვრებაში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს მატრიანე არ არსებულა და ჩვენ

რაღაც მირაჟის ტყვეობაში მოექცეულვართ. შეუძლებელია მეისტორიის ძეგლი და ნეიტრალური ცნობისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეში წარმოდგენილი არ იყოს დემნა უფლისწულის სიყვარულის ტრაგედია, არაა გორც მთავარი ფაქტორი მისი პედისწერისა.

ისტორიულ მატიანეებში არაფერია ნათქვამი დემნას თამარისადმი სიყვარულზე; ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება წინა ეპიზოდების მსგავსად, ისტორიულ ფაქტებთან პოემის ტექსტის უშუალო შეპირისპირებით დაეადგი-ნოთ მოვლენათა არსობრივი თანხვედრა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ წინარე თანხვედრებმა თავისი ხამსახური გაავიწოა; ფაქტორად, დაგვანახა, რომ მხატვრული ნაწარმოები (ყოველ შემთხვევაში, - ინდოეთის სამეფოს კარდინალური მოვლენები) სინამდვილეში მომხდარი ამბის საფუძველზე არის აღმოცენებული და მის არსობრივ სტემას ეფუძნება.

ვიდრე ჩვენ ამ ძიებაში ვიყავით, ე.ი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ჩვენთვის უცნობ, მეორე წაკითხვას ვადგენდით, მთელი გულისყური გარედან შიგნით, ანუ ისტორიიდან ნაწარმოებისკენ გვექონდა მიპყრობილი. ახლა კი, როცა ჩვენს წინაშე გამოიკვეთა „ვეფხისტყაოსნის“ მატიანე და მისი წაკითხვის წესი, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა შიგნიდან გარეთ გავიხედოთ, ე.ი. „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთში მიმდინარე მოვლენათა არსის და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიხედვით ვიმსჯელოთ ისტორიაში მომხდარ ამბავთა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე; რაც ისტორიამ არ შემოგვინახა, ის „ვეფხისტყაოსნის“ მატიანიტ გაეარკვიოთ.

როგორც უკვე ითქვა, ისტორიულ წყაროებში არავითარი კვალი არა ჩანს დემნას თამარისადმი სიყვარულისა. მაგრამ შეუძლებელია მემატიანეთა მიერ აღწერილ ისტორიულ მოვლენებში, როგორც დაფარული მიზეზი, არ თანაარსებობდეს ეს სიყვარული და სინამდვილეში მომხდარი ამბავი გარკვეულწილად მაინც, მისი შედეგი არ იყოს. ამ მიმართულებით ფიქრისას, პოემაში რკალი იკვრება ხვარაზშმას ეპიზოდის ირგვლივ, ხოლო ისტორიული მოვლენის გასაღებს გვაძლევს დემნა უფლისწულის ქორწინების ფაქტის ივანე ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაცია. დავიწყით ამ უკანასკნელიტ, ე.ი. გავიხსენოთ მეცნიერის მოსაზრება, რომელსაც იგი გამოთქვამს დემნა უფლისწულის ამბოხების წინაპირობათა მიმოხილვისას: - „რომ დემნა სამეფოდ არ ემზადებოდა, ეს ყველაასათვის უნდა ცხადი ყოფილიყო, მით უმეტეს, ივანე ორბელიასათვის, იმიტომ, რომ დემნას ცოლად ივანე ორბელის ქალი, მამასადამე ქვეშევრდომის და არა სამეფო გვარის ასული შერთეს. მამინ სამეფოდ გამზადებული უფლისწულისათვის ეს შეუწყნარებელი საქციელი იყო“<sup>1</sup>. რ. მეტრეველს თავის წიგნში მოჰყავს ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება და დასძენს: „შიდილება ამგვარ ქორწინებაში შორსგახედული

1 - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, (თბ, 1965) გვ. 243.

გიორგი მესამის ხელიც უნდა იქონიებდეს. ამით კიდევ უფრო ხაზგასმულია ი. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ დემნას კი არ შეურთავს, არამედ „შერთუქ“ ორბელინის ქალი. (ეს ვარაუდის ფორმით გამოთქმული დასკვნები ფაქტის ღირებულებას იძენენ, რადგან საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულთა ქორწინების სამსაუკუნოვან ტრადიციას ემყარებოდა).

მხოლოდ სტევანოს ორბელიანსა აქვს ნახსენები ორიოდ სიტყვით, რომ დემნა ივანე ორბელინის სიძე იყო. სხვა შემატყობებს ეს აღნიშვნის ღირსადაც არ უცნიათ. ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების კომენტარმა წინამოსწია დემნას ქორწინებაში გიორგი მეფის ჩარევის უეჭველი ვარაუდი და ჩვენთვის ცხადი გახადა ამ ფაქტის უზარმაზარი მნიშვნელობა, - გვგვარძნობინა, რა ძალუმად იხმის „ვეფხისტყაოსანში“ მისი გამოძახილი. ამ მოვლენის ერთი მხარეა ის, რომ დემნა უფლისწულს თავისი ნებით არ შეურთავს ორბელინის ქალი; მაშასადამე, მას როგორც მიჯნურს, თავისი მრწამსით არ უღალატებია, - ძალით აღალატებინეს. მეორე მხარეა ის, თუ როგორ შეხვდა იგი ამ ძალდატანებას. ისტორიაში არ ჩანს ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, სამაგიეროდ იგი ხელშესახებად იკვეთება „ვეფხისტყაოსანის“ მატანეში: ირკვევა, რომ დემნა უფლისწულის ამბოხება სწორედ ამ ნაძალადევი ქორწინების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი იყო. ამისი დამადასტურებელია ხვარაზმშას ეპიზოდი: -

ამ ეპიზოდამდე არსად ჩანს, რომ ტარიელს ეჭვი ეპარებოდა ფარსადანის კეთილგანწყობილებაში, ან ჭაბუკი ამირბარის მეფურ ღირსებას რაიმე აყენებდეს ჩრდილს ხელმწიფის თვალში. თუმცა ნესტანის ღირსებანი თვალსაჩინოა, მაგრამ მისი გამეფების შესაძლებლობაზე ადრე მხოლოდ გაკვრივითა ჩამოგდებული სიტყვა; ეს საკითხი გამოკვეთილი არაა ინდოეთის მეფის კარზე. და მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნასავით მოულოდნელი და თავზარდამცემია ის ცნობა, რომ მეფე და დედოფალი აპირებენ ნესტან-დარეჯანის საქმროდ და ინდოეთის მეფედ ხვარაზმშას შვილის მოყვანას. ფაქტიურად, სამეფო კარის ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება იქცევა, როგორც ამბოხების, ისე მთელი ტრაგედიის მიზეზად.

ამ მოვლენაზე დაკრძობით ჩვენ შემდეგი დასკვნა გამოგვაქვს: - ეტყობა, დემნა, როგორც ტარიელი, გარკვეულ დრომდე იმ ილუზიის ტყვეობაში იმყოფებოდა, რომ გიორგი III-ს თავის მემკვიდრედ იგი მიიჩნდა, და ამიტომაც იყო, რომ არ ჩქარობდა ტახტზე პრეტენზიის გაცხადებას; მეფობისთვის ემზადებოდა, განათლებას იღებდა, სამხედრო ხელოვნებაში იწვრთნებოდა, და ამ მხრივ ისე გამოიჩინა, რომ მისადმი მტრულად განწყობილი შემატყობის ტუნჯი, მაგრამ მრავლისმეტყველი ქებაც კი დაიმსახურა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დემნა, ისევე

1 - როინ მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (თბ., 1973), გვ. 123

როგორც ტარიელი, თავისი სიყვარულით უფრო იყო შთანთქმული, ვიდრე ტახტისადმი დტოილით, მით უფრო რომ ტახტზე დირსული მკვე იყდა.

რას მოახსენებს არსობრივად ტარიელისთვის ფარსადან - მეფის გადაწყვეტილება ინდოეთში ხვარაზშმას მოყვანის შესახებ? არსობრივად ხვარაზშმაში ორი კომპონენტი ერთიანდება: ტახტის მოცილე და სიყვარულის მოცილე. რეალობა თუ არა ეს არსობრივი სქემა დეჰმა უფლისწულის ისტორიული კონტექსტისათვის? რა თქმა უნდა, რეალობა, მაგრამ არა უშუალო, არამედ პერსპექტიული რეალობა ან უფრო ზუსტად, რეალური პერსპექტივა: შერთეს თუ არა დეჰმა უფლისწულს ორბელის ქალი, - ჩამთავრეს რა იგი ამით სამეფო ტახტს, - როგორც გარდუვადი შედეგი ამ მოვლენისა, უკვე რეალურ პერსპექტივად იქცა საქართველოში უცხო ქვეყნის უფლისწულის მოყვანა თამარის ქმრად და ქვეყნის მეფედ. და დეჰმა უფლისწულის ამოხება, ფაქტურად, ამ რეალური პერსპექტივის წინააღმდეგ, ბრძოლა იყო: მას არ უნდოდა სხვა ქვეყნის უფლისწული თამარის ქმრად და საქართველოს მეფედ. მას, როგორც ტარიელს, პირველ ყოვლისა, სიყვარული აძლევდა ბრძოლის სტიმულს, მაგრამ თამარის სიყვარულს იგი აშკარად ვერ გააცხადებდა და მხოლოდ მეფობისთვის უნდა გამოეყო თავი. რომ ეს მართლაც ასე მოხდა, შემტანეები ადასტურებენ. დეჰმა უფლისწული, ისევე როგორც ტარიელი, ოფიციალურად მხოლოდ ტახტისათვის აჯანყდა. თამარის სიყვარული, ცხადია, გამჟღავნებული არ ყოფილა, თორემ ივანე ორბელი (დეჰმას სიმაზრი) ამ ბრძოლაში მისი თანამდგომი არ იქნებოდა.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ ხვარაზშმას ეპიზოდს; მისმა არსმა და მის ორგანიზაციულ თემოყრილმა მიხეზ-შედგობრივმა კავშირებმა უნდა გაგვარკვიოს დეჰმა უფლისწულის თავგადასავლის ურთულეს პერიპეტეებში, რამდენადაც ამ ეპიზოდში ძვეს დეჰმას (რუსთველის) იპოტაზის, - ტარიელის პედისწერის გასაღები. ჩვენ მხოლოდ ეპიზოდის ერთი ნაწილი განვიხილეთ. ახლა ხატიროა მოლიანი ეპიზოდის არსი გამოვადინოთ და ამასთანავე, თვალის გადავხედოთ მიხეზ-შედგობრივად ურთიერთგადაჯატეული ეპიზოდების არსობრივ სქემას, რათა შემდეგ გავიხროთ იგი საქართველოს ისტორიულ კონტექსტში.

ტარიელისთვის ინდოეთში მომხდარი ამბავი უშუალო რეალობაა. აქედან გამოიშინარე, სქემატ მომხდარი ფაქტების არსს წარმოადგენს:

1. - ტახტის პრეტენდენტი უგულბუღუყუყს და უცხო ქვეყნის უფლისწული მოყვანეს მეფის ასულის ხაქმრიოდ და ქვეყნის მომავალ მეფედ.
2. - მეფის ასულზე შეყვარებულმა ტახტის პრეტენდენტმა მოკლა უცხო ქვეყნის უფლისწული, რითაც ტახტისა და სიყვარულის მოცილე ჩამოიშორა.



III. - მეფის ოჯახმა უცხო უფლისწულის მეკვლელობა, პირველ ყოვლისა, მეფის ასულისადმი სიყვარულის გამოვლინებად ჩაუთქადა ტახტის პრეტენდენტს.

IV. - ტახტის პრეტენდენტისა და მეფის ასულის სიყვარული-შოროლის საწინააღმდეგო მოვლენად მიიჩნია ქალის გამხრადელმა მამიდამ და თავისი გაზრდილი უღმობლად დასაჯა, - ქვეყნიდან უცხო-სიკვლოდ გადაკარგა.

V. - მეფობის პრეტენდენტს საბოლოოდ გაეხსნა გზა ტახტისაკენ, რადგან მოხუც მეფეს მის გარდა მექვიდრე აღარ დარჩა; მაგრამ მან ტახტს ზურგი აქცია და დაკარგული სატრფოს საძებრად გაიჭრა; მას სატრფოს გარეშე მეფობა არ სურდა, რადგან მისი ცხოვრების უმაღლეს აზრს სიყვარული შეადგენდა.

რა დამოკიდებულება აქვს მოვლენათა ამ არსობრივ სქემას საქართველოს ისტორიის კონტექსტთან? როგორც უკვე ითქვა, ისტორიულად მომხდარი ამბავია დემნას ტახტიდან ჩამოშორება მისთვის უთანახვარო ქორწინების თავზე მოხვევით, რასაც გარდუვალ შედეგად (რეალურ პერსპექტივად) უნდა მოჰყოლოდა უცხო ქვეყნის უფლისწულის მოყვანა თამარის ქმრად და საქართველოს მეფედ.

იმით, რომ მომხდარი ფაქტი კი არ გადაიტანა პოემაში, არამედ მისი პერსპექტიული შედეგი დახატა, - გენიალურმა პოეტმა რამდენიმე პრობლემა ერთად გადაჭრა: ჯერ ერთი, ეს გამოიყენა შეფარვის ხერხად, რომ აღარაფერი ვთქვათ მოვლენათა განლაგების იმ მხატვრულ შესაძლებლობაზე, რომელსაც ეს მოვლელი იძლევა; და რაც „ვეფხისტყაოსნის“ მატანიის თვალსაზრისით მთავარია, - ამ გზით მან მიგვახვედრა, რომ ის, რაც სიყვარულის გამოვლენის სფეროში ტარიელისთვის უშუალო, ფაქტობრივი რეალობაა, დემნასთვის მხოლოდ პერსპექტივაშია რეალობა.

მაშასადამე, ზემოთმოყვანილი არსობრივი სქემა ტახტიდან ჩამოშორებული დემნა უფლისწულის კონტექსტში ასეთ სახეს იღებს:

I. - რახან დემნა ტახტს ჩამოაშორეს, გარდუვალია უცხო ქვეყნის უფლისწულის მოყვანა თამარის ქმრად და საქართველოს მეფედ, ე.ი. გაჩნდა ტახტისა და სიყვარულის მოცილის რეალური პერსპექტივა.

II. - თუ დემნა მოსპობს ტახტისა და სიყვარულის მოცილის პერსპექტივას, ე.ი. თუ დიპლომატიის ტახტს და გამოამჟღავნებს თამარის სიყვარულს, გარდუვალია სავალალო შედეგი: მამიდის მსჯავრი, სატრფოს გადაკარგვა. (საქართველოში უფრო მეტი მიზეზია უფლისწულთა სიყვარულის შეუწყნარებლობისთვის, რადგან თამარის მამიდა დემნას მამიდაცაა; და ორთოდოქსალური ქრისტიანობის მორალი გადაუღალავ ზღუდედ დგას ბიძაშვილთა შორის. მამიდის მსჯავრში სწორედ ამ მორალის არსია ჩამარხული).

სატროოს გადაკარგვა.. არაერთი მეფის ასული წასულია საქართველოდან უცხო ქვეყნის მშრომანებელთა ხელად.

III. - ეს რომ ასე მოხდეს, დეშნა უფლისწულისთვის ასრს დაკარგვის ტახტი და მეფობა.

ეს პერსპექტიულ-არსობრივი სქემა ნათლად გვიხატავს იმ დამაბნელებელი სიტუაციას, როცა ამოხებული დეშნა უფლისწული არჩევანის წინაშე იდგა: ტახტი თუ სიყვარული? სწორედ ამ რეალურ პერსპექტივათა მღელვარე მონაცვლეობაში ჩანს უფლისწულის უმძიმესი განცდები, გარემოებათა აწონ-დაწონა, და საბოლოოდ მის პიროვნებაში „კარგი მოღწურის“ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

ტარიელი აფექტით იწყებს და აფექტითვე ამთავრებს. დეშნა უფლისწულიც აფექტით იწყებს: იგი ამოხდება ადამიანური ღირსების და მეფურ უფლებათა ხელყოფის გამო.. მაგრამ ჩანს, რომ ამოხების პროცესში იგი ტანჯვით მიდის საბოლოო გადაწყვეტილებამდე; მოედუნათა ანადონის შედეგად თავს იკავებს იმ ზრახვათა განხორციელებისაგან, რაც საქართველოს თამარს დაუკარგავდა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მატანე გეამცნობს ამოხებაში დეშნა უფლისწულის დამარცხების მიზეზს: დეშნა უფლისწულმა ხელი აიღო ბრძოლაზე იმ სავადილო შედეგის გათვალისწინებით, რაც მოაქვევოდა მის მიერ ტახტის დაუფლებას და თამარის სიყვარულის გაცხადებას. მეფობა მის გულსა და გონებაში მხოლოდ თამარის სიყვარულთან თანაარსებობდა. მას არ ხურდა უთამაროდ საქართველოს ტახტი, და მით უმეტეს, ვერ წარმოედგინა უთამარო საქართველოში მეფობა.

სკეპტიკოსები იტყვიან, რომ ასეთი რამ სინამდვილეში არ ხდება. რუსთველი გვარწმუნებს, რომ დეშნა უფლისწულად ყოფნის დროს იგი სწორედ ასე მოიქცა.

ზოგიერთი ისტორიკოსისთვის ეს იქნებ მეტად სათუო არგუმენტი იყოს, მაგრამ გენიალური პოეტისათვის, რომელმაც თავის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროში სიყვარულის დექტატურა დაამყარა და რომელიც „სისხლისა ცრემლდათხუელი“ წერს თავისი ცხოვრების მატანეს, ნებისმიერი მოქმედების ასახსნელად საკმარისი საფუძველია შეყვარებული გულის დექტატი.

ისტორიის მამად სახელდებული პეროდოტე კაცობრიობის ისტორიაში არაერთ მავალითს ასახელებს იმისას, თუ როგორ განაპირობა ადამიანურმა (და არა პოლიტიკურმა) ვნებათა დედეამ ცალკეული სამეფო დინასტიებისა და სახელმწიფოების ბედი.

ახლა ჩემთვის ნათელია, თუ რა პირად გამოცდილებას ეყარება „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში შეგონების სახით ნათქვამი: „კარგი მოღწური იგია, ვინ იქმს სიფლისა თმობასა“... ალბათ, იმიტომაცა აქვს შემოქმედების

ასეთი ძალია რუსთველის ყოველ ფრაზას, რომ იგი არა მარტო მოქმედია, არამედ მქმნელიც იმისა, რასაც ჩვენ შთავგავითვებს.

უნიანიდან „ვეფხისტყაოსნის“ მატთანვე დემნა უფლისწულის გამოცდილებაზე დაყრდნობითაა დაწერილი, ყველა ისტორიული მოვლენის მისივე თვალთახედვით არის აღქმული და შეფასებული. როგორც დაგმობის, ისე აღმართის ნაღმდევბ აშობების მომენტებიდან დაწყებული, ამ მატთანვეში გეზის მანვენებულია დემნას თამარისადმი სიყვარულის საზი. ეს სიყვარული, „შესავლის“ რუსთველიდან ტარიელის გავლით ელექტროდენივით რომ გავდეცება დემნა უფლისწულს, ნათელს პეუნს ისტორიულად მომხდარ ამბავთა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

დემნას თამარისადმი სიყვარული... ეს თითქოს თვითქმარი ფენომენია და არც საჭიროებს კითხვის დასმას: არსებობს თუ არა თამარის დემნასადმი სიყვარული? მაგრამ ბოლოს დგება ამ კითხვის ჯერიც, რადღაც ტარიელი, როგორც იპოსტასი, სწორედ სიყვარულით თანხვდება რუსთველს (დემნა უფლისწულს), და ტარიელის სიყვარული წარმოუდგენელია ნესტანის სიყვარულის გარეშე.

როგორია თამარის დემნასადმი სიყვარული? რა ზომამდე შეესაბამება იგი ნესტანის ტარიელისადმი სიყვარულს? ამ ორ მოვლენას შორის რომ იფიქრობის ნიშნის დასმა არ შეიძლება, იმთავითვე ცხადია: რუსთველი თავის ერთადერთ ხალოცავს, - თამარს, „ჯიქივით უწყალოს“ უწოდებს.

მაგრამ „ჯიქივით უწყალობა“ იმის უტყუარი საბუთი როდია, რომ სიყვარული არ არსებობს.

ნესტანის სიყვარულში თამარის სიყვარულის თვისობრიობის მისაკვლევად გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ნესტანისა და ტარიელის თავგადასავლის კულმინაციური მომენტები (ხვარაშშმას მოკვლა და მასთან დაკავშირებული დავარის განაჩენი) „ვეფხისტყაოსნის“ მატთანვეში წარმოუდგენელია არა როგორც უშუალო ფაქტი, არამედ როგორც რეალური პერსპექტივა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით დემნას სიყვარულიც არ გამოვლენილა ტარიელური აფექტის ხასით, თუმცა თავისი სიშშვაგით იგი ტარიელის სიყვარულს უტოლდებოდა; იგი დარჩა ბობოქარ, მაგრამ დათრგუნვილ პოტენციალად, - მოვლენათა წარმმართველ ფარულ მიზეზად.

აქედან ჩანს, თუ რა შორსგამწვდომი მოხანდასახულობა აქონია რუსთველს, როდესაც იგი ნესტან-ტარიელის სამოცხურო თავგადასავლის ძირეულ ეპიზოდებს რეალურ პერსპექტივად წარმოვიდგენდა „ვეფხისტყაოსნის“ მატთანვეში. რეალობათა ეს შენაცვლება კანონზომიერებას ამკვიდრებს: სიყვარულის გამოვლენის ფორმა პოემასა და ისტორიულ სინამდვილეში ერთმანეთს არ შეესაბამება, თუმცა მისი შინაგანი არსი და შემოქმედების ძალია იდენტურია.

მასასადამე, არსებობს თამარის დემნასადმი სიყვარული, შესაძლოა, თავისი არსით ისეთივე ბობოქარი და ყოველისმომცველი, როგორც ნესტანის

სიყვარულია, მაგრამ ისევე გამოიყვლება და დათრგუნვლი, როგორც თვით დემნას სიშმაგე...

ჩანს, თამარი „ჯიქივით უწყალოა“ უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სიყვარულის მიმართ. იგი არამც და არამც არ არის პასიური მოსაწილე დემნას სიყვარულის ტრაგედიისა.

ამ ურთიერთმიმართებათა ფონზე ძნელი ამოსაცნობია, - თამარის სტიქიური სიყვარული მისდა უნებურად შედგანდება და ფრთას ასხამს შეყვარებულ უფლისწულს, თუ თამარის „უწყალობის“ მიღმა ნესტანის მგზნებარებას ჭერეტს დემნას არსებიდან ფხიზლად შირიალი სიყვარულის გენიის თვალთ. სიყვარულის გენია ხომ ისევე ძლიერია რუსთველში, როგორც პოეზიის გენია; მისივე აღიარებით, პირველის პირშია მეორე.

აქ შეიძლება წერტილის დასმა, რადგან უკვე ხაზინაა, რომ ორი პოეტარული მოვლენა, - ნესტანური სიყვარული და მოღწურისადმი უწყალობა მტკივნეულად თანაარსებობს „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეში.

მაგრამ მეტი სიზუსტისათვის რამდენიმე საკითხი კიდევ მოითხოვს ჩვენს ყურადღებას:

პოემაში უფლისწულთა სიყვარული იბადება დავარის მიღმა; იბადება, ფრთას ისხამს და ადამიანურ გრძობათა უზენაეს მწვერვალს აღწევს. დავარის რისხვა მათ მოულოდნელად ატყდება თავს და ბედისწერის როლს ასრულებს. ისტორიულ სინამდვილეში „დავარის“ რისხვა არა თუ მოულოდნელი, არამედ გარდევნილად მოსალოდნელია. „დავარი“, როგორც ბედისწერა იმთავითვე არსებობს: - ეს არის მართლმადიდებლური ქრისტიანული მორალის მიერ ზიანშეიღბთა სიყვარულის შეუწყნარებლობა. მაგრამ „დავარის“ (სიყვარულის შეუწყნარებლობის) მოუხედავად სტიქიურად იბადება ქართულ უფლისწულთა სიყვარული, და ისევე „დავარის“ არსებობის გამო მათ მიერვე ითრგუნება. ოღონდ დათრგუნვის მიზეზი ორივე უფლისწულისთვის თავისებურია: -

რუსთველის განცხადებაში, - რომ მას უყვარს თამარი, რომ იგი ხელი მიჯნურია, - შმაგი და ველად გაჭრილი; რომ იგი სიყვარულის „ხელობით“ შეპყრობილი წერს „ვეფხისტყაოსნის“, - აშკარად ჩანს, რომ მას ღვთის და თამარის წინაშე ცოდვად არ მიანია თავისი სიყვარული. იგი ადამიანზე მსჯელობს თვით ადამიანური ბუნებიდან, ადამიანის გულიდან გამოშდინარე კანონებით; მისი აზროვნების და ენებათა ღელვის დიაპაზონი სიყვარულის კონსორ სტიქიისშია ჩართული და კანონიკური მორალის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ...სიყვარულის „ხელობით“ შეპყრობილი ჭაბუკი უფლისწული (ვიდრე იგი რუსთველის ფილოსოფიურ განსჯამდე ამაღლდებოდა) თვით სიყვარულის ძლევაშიოსილებამ შეაჯახა კანონიკური მორალის ჩარჩოებს და მისი ვადალახვა აუქრებინა. ეს ჩანს იმ ფაქტში, რომ თავისი ამბოხების ჟამს მან განიზრახა გაეცხადებინა ეს სიყვარული. (ხვარაზმშას ეპიზოდის მატინახიუელი ვააზრება). თუცა ეს აღბათ, სიყვარულის სიღივე

უფროა, ვიდრე გამიზნულად მორაღის წინააღმდეგ ამხედრება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს განხრახება ნამდვილად დაუუფლა მას, და თან დაუუფლა ისეთი სიშმაგით, რომ მან შემდგომ პოეტის წარმოსახვაში ხვარაზმშას მკვლელობის მრისხანე ეპიზოდი გამოიწვია. (ეტიყობა, თავსწრხვეკუდი უორწინებით გამძენინვარებული და სატროფოსთან ერთობის ურწინააღმდეგობა დემნა უფლისწული, თავისი აფექტის მომენტში მზად იყო სიყვარულის ყოველგვარი მოცილე ისევე დაუნდობლად აღეგავა პირისაგან მიწისა, როგორც ტარიელმა აღგავა თავისი მეტოქე). მაგრამ „დავარის“ განაჩენის გარდუვალობაზე ფიქრმა დააცხრო მისი სიგოვე. საქმე ისაა, რომ „დავარის“ განაჩენი სწორედ თამარს ემუქრება, და ამასთანავე, არა მხოლოდ მამიდის, ან სხვათა მოსალოდნელი განრისხების გამო, არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ „დავარში“ განხორციელებული მორაღი თვით თამარის მორაღია, რომელიც მას „ჯიქივით უწყალოდ“ აქცევს. ამას ვგულისხმობდით, როდესაც ვამბობდით, სიყვარულის დათრგუნვის მიზეზი ორივე უფლისწულისთვის თავისებურიაო.

თუ „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეს ერთხელ კიდევ გადავაგლებთ თვალს, დაერწმუნდებით, რომ დემნა უფლისწულის თავგადასავალი, როგორც ფაქტობრივი რეალობა წყდება იქ, სადაც მისი ამბოხების ფაქტი და ამბოხებაში დამარცხების მიზეზია წარმოიქმნილი. დავარის განაჩენი და მასთან დაკავშირებით ტარიელის გადაკარგვა ინდოეთიდან, დემნასთვის პერსპექტივადაა გააზრებული და ამდენად, არაუერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ რა ბუდი ეწია მას ამბოხების შემდეგ.

რაკი „ვეფხისტყაოსნის“ მატიანე დემნა უფლისწულისა და რუსთველის იგვეუბას წარმოაჩენს, ეს ნიშნავს, რომ თავისი უკვდავი პოემა დემნა უფლისწულს უნდა დაეწერა მისი ამბოხებისა და ტახტის დათმობის შემდეგ. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეში უსათუოდ უნდა იყოს დემნას გადარჩენის მაუწყებელი ფაქტი.

ჯერ მივებრუნდეთ ისტორიულ მატიანეებს და ვნახოთ, როგორ გამოგვეცემენ ისინი დემნა უფლისწულის ცხოვრების დასასრულს. ხოლო შემდგომ ისევ „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეს მივმართოთ.

### იხვე მატიანეებში

ლორეს ციხის ალყამ რამდენიმე თვეს გასტანა. გაუჭირდათ ციხეში მყოფთ, ხტეუბანოს ორბელიანის ცნობით, მოაღყუთა შორის იყვნენ ივანე ორბელიანადმი კეთილგანწყობილი დიდებულები და „იწყეს მათ იდუმალ წიგნის წერა; შეაბამდიან ისარსა და გასტყორციდიან ციხეში და ურჩევდნენ მორჩილებასა, რომელ ეშინოდათ მოხელისა ელიტიკოზ ათაბაგისა, ზემორე ხსენებულისა“ („ცხოვრება ორბელიანთა“, გვ. 48). ერთ-ერთ ასეთ წერილში ამგვარად მიმართავენდნენ ამირსპასაღარს: „დიდო ივანე ორბელიანო, ძლიერო და უძლეველო, რომელი ოყავ მთავარი და თავი სახლისა სამეუოისა

და სპასხლარი გიორგისა. აწ უკეთუ გნებაგს განსუენება და სიციცხელი, პატივი სასურველი და განუსომელი, მამული შენი, რომელი ხელობს ნახევარსა ქართლისასა, მოვედ და მთართვი ყრმა ეგე, ძე დადითისა, დემსა, რომელმაც იქმნა მიზეზი ბოროტისა შენისა და სხვათა მრავალთა<sup>1</sup>.

ივანე ორბელმა ასევე ისრით გასტყორცნა წერილი, რომელშიც თავის მტკიცე პასუხს ამცნობდა მეფის მომხრეებსო, - წერს სტ. ორბელიანი: „ორის დღის პატივისათვის მე ვერა გარდავაღ მას, რომელიც აღმოთქვამს და ვერცა უარყოფ ფიცსა მას საშინელსა, არამედ მე მოგკუდები ფიცისათვის ჩემისა და მივალ სასუფეველსა უფლისა ჩემისა მიერ“<sup>2</sup>.

ყველა ამ სიტუაციაში სტეფანოს ორბელიანი მთელის სიდიადით წარმოაჩენს ივანე ორბელს და მას სახავს ამ ისტორიული ტრაგედიის მთავარ გმირად. (იგი ორბელიანთა გვარის მემბტიანუა და მათი პოზიციიდან განიხილავს 1177 წლის ამბოხებას, რომელიც მისი თვალსაზრისით უკანასკნელი ეპიზოდია საქართველოს ამ ბრწყინვალე გვარის მრავალსაუკუნოვანი სუიციხისა).

მაგრამ ვიდრე სტეფანოს ორბელიანის ნაამბობის კულმინაციურ მომენტამდე მივიღოდეთ, ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: მეფის მომხრე და ივანე ორბელისადმი კეთილგანწყობილი დიდებულები შიშობდნენ, რომ ლიპარიტ ორბელი დაბრუნდებოდა მაშადადინთა ლაშქრითო, გვაუწყა ისტორიკოსმა. ჩვენ ვასკენით: თუ მეფის ბანაკი შიშობდა, ამბოხებულთა ბანაკი ხომ პირიქით, იმედით ელოდა მეშველ ძალას. „ადერბაიჯანის ათაბაგი, როგორც ჩანს, ფრთხილად იქცეოდა, ამბუბის განვითარებას უცდიდა, რომ უდროო და ნაადრევი ჩარევით თავისთვის ზიანი არ მიეყენებინა“<sup>3</sup>, - წერს ნ. ბერძენიშვილი.

აი, ამ დაძაბულ ვითარებაში ხდება ისარზე შემბული წერილების გაცვლა-გამოცვლა მეაღყეთა და ალყაში მყოფთა შორის. და სტეფანოს ორბელიანი გვამცნობს: „ოდეს ესმათ დაუდრეკელი ნება მისი (ივანე ორბელისაო, თ.ე.) გააფიცხეს ომი. მაშინ დემნა უგუნურებითა თვისითა შეშინდა, გამოვიდა ღამე, ზღუდედ გარდმოუკიდა, მივიდა ბიძისა თვისსა თანა და ფერხთქვეშ მოქნა და ვეადრებოდა მხოლოდ სიციცხლისათვის, რომლის მხილველმან მეფემან ფრთხლ განიხარა და წარგზავნა დესპანი ივანესადმი და შეუთვალა ესრეთ: „რომლისთვისცა შენ მებრძოდი, ამა, მოვიდა ჩემდა, აწ ვისთვისდა ურჩობ? მოვედ ჩემდა“<sup>4</sup>.

1 - სტ. ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, (თბ., 1978) გვ. 48-49.

2 - იქვე, გვ. 49-50.

3 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, (თბ., 1966), გვ. 77.

4 - სტ. ორბელიანი, დასახელებული წიგნი, გვ. 50



მეფემ უნებლობის ფიციტ გამოიტყუა ციხიდან ივანე ორბელი და დიდის პატივით მიიღო იგი, ხოლო ბოლოს, როცა ყველა მისიანი ხელთ ივანე, „უმტყუნა აღთქმასა თვისსა გიორგიმ და დასთხარა თვალუბი ივანეს...ხოლო უმრწემესი ძმა ივანესი ქაეთარ, ძე მისი ხუმბუც და მისწული მისი ინა დაახოცინა, ყოველნი მამა-ყრმანი, ყოველი ნათესავე და დედანი და მეუღლენიცა მისცა ასახოცად და ამოსაგდებად: რომელიმე დაარჩევს, რომელიმე წყალში მოაშთევს, რომელიმე კლდეზე დაჩეხვს და ესრეთ აღმოფხურა ქართლიდან სახელი მათი“<sup>1</sup>.

დემნა უფლისწულის შესახებ ნათქვამია: „დემნა კი, რომელიც ივანეს სიძე იყო, შეიპყრო, დასთხარა თვალუბი, დაასაჭურისა და თქვა: - ნუ ყოფილება შემკვიდრე“<sup>2</sup>.

„ისტორიანი და აზმანი შარავენდედთან“<sup>3</sup>-ს ავტორი ამ ტრაგიკულ ამბებს ლაქონურად გადმოგვცემს: „... დაულონოვდეს ღორეს შინა მდგომნი. დემეტრე, გარდამომბმელი საბღისა, გარდამოხდა ციხისაგან და მომართა თავისავე ბიძას. და ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს მსგავსად სუისა და ეტლისა მათისა. აიღო ღორე და დაიჭირა თავისა თვისისათვის. ხოლო მას ჟამსა თვით მორტყმული და ზეამაღლებული წარმოვიდა ურთა და მტერთა მისთა ზედა და შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, ერთის მხრით, გიორგი მეფის აპოლოგეტი მემატია ანე წარმოვიდგენს დიდის მაღალფარდოვნებით მეფის სამართლიან რისხვას, ხოლო მეორეს მხრით, ივანე ორბელის ისტორიკოსი მოსავეს ამირსპასალარს დიდების შარავენდედით; ხოლო დემნა უფლისწულს არ აკავს თავისი გულშემატკივარი; პირველისთვის იგი გვირგვინოსანი მეფის მტერია, ხოლო მეორისათვის - ორბელიანთა სახელოვანი გვარის საქართველოდან ამოგდების მიზეზი. ამიტომ მისი პიროვნება თანდათან ფერმკრთალდება სხვათა ბრწყინვალეების ფონზე და იგი აჩრდილად იქცევა მემატიაზეთა კალმით დიდებაშემომდარცვეული.

ასე წარმოვიდგენს მას საუკუნიდან საუკუნეში მისი სათაყვანებელი საქართველო. და არავის აზრადაც არ მოუვა, რომ მან ბოლომდე გაუქლო გაუნადღისს, გულში ჩაიპარხა დეოაბურივი სიყვარული, თავისი ნებით უარყო მეფის გვირგვინი, მაგრამ თავის მკაცრ ბედისწერას არ გაქცევია, ვიდრე არ დადგა საშიშროება იმისა, რომ მეშველი ძალით მობრუნებული ღიპარიტ

1 - სტ. ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, (თბ., 1978) გვ. 51

2 - სტუფანოს ორბელიანი, სისაკანის სახლის ისტორია, თბილისი, 1910, გვ. 389. სომხურ ენაზე. (ეს ადგილი ჩემი თხოვნით, სიტყვა-სიტყვით მითარგმნა სომხურიდან ე. ცაგარეიშვილმა).

3 - ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20.

ორბელი თანამოძმეთა ამოსახოცად მამამდიანთა ღაშქარს შემოესრულა საქართველოს. (ეს მოსაზრება ღირიკელ წიადსვლად რომ არ ხატვეთვალის, მოვეუსმინოთ შემატანეს).

ამ მოვლენასთან დაკავშირებით სტეფანოს ორბელიანი წერს, რომ დიდი კარიგმა „აძირა სპარსეთი და სამოცის ათასის სამხედროთი მოვიღოდა შერეულ თავის ძმისად. მაშინ ესმა ხმა ბოროტის შემთხვევისა მათისა (იგულისხმება ამბოხებულთა დანებება და მათთან მეფის ანგარიშწორება—თ. ე.) და თქვა: საწყალობელთა ქრისტიანეთ რასა შეეცოდავთ, რომ წარვიდე და წარავსწყმინდე ივინ? მოსისხლენი ჩუენნი არსად სხანან, რომელნი შევიპყრა მე“ და ღაშქარი უკან გააბრუნაო.

ნ. ბურძენიშვილი თვლის, რომ ღიპარიტის გულმოწყალება უდანაშაულო ქრისტიანეთა მიმართ „სინამდვილეს მოკლებული უსუსური შენათხზია“.<sup>2</sup>

დავით ქობაირელის ცნობით, ღიპარიტის მიერ მოყვანილი მამამდიანთა ჯარი ვიორგი მეფის ღაშქრის მრავალრიცხოვნებამ დააფრთხო, — „მისი სიმრავლისგან თავგზააბნეული ჩუმაღ უკან გაბრუნდა“<sup>3</sup>.

ქობაირელის მონათხრობში არ ჩანს ციხიდან დემნას გადმოპარვა მეშველი ღაშქრის მოსვლამდე მოხდა თუ მერე. იგი იმდენად დემნას არ აღეგნებს თვალ-ყურს, რამდენადაც ორბელს. როგორც არაერთხელ აღენიშნეთ, არც სტეფანოს ორბელიანი სწყალობს დემნას და მით უფრო მნიშვნელოვანია ჩუენთვის მისი ცნობა იმის შესახებ, რომ დემნა მეშველის მოსვლამდე გადმოვიდა ციხიდან (ამ შემთხვევაში, ჩვენ არ გვაინტერესებს ფაქტის მისეული ინტერპრეტაცია, მთავარია თვით ფაქტი).

იმით, რომ დანებდა ვიორგი III-ს, დემნამ შეუძლებელი გახადა ორბელთა შემდგომი ბრძოლა. დემნა ბაგრატიონმა იცოდა, რომ ორბელნი და სხვა დიდებულნი, რა სათავისო ინტერესებიც არ უნდა ჰქონოდათ, მეფეს ველარ დაკპირისპირდებოდნენ მისი სახელის გარეშე. ამრიგად, მან განსჭვრიტა ყველა პერსპექტივა და როცა მის მიერვე შემზადებული თავისი პოლიტიკური დამარცხება ბოლომდე მიიყვანა, მაშინდა დაეშვა ღამის სიბნელეში ღორეს ციხიდან საბღით (სტ. ორბელიანის ცნობით, 1178 წლის მარტის თვე ივღა), მივიდა თავის სასტიკ ბიძასთან და მის ფერხითთ დაცემულმა სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა.

ძვირად უღირდა სიცოცხლე დემნა ბაგრატიონს; დიდი სიცოცხლე სჭირდებოდა თამარისა და საქართველოს სიყვარულისთვის, ურომლისოდაც

1 - სტ. ორბელიანი, დასახელებული წიგნი, გვ. 53.

2 - ნ. ბურძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, (თბ., 1966) გვ. 77, სქოლიო 7.

3 - დ. ქობაირელი, „მოსახსენებელი“. კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“ (თბ., 1966), გვ. 266.

მისი გენია ვერ მოიკრებდა ზეგარდმო ძაღლას „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედისას.

მაგრამ მატიანეები იძულებს არ იძლევიან, რომ ეს სასწაული მოხდებოდეს...


საკითხის დაზუსტებისათვის საჭიროა ითქვას, რომ უფლისწულის სიკვდილის ვერსია მოგვიანებით განდა, - ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეულ ძველთაგან პირველად იხსენიება ღაშა გიორგის დროინდელი ანონიმი მებატიანის თხზულებაში, რომელიც უთუოდ 1177 წლის ამბოხებიდან, სულ ცოტა, 40 წლის შემდეგ დაიწერა; ღაქონური ცნობა: „ამის დავითის შვილი და გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა, და ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი თანაუკუიტანეს და ღორეს შედგეს. მუნით გამოასხნა ორბელნი მეფემან, და იპყრნა და დახოცნა. და დემეტრე კლდეკართა დასუეს, უკანის თუაღნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“. (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 367. თბილისი, 1955).

რაც შეეხება დემნა ბაგრატიონის თანამედროვე მებატიანეს, - „ისტორიანი და აზმანი შარაგანდუდთან“-ს ავტორს, - იგი გვაძნობს: - „მიაგეს მისაგებელი“-ო. ჩანს, ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსები ამ ცნობას არ მიიჩნევენ უფლისწულის სიკვდილის მაუწყებლად (უთუოდ, იმის გამო, რომ ტახტისთვის ამბოხებული უფლისწულის „მისაგებელი“-ს სიკვდილით დასჯა არ იგულისხმებოდა).

მაგრამ უთუოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დემნა უფლისწულის დასაჯურისების შესახებ პირდაპირი ცნობა არ არსებობს ძველ ქართულ წყაროებში. იგი ჩნდება მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ დაწერილ სომხურ მატიანეებში (სტ. ორბელიანი, ვარდანი). მას არ იხსენიებს არც ვახუშტი ბატონიშვილი; ეს უკანასკნელი ადასტურებს ღაშა გიორგის დროინდელი მებატიანის ცნობას თვალთა დაწვის შესახებ.

მაგრამ მთავარი მინც ის არის, რომ დემნა უფლისწულის სიკვდილის ცნობას მხოლოდ ერთი მებატიანე გვაწვდის (ღაშა გიორგის დროინდელი) და ისიც არ მიუთითებს, თუ რამდენი ხანი გამოხდა სასჯელსა და გარდაცვალებას შორის. იგი დემნა (დემეტრე) უფლისწულის მთელ „მატიანეს“ ოთხ წინადადებაში ათავსებს. მართალია, აქ ზედმიყოლებით არის ნათქვამი: „კლდეკარს დასუეს, უკანის თუაღნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“-ო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიკვდილი ფეხდაფეხ მოჰყვა სასჯელს. მებატიანე ხომ ასევე ერთ წინადადებაში აქცევს იმ ცნობას, რომ დავით მეფეს ერთი შვილი დარჩა და იგი ორბელებმა თავის აჯანყებაში ჩააბეს. ამ ორ მოვლენას შორის (დავითის გარდაცვალებასა და ორბელების ამბოხებას შორის) კი, როგორც ცნობილია, 21 წელიწადი ძვეს.

ახლა ვნახოთ, რა ცნობას გვაწვდის „ვეფხისტყაოსნის“ მატიანე დემნა უფლისწულის შემდგომი ბედის შესახებ.



წინარე ანალიზსა დაგვიანება, რომ ნესტან-დარეველის ინდოეთის ვადაკარგვა და ტარიელის გაჭრა მის სამხრად პოემის მეორე განზომილების კონტექსტით გააზრებულია, როგორც პერსპექტივა იმისა, თუ რა მოხდებოდა საქართველოს სინამდვილეში, ტარიელისა და ნესტანის მსგავსად რომ მოქცეულიყვნენ დეშა და თამარი, ე.ი. მათი სიყვარულის დაფარული პოტენცია ასევე აშკარად რომ გამოვლენილიყო. მაშასადამე, ტარიელის ინდოეთიდან წახელა არსობრივად არ შეიძლება შეესაბამებოდეს დეშას წახელას საქართველოდან. ეს უკანასკნელი მიიღვნა, უფროდ „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ეპიზოდში უნდა იყოს პროეცირებული. რახან ტარიელის თავადაცხადი ინდოეთში არ მთავრდება, ბუნებრივია, რომ ტარიელი პოემის სხვა ნაწილშიც ასრულებდეს რუსთაველის (დეშა უელისწულის) იმობტანის რაღს, ე.ი. დაკავშირებული იყოს მის რეალურ თავადაცხადთან.

ამ მიმართულებით ფიქრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოემაში წარმოდგენილი ორი სამეფოს, – ინდოეთისა და არაბეთის უცილობელი მსგავსება. თუ პოემის სიუჟეტის მხატვრული განზომილების ფარგლებში დაერჩებით, მაშინ უსათუოდ უნდა ვერწმუნოთ პოეტს, რომ არსებობს ორი ასე მსგავსი ქვეყანა და მსგავსი სიტუაცია: ძღვეამოსილი მეფე თავისი უღამაზესი ასულით და მეფის ასულზე შეყვარებული ჭაბუკი ამირბარი (თუ სპასპეტი); და ის ამბავი, რაც ნაწარმოებში ხდება, მთელი თავისი ფილოსოფიით და ადამიანურ ვნებათა დეღვით, უნდა აღვიქვათ, როგორც გეგარანახობს პოემის მხატვრული დოგმა (ე.ი. სიუჟეტური ხაზის იმ თანამიმდევრობით და მოვლენათა იმ ინტერპრეტაციით, რასაც გვთავაზობს მხატვრული ნაწარმოები). მაგრამ ვინაიდან ჩვენს წინაშე პოემის სიუჟეტის მხატვრული განზომილების მიღმა მთელი სისავსით გამოიკვეთა მიხი მეორე, ისტორიული განზომილება, ახლა ამ კუთხიდან ხსენებულ მოვლენას სულ სხვა მნიშვნელობა ენიჭება: ინდოეთისა და არაბეთის სამეფო კართა ერთობის მსგავსება გეგარანახობს, რომ მეორე განზომილების კონტექსტში ორივე ქვეყანა ერთი ისტორიული პირველწყაროს, ე.ი. საქართველოს სამეფოს სხვადასხვა პროექციაა. არაბეთის პროექციაში განმსახლერულია ის არსობრივი თანხვედრა, რომელიც არის როსტვეან-თინათინის მოდელსა და გიორგი-თამარის ისტორიულ მოდელს შორის. ამ მოდელის ცენტრში დგას ქალის მეფური ღირსების რწმენა. „დღეკვი დომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეაღია“ – ეს მოსაზრება, აღბათ, იმ დაძაბულ ვითარებაში განუმტკიცდა საბოლოოდ მომავალ რუსთაველს, როცა მან, ჯერ კიდევ დეშა უელისწულმა, გადაწყვიტა უარი ეთქვა ტახტზე თამარის სასარგებლოდ; ე.ი. გადაწყვეტილება ვარდა თამარის უსაზღვრო სიყვარულისა, იმის სრული შეგნებითაა განპირობებული, რომ საქართველოს მიხივე ბადალი მეფე ვა

ოღებოდა თამარის სახით... ეს, რაც შეეხება საქართველოს სინამდვილეების  
არსობრივ დამთხვევას.

მაგრამ თუ არაბეთის პროექციას გადაეხედავთ რუსთველის (დემნას)  
და თამარის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით, ენახათ, რომ  
თინათინის ავთანდილისადმი სიყვარულიც თამარის დემნასადმი სიყვარულის  
იმ საოცნებო პერსპექტივას წარმოგვიდგენს, რომელიც დემნა პაგარტიოსს,  
როგორც ჩანს, გარდუვალ სასწაულად ესახებოდა ისეთ გარემოში, სადაც ეს  
გრძნობა ცოცხად არ იქნებოდა მიჩნეული.

თუ ინდოეთის პროექცია დახატულია, როგორც გადაუღახავ დაბრკ-  
ოლებათა მარწუხებში მოქცეულ უფლისწულთა დათრგუნვილი სიყვარულის  
ტრაგედია, გამაფრებელი ამ სიყვარულის პოტენციური არსის გარეგნული  
გამოვლენით და მოსალოდნელ შედეგთა ბოლომდე განჭვრეტით, - არაბეთის  
პროექციაში გაშლილი ჩანს პერსპექტივა იმავე უფლისწულთა სიყვარულისა  
და მათი სულიერი და ფიზიკური ძალისხმევისა ისეთ იდეალურ გარემოში,  
სადაც მათ სიყვარულს წინ არაფერი გადაეღობებოდა, სადაც მათ შორის ვერ  
ჩადგებოდა „ღაფარ“ და „ხვარაზმშა“.

ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება დემნა  
უფლისწულის ცხოვრების მატიახეა, უპირველესად ის იქცევა ყურადღებას,  
რომ ავთანდილის ხატში ხორცშესხმულია პერსპექტივა იმისა, თუ რა პარმო-  
ნოულ პიროვნებად შეიძლება ჩამოყალიბებულიყო (ან დარჩენილიყო) დემნა  
უფლისწული, მისი სიყვარულის უარყოფელი მიზეზები რომ არა.  
მაშასადამე, არაბეთის პროექციაში ავთანდილი წარმოგვიდგება, როგორც  
დემნა უფლისწულის მეორე „მე“.

### შენიშვნა-ჩანართი

მეორე „მე“-ში იგულისხმება არა ALTER EGO, არამედ ადამიანის პი-  
როვნებაში არსებული მისი მეორე, განსხვავებული საწყისი. ასევე, შეიძლება  
იყოს მესამე „მე“.

პიროვნების წარმოსახვა რამდენიმე განსხვავებულ „მე“-დ ლიტერატუ-  
რული ნაწარმოების მრავალპლანიაობის უნივერსალური მოდელია. ეს მოდ-  
ელი ადამიანს განიხილავს, როგორც მრავალგანზომილებიან რთულ  
ფენომენს და მასში არსებულ განსხვავებულ პოტენციურ შესაძლებლობათა  
სრულად წარმოჩენის მიზნით მას წარმოგვიდგენს ამ პოტენციათა კვალიობაზე  
ჩამოყალიბებულ რამდენიმე განსხვავებულ პიროვნებად, ანუ „მე“-დ.

პერსონაჟები, რომლებიც ავტორს ჩაუიქრებელი ჰყავს ერთი პიროვნე-  
ბის სხვადასხვა „მე“-დ, მხატვრულ ნაწარმოების პირველ პლანში არ ავლენენ  
(ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ავლენდნენ), რომ მათ მეორე როლიცა აქვთ  
შეხასრულებული ნაწარმოების მეორად პლანში (ან განზომილებაში). რაც  
უფრო მეტად უახლოვდება კვანძობის საზღვარს ასეთი ნაწარმოების  
ავტორის შთაგონება, მით უფრო ინდივიდუალურად გამოკვეთილი, ისტორი-  
ული თუ ეროვნული თვალსაზრისით ზუსტი, და ცხოვრებისეულად დამა-

ჯერებელია მხატვრული ნაწარმოების თითოეული გმირი, რომელთაც (როგორც მკვლევარმა მკვლევარმა მისიაც, - რაღაც განსაკუთრებულ რაქურსში (ნაწარმოების მეორად პლანში), თავიანთ თვისებათა ერთობლიობით ან დაპირისპირებით ერთი პიროვნება განასახიერონ (სახელდობრ, გვიჩვენონ პიროვნებას ნებისმიერ თუ უნებლიე არჩევანი თავისივე პიროვნულ საწყისებს შორის; გვიჩვენონ პიროვნების შიგნით დაპირისპირებულ საწყისთა შორის მიმდინარე ბრძოლა, გვიჩვენონ სხვადასხვა დროს გააქტიურებულ და გამიჯნულ ადამიანურ საწყისთა ხელახალი შერწყმით ახალი პიროვნული თვისობრიობის წარმოქმნა და ა.შ.)

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილებაში ეს მოდელი გამოყენებულია მთელი სივრცე-სივრცით, რაშიც შე შეაღწაოლოდ დამარწმუნა პროექციათა შინაარსის ისტორიულ კონტექსტში გააზრებამ.

ამავე მოდელით ადამიანი შეიძლება წარმოადგენილ იქნას, როგორც დაპირისპირებულ მიწიერ და კოსმიურ (დვთაებრივ) საწყისთა რთული ერთობლიობა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტს რელიგიურ-ფილოსოფიური განზომილებაც აქვს.

ახლა კი იხვევ არაბუთის პროექციას მიგუბრუნდეთ: რაც შეეხება როსტევანის და ავთანდილის ურთიერთგანწყობას, იგი სწორედ უფლისწულთა სიყვარულის შეუწყნარებლობის გამოიციხება აგებული; ეს კი, როგორც ვთქვით, საუფუელად უდევს მოვლენათა პერსპექტიულ გააზრებას არაბუთის პროექციაში, ე.ი. დემნას თამარისადმი სიყვარულის შეუწყნარებლობა რომ არა, უთუოდ ვიორგის და დემნას ურთიერთდამოკიდებულება როსტევან-ავთანდილის (სიყვარული გამაზრდელ-გაზრდილის) მოდელს დაემთხვეოდა. ეს წარმოსახება, რა თქმა უნდა, მატიანეთა მიერ დახატული ბიძა-ძმისწულის ურთიერთობის ფონზე დამაჯერებლად არ გამოიყურება, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილებამ თავისი ისტორიული ლოგიკის სიმწკობრით ჩვენ სხვაც ბევრი „დაუჯერებელი“ ცნობა შეგვცისა ისტორიულ პიროვნებათა შესახებ.

რახან არაბუთის პროექციაში დემნა უფლისწულის პოტენციურ-პერსპექტიული ხატი პროეცირებულია ავთანდილში, ლოგიკურია, რომ ტარიელში პროეცირებული იყოს მხოლოდ უშუალო ფაქტი დემნას ცხოვრებისა.

„ვეფხისტყაოსნის“ მატიანიდან დემნას შესახებ საბოლოოდ ვიცით ის, რომ იგი მეფეს დაუპირისპირდა სამართლის სახელით და სიყვარულის მიზეზით (გარემოება გაურკვეველია, მაგრამ მიზეზი რეალურია) ხელი აიღო ტახტზე. ამის შემდეგ ისტორიულ მატიანეთა ჩვენებამ ჩიხში შეგვიყვანა.

ახლა მივევთ ტარიელის კვალს, რათა მივაკვლიოთ „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის შემდგომ მონაკვეთს. ამ მიმართებით, სწორედ ტარიელის არაბუთში გამოჩენა იპყრობს ყურადღებას. იმთავითვე თვალში საცქმია ერთი გარემოება: უცხო მოყმის ეპიზოდს თუ შეეხვადეთ, როგორც დემნა-ტარიელის



თავდადასაველის უშუალო გაგრძელებას (რაც ფაქტურად არის კიდევაც ის მეორე განზომილების კონტექსტით, რამდენადაც, დემნატორიკლის ამბავს, რომელიც „ინდოეთში“ იწყება, თავისი თანმიმდევრობით „არაბუთისაკენ“ მიჰყვარათ), მაშინ ეს ეპიზოდი განიცდება შიშველი ფაქტის მოსაგრადან და მისი მხატვრული აღქმისაგან სრულიად განსხვავებულ იერს იღებს.

ამის წარმოსახენად საჭიროდ მიმანია უცხო მოყმის ეპიზოდი ჯერ პოემის მხატვრულ კონტექსტში აღვიკვთო და მხოლოდ ამის შემდეგ გავი-  
აზროთ იგი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის ნაწილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ხიუჯუტი ისეა აგებული, რომ ტარიელი პოემაში პირველად როსტევეანთან შეხვედრისას გამოიხდება, როგორც „უცხო მოყმე ვინმე“. იმთავითვე ვიხიბლებით უცხო მოყმის იდუმალი პიროვნებით; ერთბაშად გვიპყრობს სიტყვის მოქნილ სიმკერვეში გამოძერწილი მისი ხატება. მაღალი შიირის შთამბეჭდავი რიტმი რაღაცას ბევრად უფრო აღმატებულს გადასცემს ჩვენს შეგრძნებებს, ვიდრე ლექსის სტრიქონებში ჩადებული შინაარსია ... ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს, რაც ხდება, სხვაგვარად არც შეიძლებაოდა მომხდარიყო. ამ დროს ჩვენს წინაშე არ დგება საკითხი, სამართლიანად იქცევა თუ არა მეფე როსტევეანი, როცა მისგან ვანრიდებული უცხო მოყმის შეპყრობას ვანიზრახავს და მონებს მიუხედავს. მთელი ეს სიტუაცია თავისი სტიქიური იმპულსებით ბედისწერის გარდუვალობის შეგრძნებას ბადებს. აქ მოქმედებს რაღაც მაგია, რომელიც როსტევეანს მაგნიტივით იზიდავს უცხო მოყმისაკენ. თითქოს ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ იდუმლებით მოცული ჭაბუკი მწუხარების ტრანსიდან გამოიყვანოს, პროფილში მჯდომი ანუხით შემოაბრუნოს ჩვენკენ, - მისი სხვა განზომილებაც დაგვანახოს ... და აი, მართლაც ხდება სახეაუღებრივი მეტამორფოზა: მტირალი მოყმე ვოლიათ მებრძოლად გადაიქცევა, - მთელი თავისი სიმადლით აისვენება და გაიღვებს მის შესახებობად ხელაჯმართული მონების თავზე..

შეე ტაიჭზე ამხედრებული ვეფხისტყაოსნისილი ჭაბუკი უძლეველობის შარავანდელით იმოსება. ეს ალბათ, მთელს ეპიკურ პოეზიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია დეოთაბრივი ძალით მოხილი ვოლიათის დახატვისა. მოცემულ სიტუაციაში ელინდება გმირის ხახიათი და ამავე დროს, იკვრება ნაწარმოების ხიუჯუტური კვანძი: პოემის მთავარი გმირი სწორედ ეს უცხო მოყმე აღმოიხდება და შემდეგ მის ვარშემო ტრიადებს პერსონაჟთა მთელი მიზანსწრაფვა.

ამრიგად, უცხო მოყმის ეპიზოდში, ამბის მხატვრული გააზრების თვალსაზრისით, ჩადებულია ხიუჯუტის განვითარების ხერხი, რომელიც ტიპურია აღმოსავლური საგმირო ეპოსისათვის. თავის პოემას „ამბავი სპარსული“ რომ უწოდა რუსთველმა, მისი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით ვაგება ამ საკვანძო ეპიზოდის სწორედ ამგვარი აღქმისათვის ამზადებს ხაფუძველს.

ვეფხისტყაოსნით შემოსილობაც ხომ სპარსული (აღმოსავლური) ტრადიციით ვოლიათური შემართებისა და გმირობის სიმბოლოა. (ვეფხისტყაოსნი

აცვია ფირდოუსის „შაჰნამეს“ მთავარ გმირს, - როსტომს). აქ, პოეზის დასაწყისში (ვიდრე ნამდვილ მიზეზს გაევიგებდეთ), უცხო მოყმის სიმბოლური ჩაცმულობა სწორედ ასე აღიქმება, რამდენადაც მოქმედება მუსლიმანური აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში, - არაბეთში ხდება.

და თუ პოეზიის მომწესხველი დამაჯერებლობიდან თავდაზნისტიკურ, მაინც ვკვირის თვლით შევხედავთ ამ ეპიზოდში მეფის სამართლიანობას, პოემის მხატვრული კონტექსტი ისევ და ისევ მოგვაგონებს, რომ როსტვეანი ფეოდალური არაბეთის მეფეა; მისი ღირსება ღომის ღირსებაა და ის დასტურ ღომად გრძნობს თავს; რა თქმა უნდა, მას თავისი ღომური ხეშტურთა აქვს და თუ საჭიროდ ჩათვლის, ტორსაც კარვად უთავაზებს კადნიერს, ანუ ვინც კადნიერად მიჰნია ... როსტვეანის ცხოველი ინტერესი უცხო მოყმისადმი, თუ მისი საქციელით გადიზიანება ჩვეულებრივი მოვლენაა აღმოსავლეთის ძღვეამოსილ მეფეთა თავგადასავლების ფონზე: ერთ ღომს წინ მეორე ღომს გადაუარა და აჯობა. თანაც საკუთარ სამფლობელოში რატომ გავეიკვორდეს მისი მრისხანება? თავისი გაზრდილი ბოკვერის ჯობნება დიახაც რომ უხარია, („უხარის ესე სიკეთე მისისა განაზარდისა“). რადგან ისიც მისი სამფლობელოს ნაწილია და მისთვის პრესტიჟის შემქმნელი; მაგრამ სხვა ვინმე? თავისი მჯობი უცხო მოყმე მას არაბეთში არ სჭირდება, დაე, გზადაც ნუ გადაივლის!

რუსთველმა ეს მოვლენა ავთანდილის ორი სიტყვით ასე დააფორმულა: „ხელმწიფე ნებიერია“ (289) . ეს „ნებიერობა“ კარვად ჩანს თვით როსტვეანის სიტყვებში, როცა თავის ასულს უამბობს იმ უცნაური მოყმის ამბავს:

„რა უმბიძდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე;  
ჩემად ნახვად არ მოვიდა, ვავეულისდი, წავეკიდე“. (109).

ამრიგად, პოემის მხატვრულ კონტექსტში, ესეც და მისი მომღვენო ეპიზოდიც (როსტვეანის გადაჭარბებული წუხილი უცხო მოყმის გაუნინარების გამო), შეიძლება მეფის ნებიერობით, ახირებით აიხსნას და ასეც აღიქვამენ ამ ამბავს, როგორც „ვეფხისტკაოსნის“ პერსონაჟები, ისე მისი მკითხველები.

თუმცა რუსთველს როსტვეანის ცნობილი დახასიათებისას „მღალაღი უხვი მღაბაღი“ და ა.შ., მისი ნებიერობა არ უხსენებია, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, თავისთავად იგულისხმება, რადგან როსტვეანი მეფეა. აქი ავთანდილი ამ თვისებას ხელმწიფეთა ზოგად თვისებად წარმოადგენს და არა როსტვეანის ხასიათის კერძო გამოვლინებად. ეს შემთხვევითი ამბავი როდია, ეს თვით რუსთველის პოზიციაა: ხელმწიფობის ჩარჩოებში, თუნდაც დეოთისგან სვიანი მეფისთვის, ადამიანის იდეალი მიულწვევლია. ადამიანის იდეალისკენ სწრაფვა, „ქმნა მართლისა სამართლისა“, ამ ჩარჩოების გადალახვით იწყება

1 - ნებიერი - ჰირვეული, უკადრი, ამაყი (იუსტ. აბულაძის ლექსიკონით).

(ასეა ინდოეთში ნესტანის და ტარიელის მაგალითით; ასევე არაბეთში თანათინის და ათანდილის მაგალითით). ამ უკომპრომისო თვლენაზრისს ეყარება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ლოგიკა ზოგადად და... ცხადია, ყოველ კერძო შემთხვევაშიც.

მას შემდეგ, რაც უცხო მოყმის ეპიზოდის მხატვრული ვააზრება ვითუალისწინეთ (ე.ი. ტარიელი, როგორც მხატვრული ნაწარმოების გმირი, აღვიქვით იმ ექსპრესიითა და თანამიმდევრობით, რასაც იგი ამ ეპიზოდში, და აქედან გამომდინარე მთელ პოემაში ახორციელებს პოეტის ნებით), მეტად საინტერესოა ამ ეპიზოდს შევხედოთ დემნა-ტარიელის პოზიციიდან, როგორც მისი თავგადასავლის გაგრძელებას, - განევაგრძოთ „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის კითხვა მოვლენათა არსობრივი სქემით.

ჩვენს წინაშეა ვეფხისტყაომოსილი, ე.ი. ცხოვრებიდან განდგომილი (ტახტის დამთმობი, უზუნაეხი ხიყვარულის ხაგანს განშორებულო) ჭაბუკი უფლისწული თავისი ცხოვრების უმძიმეს ვაშს. მას მოულოდნელად თავს ესხმიან მეფის მონები და შეპყრობას უქადიან. იგი მშვიდობიანად აპირებს გაცლას, მაგრამ მეფეს არ უნდა მისი ხელოდან გაშეება.. ამ ეპიზოდში არსებითად ორი მოქმედი პირია: სოფლის დამთმობი ჭაბუკი უფლისწული და მისადმი აგრესიულად განწყობილი მეფე. ჩვენ უკვე ვიცით, ვინც არის ეს ჭაბუკი უფლისწული; ვიცით მისი მწარე ბედისწერა და ამიტომაც აღარ ვეხიბლენებით დექსის ვადოს; ჩვენ ახლა მხოლოდ ფაქტების ძიებაში ვართ; მკაცრ მატიანეს ვკითხულობთ და არა დვთაებრივ პოემას. რუსთველი-მემალტანე თვითონ უპირისპირდება პოეტ რუსთველს; მან უნდა გვამცნოს რა დაეძარათა დემნა უფლისწულს ღორესთან დამარცხების შემდეგ. ამიტომ მოდის წინა პლანზე ფაქტების არსი და არა პოეზია. „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეში არაბეთი, ინდოეთის მსგავსად, საქართველოს პროექციაა. მაშ, რაც აქ ხდება, ვერ კიდევ საქართველოში ხდება. ჩვენს წინაა დემნა უფლისწული, რომლის ბედი მისსავე სამშობლოში ხიყვდილ-ხიციოცხლის სასწორზეა შევდებული; მას უღმობელი გიორგი მეფე ესხმის თავს და შეპყრობას უპირებს.

მაშახადამე, მეორე განზომილების ხიუვეტით, ამ ეპიზოდში მეფე როსტევენი გიორგი III-ს თანხვედება წმინდა ისტორიული, ფაქტობრივი თანხვედრით, ისევე როგორც ინდოეთში, ტარიელის მასთან დაპირისპირების ეპიზოდში თანხვედება ფარსადანი იმავე გიორგის.

საბოლოოდ, მოწმენი ვხვდებით ჭაბუკი უფლისწულის სამკედრო-სახიციოცხლო გაბრძოლებსა მეფესთან და მის დამქართან. მერე კი ... „კვალი ძეხნეს და უკვირდა ვერ პოვნა ნაკვალევსა, აგრე კვალ-წმიდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა“.

ამროვად, უცხო მოყმის ეპიზოდი იქცევა „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად, - იგი დემნა უფლისწულის გადარჩენისა და მისი საქართველოდან გადაკარგვის ფაქტს გვაუწყებს.

მოულოდნელობის ეფექტი, რომლითაც ეს ეპიზოდი აღბეჭდილია ისტორიული მოვლენის უშუალო არსად უნდა აღვიქვათ: ის უნდა დამოკიდებული და უმწყო ჩანს, თავისუფალი და დაუმორჩილებელი აღმოჩნდება. ასევე, მეფის გადატარებული წუხილი „უცხო მოყმის“ გაქრობის საქართველოს ისტორიის კონტექსტში სრულიად ბუნებრივ რეაქციად იქნება გიორგი III აღბათ მართლაც ძალზე შეაშფოთა მისი ურჩი ძმისწულის ხელოდან გასხლტომამ. მაგრამ აქ კიდევ ერთი მომენტია საყურადღებო: მოულოდნელად გაუჩინარებული მოყმე მეფეს ხორციელ კაცად არ ესახება, - ემსაგონია; ისიც არ იცის „ცხადი იყო, თუ ვოცა“... ინდოეთის პროექციის ანალოგიით ვგულისხმობთ, რომ თუმცა მხატვრული სიტუაცია ისტორიულ სიტუაციას ასლობრივად არ ემთხვევა, მაგრამ მომხდარი ამბის არსი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იდენტურია, ე.ი. უნდა დაეასკვნათ, რომ დემნას საქართველოდან გაქცევა გიორგი მეფისათვის მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა; და საქმე ის არის, რომ არა მარტო თავზარდამცემი, დაუჯერებელიც კი. შესაძლოა, გიორგი მეფე თვით გახდა ამ დაუჯერებელი ფაქტის მოწმე, მაგრამ ბოლოს თავი დაირწმუნა, რომ ყოველივე ეს მოიხერხა. თვითონ „დაიჯერა“ და სხვაც „დააჯერა“ (მოვლენისადმი დამოკიდებულების არსი უდავოდ ასეთია).

უნდა ვიფიქროთ, რომ ვერსია დემნა ბერატონის დასჯისა თუ გარდაცვალების შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც საქართველოდან გაქცეული უფლისწული „კვალწმიდად“ გაქრა: სამეფო ტახტს და პოლიტიკას თავისი კანონები აქვს; ვის დააჯერებ, რომ კანონიერი ტახტის მემკვიდრე გადაიკარგა სიყვარულისაგან ხელად ქცეული და აღარ სურს ტახტის დაბრუნება. უფრო ადვილი დასაჯერებელია, რომ აჯანყებული უფლისწული დასაჯეს ურნობისათვის და ემსხვერპლა ამ სახჯელს. უთუოდ, ამიტომაც გავრცელეს ეს ხმა. მით უმეტეს, რომ გიორგი III რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა: - თამარის გამეფება შეუძლებელი იქნებოდა, თუ დემნას ცოცხალს დაიუფლებდნენ ფეოდალები. გიორგის სიცოცხლეშივე უნდა მოეველო ტახტისათვის.

საგულისხმო ფაქტია თანამედროვე მემატიანის, - „ისტორიანი და აზმანი შარავანდუდთან“-ს ავტორის მიერ ამ საკითხის მიფიქრება, რადაც გვესახება მისი ზოგადი განცხადება ურნათა და მტერთა მიმართ „მისაგებლის მიკების“ შესახებ. დემნას შემდგომი ბედი მისი ინტერესების სფეროში აღარ შემოდის. მაგრამ ამ მემატიანეს მაინც ვერ დავემდურებით, - მან ერთადერთმა დაავიტოვა დემეტრე (დემნა) უფლისწულის თუმცა მეტად ლაკონური, მაგრამ შიამბუქდავი სიტყვიერი პორტრეტი: „სახე-კეთილი, ყოვლითა ხელითა მარჯუე და ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“. მართლაც, „უცხო მოყმის“ მხედრული სიმარჯვე იმ გოლიათურ შემართებას გვაგონებს, რომლითაც იბრძოდა დემნას დიდი პაპა, - დავით აღმაშენებელი დიდგორის ომში. დემნა ბაგრატიონის მიერ თავის გადარჩენაც ერთი დიდგორის ომის

მოგებას უდრიდა საქართველოს... რაკი მისი სიკეთე  
„ვეფხისტყაოსნად“ უნდა გარდასახულიყო.

ჩვენთვის სახურველზე სახურველია, რომ უცხო მოყმის შთელი ეპი-  
ზოდი ახლი იყო სინამდვილეში მომხდარი ამისა, რომ დღეს  
უფლისწული ასე თვალსა და ხელს შუა გასხლტომოდეს გიორგი მეფის მისი  
ლაშქრის წინაშე, მაგრამ რამდენადაც ისტორიულ სინამდვილესთან სრული  
ახლოობრივი დამთხვევა ინდოეთის პროექტიაში არა ვეჭვობა, ცხადია,  
„ვეფხისტყაოსნის“ ეს ეპიზოდიც სინამდვილესთან არსობრივი დამთხვევის  
პრინციპით უნდა განვიხილოთ; ე.ი. როგორც ვთქვით, მასში დეშნა  
უფლისწულის აქტიურ თავდასხნისა და საქართველოდან გადაკარგვის ფაქტი  
უნდა ვიგულისხმეთ.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოცემული ეპოქის მემატანეები ყოველთ-  
ვის ვერ იქნენ პიროვნელობას მოვლენათა აღწერისას; იმის მიხედვით, თუ  
ვისი ინტერესების გამოხატველნი არიან ისინი, სოც ისტორიულ მოვლენას  
ჩქმალადვენ, სოცს კი, პირიქით, აზვიადებენ.

მათგან განსხვავებით, ჩვენი დროის ისტორიკოსები მოვლენათა ობი-  
ექტურ სურათს ქმნიან სხვადასხვა მატანეთა შეჯერებით, რაშიც მთავარ  
როლს თამაშობს ეპოქის სოციალურ ძალთა გათვალისწინება და ისტორიულ  
ფაქტთა კლასობრივ არსში წვდომა.

არ არის ისტორიკოსი, რომელიც ერთ რომელიმე მატანეს თავიდან  
ბილომდე უნდობოდეს და ამა თუ იმ საკითხში ეჭვს არ გამოთქვამდეს მის  
მიმართ სხვა მატანეზე დაყრდნობით. ამ მხრივ, ყველაზე მეტი სტეფანოს  
ორბელიანს ხედება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც „ისტორიანი და აზმანი  
შარავენდელდანი“-ს ავტორია დაზღვეული ისტორიკოსთა სექპტიკური და-  
მოკიდებულებისაგან. საერთო სურათის აღდგენისას ჭეშმარიტების გამოვლენ-  
ას, ცხადია, დიდად უწყობს ხელს ფაქტში იმ საერთო კანონზომიერების  
წარმოჩენა, რაც ფეოდალური საზოგადოების კლასობრივი და ფსიქოლოგი-  
ური საფუძველია.

ამ კერძო შემთხვევაში ჩვენს თანამედროვე ისტორიკოსს არა აქვს  
არავითარი ფაქტობრივი მონაცემი, რომელმაც აფიქრებინოს, რომ დეშნა  
უფლისწულის ამბოხებაში რაიმე უწყველო იმპულსი იყო ჩართული. ამიტომ  
ამბოხების არსი, მისი მიზეზები და შედეგები, ყველა ისტორიკოსის აზრით,  
ფეოდალური ეპოქის დადგენილ ტრადიციებში უდებია.

თუ ისტორიკოსები ისევე მხოლოდ იმ მატანეთა მონაცემების ამარა  
დარწმუნდებიან, რომლებიც დღევანდლამდე ქობრით ხელთ, აპრიორი შეიძლება  
ითქვას, რომ ისინი დეშნა უფლისწულის პიროვნების შესახებ შეხედულებას  
ვერ და არ შეიცვლიან. ეს საეხებით ლოგიკურია.

ხოლო თუ ისინი ირწმუნებენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე  
განზომილების სახით ჩვენ გვაქვს ახალი ისტორიული წყარო, ახალი მატე-

ანე, მაშინ მათ შეცნობიერებულ ანალიზში ამ მატრიანის ჩართვამ შეიძლება ბევრი საკითხი სულ სხვაგვარად გააშუქოს.

ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასე მოხდება. კერძოდ, მთლიან მანძა შესანიშნავი გაკვეთილი მოგვცა იმისა, რომ ისტორიკოსებმა არა მხოლოდ ივენწნ სკეპტიკურად განწყობილი ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ საბურველში გახვეული ისტორიული ფაქტისადმი.

## ინჰვ მჟორჰ ბანზომიღჳბა (ბაბრქმღჳბა)

პოემაში ტარიელის გამოჩენის და მხველქლობის მხატვრული წყობა და ტარიელის თავგადასავლის სამღელი თანმიმდევრობა ერთმანეთს რომ არ ემთხვევა, ეს თურმე მარტოოდენ პოემის სიუჟეტის აგების ეფექტური ხერხი კი არ არის, იგი წინახწარ გამიხსნულია მხატვრული გმირისა და ისტორიული პიროვნების თავგადასავალითა ორ განსხვავებულ სიუჟეტურ ხაზში მოსაქცევად, რათა ამ ორი ხაზის ურთიერთგადაკეთის ადგილას, სადაც ტარიელის, როგორც მხატვრული გმირის სიცოცხლე იწყება, მეორე განზომილების კონტექსტით დეჰნა ბაგრატოიანის სიკვდილიდან თავდასხნისა და ახალი სიცოცხლის დაწყების ფაქტი იკითხებოდეს: ე.ი. სწორედ იმ ეპიზოდში, სადაც ეპიკური პოემის ჩვეულებრივი მოღელით და არამეუღლებრივი პოეტური აღმოფრენით დაიპერო რუსთველმა მკითხველის ყურადღება და მთელი ინტერესი უცხო მოქმის მოღელიდნელ გამოჩენას და მის სასწაულებრივ გაქრობას მიადგა, შეჰკრა რა ამით პოემის მხატვრული კომპოზიცია, - სწორედ იმ ეპიზოდში, შებრუნებით, მხატვრული პირობითობისაგან განძარცვული ფაქტების წაკითხვის შესაძლებლობა ჩასდო და თავისი ცხოვრების მწარე ჭეშმარიტებას გვახიარა.

უცხო მოქმის ეპიზოდი არის ის ღერძი, რომლის გარშემო საბოლოოდ შემოტრიალდება პოემის მთელი სიუჟეტი: რამდენიმე სამეფო ერთ სამეფოდ გადაიხრება, რამდენიმე პიროვნება ერთი პიროვნების რთულ მრავალსახეობას შექმნის და ხაინოსს ყოფს, რომ მთელი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი თავისი მეორე წაკითხვით ჩართულია დეჰნა უფლისწულის მატრიანეში.

ამ მხრივ, უცხო მოქმის ეპიზოდის მეტად ნიშანდობლივი მომენტია დეჰნას ორი „მე“-ს, დეჰნა-ტარიელისა და დეჰნა-აეთანდილის შეხვედრა: ეს უკანასკნელი პასიური მონაწილეა მის თვალწინ მიმდინარე ვნებათა ჭიდილისა, და ვაქცეულის დეჰნაში არ აუღენს არავითარ ინიციატივას. ბუნებრივია, რომ რეალურად არსებული დეჰნა-ტარიელი, გაურბის რა გიორგი მეფეს საქართველოდან, უკან მოიღოვებს თავის მეორე „მე“-ს, -პარმონიულ დეჰნა-აეთანდილს, როგორც განუხორციელებელ პოტენციას, ან როგორც ოცნებას შეუძლებელი ბედნიერების შესაძლებლობაზე.

ამ შეუძლებლის პოეტისკორი შესაძლებლობაა სწორედ არსი მთელი არაბუთის პროექციისა: როსტვეან-გიორგის მამაშვილური დამოკიდებულება დეჰნა-აეთანდილისადმი, და რაც მთავარია, თამარ-თინათინისაგან დეჰნა-



ავთანდილისათვის სიეკარულის გამჟღავნება ქმნის პროექციის პირობით-ისტორიულ სინამდვილეს.

მაგრამ ვიდრე ამ პირობითი ურთიერთობების სფეროს ჩავეუღრმავდებოდეთ, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც უშუალოდ ისტორიულ-ფაქტობრივი სინამდვილისაკენ მიგვმართავს. ეს არის „უცხო მოყმისადმი“ (დემნა-ტარიელისადმი) თამარ-თინათინის დამოკიდებულება. რადგან თამარ-თინათინი დემნას ორ „მე“-სთან (რეალურთან და პოტენციურთან) მიმართებაშია წარმოდგენილი, მისი სახე, ისევე როგორც გიორგი-როსტევეანისა, ორმაგ კონტექსტში უნდა იყოს გააზრებული, - ფაქტობრივი ისტორიულისა და პირობით-ისტორიულში. ისტორიულ სინამდვილესთან არსობრივი დამოხვევა თამარ-თინათინის პიროვნების მეფური მოდელისა ეჭვს არ იწვევს. და არ არის ვასაკერი, რომ რეალურად მომხდარი ფაქტისადმი თამარის რეალური დამოკიდებულება მჟღავნდებოდეს სწორედ „უცხო მოყმის“ (დემნა-ტარიელის) ბედისადმი თამარ-თინათინის დაუცხრომელ ინტერესსა და საშინელ შეშფოთებაში.

რახან ისტორიულ მატიანეებს დემნას საქართველოდან გადაკარგვის მინიშნებაც არ შემორჩენიათ, მით უმეტეს, ამ ფაქტისადმი თამარის დამოკიდებულების შესახებ ვერაფერს გვეტყოდნენ. ეს უნდა გაირკვეს „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის სწორედ ამ მონაკვეთში, ხოლო იმის ნათელსაყოფად, თუ რა შთაბეჭდილება მოუხდენია დემნა ბაგრატიონის სამოქმედო ასპარეზიდან გაქრობას მის თანამედროვეებზე, ვფიქრობ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი“-ს ავტორის ის გულისტკივილიც იკმარებს, რომელიც გამოკრთის მის სიტყვებში, როცა იგი კიცხავს და შეაჩვენებს დემეტრე (დემნა) უფლისწულს მეფის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხებისათვის. ეს არის ჩემს მიერ არაერთგზის ციტირებული დემნას დახასიათების გაგრძელება. შთაბეჭდილების სისრულისათვის მოვიყვან მთელ კონტექსტს: „... მოიწიფა ძმისწული მისი (ე.ი. მეფე გიორგისი- თ.ე.), შვილი დაეთო ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე-კეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯუენ, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმს ყოველითა სიკეთითა და სწავლულებათა, სახე-უკლებობათა და ჭაბუკებათა, იგი ექნა მკვლელ და შემამწარებელ ჟამთა ცხოვრებისა მისისათა: უშიშობა ღმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა, ვითარ თანაშთამავლობა და ვუართა უბედურება ამის სამეფოსა კაცთა“.<sup>1</sup>

ერთი ის ბრალდება, რასაც შემატანიე უყენებს დემეტრე (დემნა) უფლისწულს, და მეორეა ის შეტყვევლი ფორმა, რომლითაც გამოხატავს თავის გულისწკრომას, რაიც გულისტკივილს უფრო ჰგავს: ჯერ იგი უფლისწულის უცილობელ ღირსებებს ჩამოთვლის, და მერე სინანულით გვაუწყებს ამ ღირსებების (ყოველგვარ სიკეთით შემკულობის - განათლების, უნაკლო სიღა-

1 - ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18 (თბ., 1959).

მანის და სამხედრო საქმეში გამორჩეულობის) გაცუდებას, ე. ი. ყველგან წყალში ჩაყრას მისივე მიზეზით, რაც ქრისტეს მცნებათა გარდამავლობით მოქმედებაში გამოიხატა.

მეფის მემკვიდრის სიტყვები იმის საბუთია, რომ დემეტრე (დემსა) უფლისწულს გამორჩეულ ჭაბუკად თვლიდნენ მისი თანამედროეები, ვიდრე არ „შვიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა“.<sup>1</sup> (ესეც იმავე მემკვიდრის სიტყვებია და იგი ისევ დღით მირონცხებული მეფის წინააღმდეგ ამბოხების მძიმე ცოდვას შეიძლება მიესადაგოს; ან იქნებ მან იმაზე ბევრად მეტი იცის, რისი გამომჟღავნების უფლებაცა აქვს, და ამიტომაც, სიცრუის, თავიდან აშორების მიზნით, ნართაულად ღაპარაკობს).<sup>2</sup>

და თუ მეფის მემკვიდრე შეფარული სინანულით აღნიშნავს, რომ ასეთმა ღირსეულმა ჭაბუკმა ეშმაკს ცოუნების გამო თავი დაიღუპა, მით უმეტეს, თამარისთვის იქნებოდა ეს ამბავი თავზარდამცემი. „უფუხისტყაოსნის“ მატთანე უცხო მოყმისადმი თამარ-თინათინის დამოკიდებულების აღწერით გადმოგვცემს (აქაც არსობრივი დამთხვევით) თამარის განცდებს: ამ ისტორიულ სიტუაციაში თამარ-თინათინის შეშფოთება ცრემლიანი დემნა-ტარიელის გაუწინარების გამო და იმედი დემნა-ავთანდილის ძალისხმევით, - რომ მას

1 - იქვე

2 - ის უაქტი, რომ მემკვიდრე ქრისტეს მცნებათა გარდამავლობას მიიჩნევს ბაგრატიონთა „თანაშობამავლობად და გუაროა უბედურებად“, გეოფიქრებინებს, რომ აქ თავისი ბიძაშვილის მიმართ დემნას საბუდისწერო სიყვარული უნდა იგულისხმებოდეს. ამას თავის დროზე ყურადღება მიაქცია სიმონ ქვარიანმა („შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, ქუთაისი, 1914, გვ. 67), რომელიც ვერდნობა ისტორიკოს დ. ბაქრაძის მონაცემებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, X საუკ. ბიზანტიელი ისტორიკოსის კეისარ კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაზე დაყრდნობით გვამცნობს ბაგრატიონთა გვარის ერთ თავისებურებას, რომელიც ქართულ მატთანეებში არ არის მოხსენებული. ბიზანტიის კეისარი დაწერილდებით ცნობებს გვაწვდის ტაოულ და არტანუჯელ ბაგრატიონთა შესახებ; ირკვევა, რომ არტანუჯის მამულს სუბპატ დავითის ძეს ცოლად ჰქონდა თავისი ბიძის (მამის ძმის) ბაგრატის ასული, ხოლო ბაგრატის ძეს ადარნასეს ცოლად შეურთავს ასევე თავისი ბიძის - დავითის ასული, ე. ი. ბიძაშვილებს - სუბპატს და ადარნასეს ერთმანეთის დები შეურთაეთ ცოლად. მოგვიწოდია კიდევ სხვა მსგავსი მაგალითები; ბიზანტიელი ისტორიკოსი ამას შემდეგნაირად ხსნის: „საკვირნელია, რომ თავისი თავის განმადიდებელი იბერები, ე. ი. კუროპალატი იბერები... ამბობენ რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავნი არიან და აქედან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგ, რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი; ამიტომაც იბერთა დიდებულებს დაუბრკოლებლეთ მოჰყავთ ცოლენად თავიანთი ნათესავები და ფიქრობენ, რომ ისინი ამით ძველ წეს-წყობას იცავენ“. (გეორგიკა, ტ. IV ნაკვეთი II, გვ. 255-256 კონსტანტინე პორფიროგენეტი „იბერთა შესახებ“. თარგმანი სიმ. ფაუხნიშვილისა. თბილისი, 1952).

შეუძლია იპოვოს და გადაარჩინოს თავსეხელაღებული, გაშმაგებული, სამ-  
შობლოდან უცხო-უკვლოდ გადახვეწილი უფლისწული, — ასე წარ-  
მოგიდგება: ერთადერთი იმედი დემნას ხსნიხა და გადარჩენისა თამარს დემ-  
ნახავე პიროვნებაში ეგულება, რადგან შეუძლებელია ბრძენი და პარპიროვილი  
მეორე „მე“ არ აღორძინდეს მასში და არ შეეშველოს მას. თამარს ჯიუტად  
სჯერა, რომ დემნას პიროვნებაში აბოლოქრებულ „ტარიელს“ მისივე პიროვნე-  
ბის „აუთანდილი“ წამოეწევა და „განუკურნავს წყელულს“. (ყოველ შემთხვე-  
ვაში, დემნარუსთველს სწამს, რომ თამარს ასე სჯერა. ეს რწმენა უძვეს  
საფუძვლად მის მატიანეს).

ამრიგად, არაბეთის პროექციის ნაწილიც, დემნა-ტარიელმა თავისი  
ცხოვრების მატიანედ აქცია: ჯერ საქართველოდან თავისი (დემნას) გაქცევის  
ამბავი გვამცნო, მერე მეფე გიორგის მრისხანება ამ შემთხვევის გამო, და  
ბოლოს, თამარის „დამამხობელი“ მწუხარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,  
„ვეფხისტყაოსნის“ მატიანის სიუჟეტურმა ხაზმა თავისი ინტერპრეტაცია მისცა  
არაბეთის პროექციის იმ ეპიზოდებს, რომლებშიც დემნა-ტარიელი  
მონაწილეობს, და იმ პიროვნებებს, რომლებთანაც მას ამა თუ იმ სახის ურთ-  
იერთდამოკიდებულება უჩნდება: ე.ი. ეპიზოდები თუ პიროვნებები, მან მომხ-  
დარი ფაქტის კუთხით დაგვანახა. მაგრამ რამდენადაც იგივე ეპიზოდები და  
პიროვნებები არაბეთის პროექციის ერთიან ლოგიკაში არიან ჩართულნი, აქ  
ისინი სხვა მნიშვნელობას იძენენ, ვინაიდან არაბეთის პროექციის ერთიანი  
კონტექსტი პირობით-ისტორიულია და არა ფაქტობრივ-ისტორიული.

რუსთველი ხასწავლებრივი აღლოთი სჭერტს და იყენებს ერთი და  
იგივე მოვლენის სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით  
გააზრების შესაძლებლობას. ამისი მოწმენი ჩვენ გავხდით ჯერ კიდევ  
ხვარაზშშას ეპიზოდის ანალიზისას, როდესაც უცხო ქვეყნის უფლისწულის  
შეკვლელობის ფაქტმა სავესებით ახლებური ინტერპრეტაცია მიიღო მატიანეში,  
რადგან აქ იგი პოემისაგან განსხვავებით, არა უშუალო ფაქტად, არამედ  
პერსპექტიულ რეალობად წარმოგვიდგინა პოეტმა. (ე.ი. სრულიად განსხვავე-  
ბულ კონტექსტში მოაქცია).

მაგრამ ამ მახრივ, უცხო მოემის ეპიზოდი, მართლაც, რომ გან-  
საკუთრებულია. იგი კონტექსტის მიხედვით სამ სრულიად განსხვავებულ  
მნიშვნელობას იძენს: — 1. პოემაში ტარიელის არაბეთში გამოჩენასა და უც-  
ცარ გაქრობას გვიხატავს; 2. მატიანეში, დემნას გადარჩენისა და საქართ-  
ველოდან გადაკარგვის ფაქტს გვაუწყებს; ამავე დროს, წარმოგვიდგენს  
გიორგი მეფისა და თამარის განსხვავებულ დამოკიდებულებას ამ  
ფაქტისადმი. ამრიგად, ეს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნის“ მატიანეს უნიკალურ  
ისტორიულ წყაროდ აქცევს; 3. იგივე ეპიზოდი ჩართულია არაბეთის პროე-  
ქციის პირობით-ისტორიულ კონტექსტში; და ახლა სწორედ მისი ეს დანიშ-  
ნულება უნდა გავარკვიოთ.

სურათის მთლიანობისათვის ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ არაბეთის სამეფოში საქართველო პროექტირებულია ერთის მხრივ, თამარ-გიორგის ისტორიული მოდელით (რაც არაბეთის პროექციის ერთ ნაწილს უმუადლოდ „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის გავრცელებად აქცევს), ხოლო მეორეს მხრივ, თამარისა და დემნას წარმოსახვითი სამიჯნურო ურთიერთობის მოდელით, რაც ქმნის საკუთრივ არაბეთის პროექციის სპეციფიკას. (ე.ი. პირობით-ისტორიულ კონტექსტს). თამარ-თინათინის პიროვნული თვისებები (მასში პარმონიულად შერწყმული ქალური მომხიბვლელიობა და მეფური ღირსება) უცვლელ ჭეშმარიტებად გვევლინება „ვეფხისტყაოსნის“ როგორც მხატვრულ, ისე ისტორიულ-ფაქტობრივ და პირობით-ისტორიულ კონტექსტში. ამიტომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მაგრამ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ერთი ნიშანდობლივი გარემოება: აქ, ხადაც ხაოცნებო პერსპექტივა ისეა წარმოდგენილი, რომ თამარ-თინათინის და დემნა-ავთანდილის შეუღლებას წინ არაფერი ედობება, მოვლენები მაინც არ ვითარდება მშვიდად და უმტკივნეულოდ, რაც გვაფიქრებინებს, რომ თამარის და დემნას ურთიერთობა თვით ოცნების ასპექტშიც კი, არ შეიძლება ამოწურულიყო მხოლოდ სიყვარულისა და სახელმწიფოს მართვის იდეალით. აშკარად ჩანს, რომ თამარი დემნას რაღაც უფრო აღმატებულ მისიისთვის მოწოდებულად თვლიდა. ამ რწმენას ბაძებს სწორედ უცხო მოყმის ეპიზოდის თამარ-თინათინისეული გააზრება (არა ისტორიულ-ფაქტობრივ, არამედ პირობით-ისტორიულ კონტექსტში, ე.ი. საკუთრივ არაბეთის პროექციის დოგმით).

აქვე უნდა დავხსნიოთ, რომ პოემის მხატვრულ კონტექსტში უცხო მოყმისადმი თინათინის დამოკიდებულება არსობრივად იგივე მოვლენა ჩანს, რაც საკუთრივ არაბეთის პროექციის გააზრებით თამარ-თინათინის მისადმი დამოკიდებულებაა; ოღონდ, პირველი კონტექსტი, როგორც მისი აღმძვრელი მიზეზის, ისე შედეგის მიხედვით, უფრო კონკრეტულია, ხოლო მეორე მთლიანად განზოგადებული, სიმბოლურ სახეს იღებს. ამის ნათელსაყოფად წარმოვადგენ, როგორ მესახება თითოეული მათგანი.

პოემის მხატვრულ კონტექსტში: *თინათინის პირადი დამოკიდებულება უცხო მოყმისადმი პირველად მკლავნდება ავთანდილთან საუბარში; ირკვევა, რომ თინათინი არ მოახვეწა იმ მტირალი მოყმის მოვონებამ და მისი პოვნის სურვილია:*

*„ვახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დავეხოცა,  
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?  
მას უკანით ვონებამან მისმან ასრე დამამხოცა,  
შენ გენუკვი მონახებას, კიდით კიდე მოღაბო ცა“.* (128).

ეუბნება იგი მასთან პაემანზე მიხულ აეთანდილს. ამ პაემანზე თინათინი მთელი თავისი ქალური და მეფური ძალმოსილებით ხელემა თავის მოჯინურს:

„პირველ ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად, ურჩუნსუაღი  
მერმე ყმა ხარ, ხორციელი არეინა გვეაეს შენად ხწორად.“ (129)

როგორც სხვაგან, მთელი პოემის მანძილზე, აქც მრავლისმეტყველი ლაკონური სტრიხებით არის დახატული თინათინის პორტრეტი, რომელშიც ვენიალურად თანაარსებობს ავთანდილის ვნებიანი სიყვარული:

„ვაძრცივლხა ტანხა ემოსხეს ყარყუმნი უსაპირონი,  
ეპურნეს მოშლით რიღენი, ფახისა თქმად საჭირონი,  
პშეხოდეს შავნი წამწამნი, გულიხა ვასაგმირონი,  
მას თეთრხა ყელხა ეხეივნეს ვრძლად თმანი, არ- უხშირონი.“ (123)

ავთანდილი თინათინის სილამაზის ტყვეობაშია, - მისი სიახლოვით ბედნიერი, მისი სიყვარულის გამჟღავნებით მონუსხული და ერთგულების ფიციით ფრთაშეხსმული, ერთხა და იმავე დროს. იმდენად დიდია სიყვარულის ძალა და ისე ძლიერია სურვილი სატრფოს ბრძანების შესრულებისა, რომ ავთანდილი მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს:

„მოახსენა ყმამან: „მსუო, ვინ ვიშერი აწამწამე,  
სხვა პახუხი რამცა გაადრე, ანუ რამცა შვეიწამე?  
მე ხიკედილხა მოველოდი, შენ ხიცოცხლე გამიწამე,  
ვითა მონა, ხამსახურად ვანადამცა წავე, წა, მე“ (134)

სილამაზისა და სიყვარულის მავია არის ანი და პე ამ საოცარი პე-მანისა. და ამ მავიაში წართულია თინათინის სურვილი: მოიძებნოს უცხო მოყმე. ავთანდილს არ ებადება კითხვა: - რატომ? თინათინის სურვილი საქმარისი მოკრეია მისი ძალისხმევისათვის და ეპიკურ-რომანტიკული პოემის მხატვრულ კონტექსტში ეს მოკრეი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ წარმართის ვმირის მოქმედება.

თავდავიწყებადვე შეყვარებულ ავთანდილს არა, მავრამ ჩვენ კი გვი-ნდნება კითხვა: თინათინის მსრივ ამ სურვილის ვაცხადება მხოლოდ სიყვარულის გამოსხატვლად მოჯინურის სიყვითან ვზახუ დაყენება, თუ რაღაც უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია? თინათინის საქციელზე ფხიზელი თვლით დაკვირვება ამომწურავ პახუსს ვვაძლევს ამ კითხვაზე (რუსთველმა იზრუნა ამისათვის): როსტკევისაგან ვანსხეავებით, თინათინი უცხო მოყმის ურჩობახა და მის ვაუჩინარებას კი არ ვაჯვულისებია და შეუძრწუნებია, მისმა ცრემ-

ღმა დაამწუხრა (კმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხილა; მას უკანით ვინებამან მისმან ასრე დამამხოცა).

როსტვეინისგან განსხვავებით, თინათინი „ეშმაკის სიკრუვედ და სიბილწედ“ კი არ მიიხვევს დევივით „კვალ-წმიდად წარხლომედ“ (გოგონას, 11 პირიქით, იგი ეშმაკიან დაძაგრულ, სიკეთის მოხარხლო რაინტად ექსტრემად).

„შეგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გამაყარე,  
რომე დამსხნა შეჭირებუა, ეშმა-ბილწი ახაბყარე.“ (13)

მოუწოდებს იგი ავთანდილს. ე.ი. თინათინი დარწმუნებულია, რომ იმ უცხო მოყმის მწუხარების მიზეზი „ეშმა-ბილწია“.

რატომ მიიხნია თინათინმა ეშმას გამარჯვებულად უცხო მოყმის ცრემლი? უმჯობესად იმის გამო, რომ არაბი თინათინის თვალში გოლიათი რაინდის გეგვისი ტყავით შემოსეა მუხლიმანური აღმოსავლეთის ტრადიციას უკავშირდება; გეგვისტყავმოსილი გმირები ბოროტებას ებრძვიან ქვეყნად, ეს კაცი კი წელის პირას ზის და მწარედ ტირის. მაშ, ბოროტებას ვაუმარჯუნიო? როსტვეინი ასე შორს არ იყურება. იგი თავისი სახელმწიფოს ინტერესებითაა შემოფარდებული. კეთილისა და ბოროტის მხაჯული თვითონ არის თავის ქვეყანაში, და უთუოდ, სამართლიანი მხაჯულიც, მაგრამ მიხი მეფური ღირსების შელახვას იგი არავის აბატებს. მას შეუძლია თავისი ნებით შეიწყალოს ხევა, მაგრამ მისაღმს ურჩი კაცის მწუხარების მიზეზი მას საკონკრეტოდ არ ჩააგდებს (ვერც მოეთხოვთ „მოსამართლე და მოწყალე“ ხელმწიფეს ამაზე შეეს).

თინათინი კი უფრო მაღალ ტახტზე ზის, ვიდრე არაბეთის მეფის ტახტია. ავთანდილთან პეშმანის დროს იგი ხასჩაულს ახდენს. თუ მიხი სიღამაზის და სიყვარულის მეფია ერთიანად არ შეგვიპყრობს ავთანდილივით, დაეინახავთ, რომ თინათინი ამ პეშმანის დროს უკანა პლანზე გადახწევს ყმობასაც და მეფობასაც და ყოველგვარი პირობითობისგან თავისუფალ ბრძენ აღამიანად იქცევა. იგი ავთანდილსაც ათავისუფლებს სპასპეტის მოვალეობისგან და უკეთილშობილეს მისიას აკისრებს მას: ეშმახვან შეჭირებული ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი რაინდის ტყვილის მკურნალად გზავნის. აქი სამი წლის შემდეგ დაბრუნებულ მიჯნურს, ტარიელის აბუგდობის ამბავი რომ ჩამოიტანა, თინათინი პირველ ყოვლისა, კითხება: „რაა წამალი მისხია წყლულისა ვანკერსებისა“-ი?

თინათინის მიერ უცხო მოყმის ხატებრად ავთანდილის ვაგზავნა იმასაც ვეაუწყებს, რომ მეფე-ქალი თავის მიჯნურში უფრო დიდ საქმეთა შემძლე პიროვნებას ხედავს, ვიდრე სახელმწიფოს მმართველობაა, და მიხი დახარჯვა მარტო მეფობისთვის არ ემტევა. თერმე, ხმლით საზღვრის დაცვა შერმადინსაც შეუძლია; თინათინმა კი „იცის მეფობა“. მაშ, ავთანდილი მოვალეა



დროებით ჩამოშორდეს თავისი ქვეყნის კრძალი ინტერესებს და დიდი ადამი-  
ანური მისია შეასრულოს.

„სამხა ძესზე წელიწადსა იგი შენი საძებარი.“ (132) – ამ ხეცეუბნისა  
დაკრისტალებული თინათინის დაჯაღების არხი. მას შემდგომ, რაც ვეზირ  
დიღმა პპოვა „თვისი საძებარი“ და ცხოვრების აზრად გაიხადეს, მისი  
სახური, თინათინი ისევ დახტურს აძლევს მას წახვლითსა, ხოლო მეფეს ისევ  
ვაჟარება იგი:

„მე მეფეო, ვაჟიარე ძებნად ხეშვან საძებრისად.“ (788)

ამრიგად, ხეცევა „საძებარისა“, თვალსა და ხელს შუა, თავისი კონკ-  
რეტული შინაშეხლობა ვაჟიარეოვა და უკვე აეთანდილოს მადალადამიანური  
მისიის ხინთინად მოგვევლინა.

ამჟერა, რომ თინათინისა და აეთანდილოს თინაშინახელობა ადამი-  
ანურ სარსოელზე მოღვაწეობის სურროში სცილდება მეფობის ფარგლებს. და  
აქ კიდევ ისაა წინა პლანზე წამოწეული, რომ აეთანდილისათვის ამ დიდ  
საქმეში პოტისა თუ სტიმულის მიმცემი პიროვნება, რომელმაც მას,  
შეიძლება ითქვას, საკუთარი თავი აღმოაჩენინა, – არის თინათინი. ამიტომ  
არის თინათინი დიდი პეშანიშმის პირველი ზარის ჩამოქცეული  
„ვეფხისტყაოსანში“, – ამამოხრავებული კეთილი ძაღებისა; ყველაფერი ხომ  
თინათინის მიერ ვერდავიწყებული უცხო მოემის ცრემლით დაიწყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოემის მხატვრულ კონტე-  
ქსტში თინათინის დამოკიდებულება უცხო მოემისადმი, ერთის შეხედვით,  
არის დამოკიდებულება მეფე ქალისა კონკრეტული პიროვნების მწუხარების-  
ადმი, და მის საძებრად აეთანდილის მივლენა ხდება მხოლოდ სიყვარულის  
სახელით. მაგრამ თინათინის ვანზრახვას ამდღებს და აკეთილშობილებს  
ადამიანის ადამიანისადმი თანაღმობის საუფანელი, – ეშვას მიერ შეჭირვებული  
სიკეთის დამცველი რაინდისთვის დახმარების სურვილი, რაც თავის მხრივ,  
აძირავს აეთანდილს მასში დაუნჯებული ადამიანური უნარის მაქსიმალური  
გამოვლენისათვის; და თუმცა მისი ძაღისხმევა კონკრეტულად ტარიელის  
მეგობრობასა და ხესტანის დახსნას ხმარდება, მაგრამ პოემის მიერ გან-  
უხილობაში ვმირის პიროვნება გამოიკვეთება და ყაღიბდება მეგობრობისა  
და თუდაღების ვანზოვადებულ სახელ, ადამიანის უმადლეს იდეალად, რო-  
მელსაც მეფობის იდეალზე ბევრად მადლა აყენებს „ვეფხისტყაოსნის“  
ავტორი.

მცირე მინაწერი: მაგრამ მეორეს მხრით, ჭეშმარიტების დაუნახ-  
ველობა და შეუფასებლობა იქნებოდა არ აღგვეჩინა, რომ თინათინის და  
ეთანდილის ეს ადამიანური ხიბლდე როსტკეეების მიერ შემზადებული სახ-  
ელმწიფოს ძღვეამიხილებს საყოფია, როსტკეეებისა, რომელსაც აეთანდილი  
ახე მიმართავს: „ყოფელი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმინია“

ისეთი წყობის ადამიანები, როგორც თინათინი და ავთანდილი, ძნელბედობის ჯამს აღივლებულე არ დაჭოუებდნენ თავის ქვეყანას და სხვისი ტკივილის საშუალოდ არ წაიდიოდნენ. ე.ი. კეთილგონიერმა შეწყვეტა ადამიანური ფუფუნების უფლება რომ მისცენ თავიანთ თავს, სანამთა მარადეობა უნდა იყოს მათ სახელმწიფოში; და ასეთ პირობებს კი როსტკევის ტაძის „მადალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი“ შეფუცი ქმნიან.

ასეთია ის ქვეყნები და ის დიადიქტიკა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი „ამის“ დიაბაზონს უდევს საფუძვლად და მოედუნათა ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანის უფლებას არ იძლევა.

### უცხო მოყმის აღქმა საკუთრივ არაბჰიის პროექციის კონტექსტში:

ამ ხაოცნებარ პარმიოულ სამყაროში ისტორიულ პიროვნებათა პოტენციური „შე“-ები მოქმედებენ, ე.ი. მოქმედება, როგორც აუცილებელი შედეგი, გამომდინარეობს პირობითი წინამძღვრებიდან და შემდეგი სქემის სახით წარმოგვიდგება: ამგვარად ყოფნის შესადლებლობა რომ კქიოდათ (მათი შინაგანი პოტენცია საამისო საფუძველს იძლეოდა), მაშინ მათი ურთიერთობის შედეგი ნამდვილად ასეთ სახეს მიიღებდა.

ამ პირობით სქემაში შეუძლებელია რაიმე მოვლენაზე მომხდარი ფაქტის პოზიციიდან ვიმხჯელით; ამიტომ არის, რომ საკუთრივ არაბჰის პროექციის გააზრებაში უცხო მოყმეც პირობით, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და აღიქმება არა როგორც კონკრეტული პიროვნება, არამედ როგორც გარესამყაროდან შემოჭრილი იდუმალება, ადამიანის ტკივილი, პირობის მიერ შეჭირვებული სიკეთის ხატი. მხედველობაში გვაქვს თამარ-თინათინის აღქმა, თორემ როსტკეან-გიორგისთვის იგი ამ პროექციაშიც „ეშმაკის სიცრუე უდ და სიბილწედ“ რჩება.

და აი, თამარ-თინათინის მორჭმული, სვებუნდური მეფის პერსპექტივიდან გამოიყავს დეშნა-ავთანდილი, და სამყაროს ამ იდუმალი ძახილის, ადამიანის ტკივილის კვალზე აყენებს... ამას ვგულისხმობდით, როდესაც ვთქვით, - თამარის და დეშნას ურთიერთობის ხაოცნებო პერსპექტივაკ კი, როგორც ეტყობა, არ შეიძლებოდა ამოწურულიყო მხოლოდ სიყვარულის და სახელმწიფოს მართვის იდეალითო. ახლა ვვლარავინ გვამცნობს, სახელდობრ რა ისტორიულ ფაქტს ეყარება რუსთველის ეს რწმენა. მაგრამ არაბჰის პროექციაში უდავოდ გამოხსჯევის ის ჭეშმარიტება, რომ თამარი შემცნობი და წარმართველია დეშნას გენიის უდიდესი პოტენციისა, ხოლო თავის მხრივ, დეშნა - თამარის მეფური და ადამიანური გენიის მრწმენი.

თუ სიმბოლურად წარმოვიდგენთ დეშნა-ტარიელის ტრაგედიაში განსხეულებულ ადამიანურ ტკივილის არსს, ჩვენს წინაშე ნათლად გამოიკვეთება დეშნა-ავთანდილის მისია: - ეს არის გადარჩენა ადამიანის დეგრტაში ჩადებული სტიქიური, გულისმიერი სიყვარულისა, რომელიც დვთაებრივ

ექსტრაზამდე მადლდება (ხალხურ გამოთქმას თუ ვიხმართ), მხოლოდ „სწორფერთა“ ანუ „ერთფერთა“ ურთიერთტოლღვის ეამს, და რომელსაც თვით ადამიანის მიერ შექმნილ პირობითობათა გამო, თითქმის არასოდეს არა აქვს გზა ხსნილი.

სიყვარულის არსიდან გამოთიშული ადამიანის ცრემლი იმ ცრემლია, რომელსაც ადამიანური სიცოცხლე არ უწერია თავისი ღვთაებრივი საწყისიდან მოწყვეტილად.

იმ პირობითობათა გამო, რასაც ადამიანი თვითონ ქმნის, მისი სიყვარულის საგანი, - მშვენიერება, განუღტვის მას და გაუჩინარებულა სამყაროს ქაოსში. პირველ ყოვლისა, საჭიროა მისი მიკვლევა. ასე რომ, ახლა, დემნა-ავთანდილის „საძებრად“ იქცევა უზო-უკვლოდ დაკარგული მშვენიერება, და ამ „საძებრისათვის“ მას უკვე სიცოცხლეც აღარ ენანება.

საბოლოოდ, დემნა-ავთანდილის ოდისეის არსი გვესახება, როგორც კაცობრიობის ადამიანურ ტივილთან ზიარება, მთელი არსებით მისი თანაგრძნობა და თანაღმობა, ყოველგვარი საცთურის დაძლევა, ყოველი სიმნელის გადაღახვა მისი განკურნების მისაღწევად: ამავე დროს, კაცური ცხოვრების ყველა განზომილების განტკრეტა და განცდა, სულიერ და ფიზიკურ ძალთა უკიდურესი დაძაბვა და ამ გზით სამყაროს ქაოსში მშვენიერების მიკვლევა, მისი დახსნა ბოროტ ძალთა ტყვეობიდან; საკუთარ „სურვილთა დათმობის“ ფასად ამ ქარცეცხლში მფარველი ავგაროზივით ტარება თამართისათვის სიყვარულისა, მისით ვნება და მისით წამება, და შეუბღალაუად მისი გადარჩენა.

ზოგადად ასე წარმოგვიდგება პერსპექტივა სასწაულებრივი ძალისხმევისა, რომელიც თამარის ხელთდახსნით უნდა გამოეჩინა დემნა უფლისწულს იმ შემთხვევაშიც, თუ მის მეფობას და სიყვარულს წინ არაფერი აღუდგებოდა.

ჩანს, მშვენიერების და სიყვარულის გოღვგოთაზე ჯვარცმა, და ამ გზით „შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“, ყოფილა ის მეფობაზე აღმატებული

1 - მოვიგონოთ ხალხური: „აბესალომ და ეთერი დმერთმა შექარა ერთფერი“. აბესალომთ ხომ ხალხის ტარიელია, - ტარიელი, რომელსაც ავთანდილი არ გამოუჩნდა, მაგრამ რომელთან „ერთფერობის“ გარდუვალი რწმენა ეთერმა შექმნა იმით, რომ აბესალომთან ერთად სიკვდილი და საფლავს ჩასვლა ამაღობინა მურმანთან ბროლის კოშკში სიცოცხლეს. ხალხმა სულგაყიდული კაცის ვნება სიყვარულად არ მიიჩნია, - არ უთანაგრძნო მურმანს.

როცა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ფოლკლორთან სიახლოვეზე ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, „ეთერიანი“ და მისი ყიდის შეღვერები გვაგონდება, რომლებშიც იგრძნობა მსოფლმხედველობრივი და სულიერი ერთობა რუსთაველის გენიალთან, იგრძნობა რომ ეს ხალხი „ვეფხისტყაოსნის“ მშობელი ხალხია. ხოლო ისინი, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ გავრძელებები შეთხზა, ალბათ, რუსთაველის პიუმაში მხოლოდ „ამბავს“ ხედავდნენ, მის სულთან კი შეხება არა ქვინათ.

მისია, რომლის დამლა იმთავითვე შუბლზე ქონია აღბუკილი დეშა ბაგრატიონს, და რომელსაც ყველაზე უწინარეს თამარის თვალი და გული შეეცნობდა.

დავითს, დემეტრეს, ვიორგის ჩაუკებელი ხმლითა და კლდეებით გამკრიახობით შეკავშირებული და განმტკიცებული სახელმწიფოში, საფუძველი ამ სულიერი ამადლევისა.

„მოეწურსა თვალად სიტურფე კმართებს, მართ ვითა მზეობა“ (23); იტყვის რუსთველი, და კიდევ რა არისო აუცილებელი? „სიყმე და მოცაღეობა“, - დასძენს იგი.

„სიყმე და მოცაღეობა“, - ამ სიტყვათა შეწყველება ხომ მკრეხელობა იქნებოდა აღმაშენებლის ეპოქაში. ვინ მისცემდა მაშინ „სიყმეს“ ამ ფუფუნების უფლებას! იგი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტერთაგან ხსნას უნდა მოხმარებოდა, და შემდეგ კი დანგრეულის შენებას, ამადლეებას სულისას, რწმენისას... მან, უდიდესმა ადამიანთა შორის, დათრგუნა თავისი ადამიანური „მე“, იტვირთა რა მეფის უმძიმესი გვირგვინი, და საქართველოს სულისა და სხეულის აღორძინებას დაახარჯა თავისი სული და სხეული.

დემნა-ავთანდილი კი გვირგვინის სიმძიმისაგან თავდახსნილი კაცია. ქვეყნისათვის დამაშურალი მეფის მიერ აღმოთქმული „გაღობანი სინანული-სანი“-ს ნაცვლად იგი მეგობრობისა და სიყვარულის პიზნად იღვრება, მონათა თავისუფლებაზე ოცნებობს და უდიდესი შინაგანი თავისუფლებით გაღადებული, ცის მნათობებს უწიარებს თავის ადამიანურ აღმაფრენას. (ვით აღირსებდა მეფე დავითი თავის თავს ამ ფუფუნებას).

ამგვარად წარმოგვიდგენს რუსთველი დემნას პარმონიული „მე“-ს ჩამოყალიბების პერსპექტივას მაშინდელ საქართველოში (მისი სიყვარულის უარყოფელი მიზეზი რომ არა). ასე რომ, ავთანდილის პიროვნება არა მხოლოდ პუშკინისტი პოეტის გენიალური შთაგონების ნაყოფია, არამედ ეს არის ბედისწერის მიერ შეწყვეტილი მისი ცხოვრების რეალური პერსპექტივა. ეს ფაქტი კი თავისთავად, მაუწყებელია მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ძლიერების და სულიერი სიმაღლისა, რომელმაც მშვენიერების და სიყვარულის მსახურებად აღძრა ადრე სისხლის ღვრით სულდამძიმებული ქართული გენია.

## საქართველოს მესამე პროექცია, - მუღლაზანზარის სამეფო

ინდოეთისა და არაბეთის გარდა, მუღლაზანზარის სამეფოც საქართველოს ერთ-ერთ პროექციად გვევლინება პოემის სიუჟეტის მეორე განზომილებაში. ფრიდონიც დემნა ბაგრატიონის ერთ-ერთ შესაძლებელ მდგომარეობას განასახიერებს: ეს არის უსიყვარულოდ დარჩენილი მეფის პერსპექტივა. მშვენიერებამ (ნესტანმა) გაიღღა მის პორიზონტზე; ფრიდონმა ზღვის კიდემდე ჩაირბინა ცხენით და თვალი გააყოლა გატაცებულ მზეს. გულში ხინჯად აქვს მისი მიუწველობა, მაგრამ ეს არის და ეს.. როგორ წარ-

მოვედგება ასეთი მეფის ცხოვრების არსი? - გაუთავებელი დაუბრუნებლობის მძვირებთან რაღაც უმნიშვნელო მიწის ფლორისათვის, - დაწვრილმანება, ნერვების მოშლა, გოლიათური ძალის შეღვევა შიდა ომზე და ინტრიგებზე, საგულისხმოა, რომ ფრიდონი თავის გრძელვადიან ცხენს ტარიელს გადაულოცავს: მეფე მიჯნურს უსიძობს ასპარეზს ადამიანური ცხოვრების სარბიელზე.

მულღაზანზარის პროექციიდან შავი ცხენით დემნა-ტარიელის ვახვლა იმისი მაწუქებელია, რომ დემნა უფლისწულმა, უკან ჩამოიტოვა რა თავისი მეფური „მე“, ზურგი აქცია მეფობის პერსპექტივას და სიყვარულის სივით შეპყრობილმა ადამიანურ გრძნობათა სტიქიაში გადაინაცვლა.

ფაქტურად, მულღაზანზარი საქართველოს სამეფოს მეორე პროექციაა და არა მესამე. რადგან ტარიელი არაბეთის პროექციაში შავ ცხენზე მჯდარი გამოჩნდება. ე.ი. მას შემდეგ, რაც უარყო მეფობის პერსპექტივა, დემნა უფლისწული გაეთიშა თავის პარმონიულ „მე“-საც და შმაგ გრძნობად ქცეული გადაიკარგა საქართველოდან.

#### დასკვნა-ჩანართი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განსომილება საბოლოოდ გამოიკვეთა, როგორც რთული სტრუქტურის მქონე ისტორიული ნაწარმოები, რომელშიც საქართველოს სამეფო სამი პროექციითაა წარმოდგენილი (ინდოეთი, არაბეთი, მულღაზანზარი), და დემნა უფლისწულის პიროვნებაც სამ პიროვნებაშია პროეცირებული (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, - პოემა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისაგან განსხვავებით, რომელიც სამი ძირითადი სამეფოს და სამი მთავარი გმირის ამბავს გვამცნობს, - მატიანე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ერთი სამეფოს ფარგლებში ვითარდება და ერთი პიროვნების თავს გადაამხდარ ამბავს და მისსავე სულში დატრიალებულ ტრაგედიას გადმოგვცემს: პოემის სამი მთავარი გმირი მატიანეში გაიანზრება, როგორც დემნა უფლისწულის სამი „მე“.

დემნას რეალური თავგადასავალი ტარიელის თავგადასავალშია პროეცირებული. ავთანდილი და ფრიდონი დემნა უფლისწულის ორ შესაძლებელ მდგომარეობას განასახიერებენ. ავთანდილის ხატში ხორცშესხმულია დემნას პარმონიული „მე“, - მიჯნურისა და მეფის ღირსებათა სინთეზი; ავთანდილად ჩამოყალიბების რეალური პოტენცია აქონდა მას, მისი სიყვარულის უარყოფელი მიზეზი რომ არა. ფაქტურად ასეთი პარმონიული პიროვნება იყო იგი „ისტორიანი და აზმანი შარაგანდედთან“-ს ავტორის ცნობით, ვიდრე შევიდოდა „ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა“... ასე რომ, პროექციას, რომელსაც დემნას მეორე „მე“-ავთანდილი ქმნის, შეიძლება ვუწოდოთ დემნა უფლისწულის რეალური პოტენციისა და განუხორციელებელი პერსპექტივის პროექცია (სიყვარულის შეუწყნარებლობის გამო განუხორციელებელი პერსპექტივისა).

რაც შეეხება ფრიდონს, იგი წარმოვედგება, როგორც დემნას მიერ „მე“, ე.ი. დემნას გახლენილი პიროვნება, - მეფე უსიყვარულოდ. ამ პროექციას შეიძლება ეწოდოს რეალური პოტენციისა და რეალური პერსპექტივის პროექცია (რომელშიც შეიძლებოდა პერსპექტივა სინამდვილეშიც კი უფლებიყო, მას რომ ესურვა უსიყვარულოდ მეფობა).

ასე რომ, არაბეთისა და მულდასანზარის პროექციები, მსგავსად ინდოეთის პროექციისა, შედგენილია ისტორიულ მოვლენათა არსობრივი სქემით (ტარიელთან უშუალოდ დაკავშირებული მოვლენები) და ისტორიულ პროცესში უშუალოდ ჩართულ პოტენციათა და პერსპექტივათა წარმონიქით. და რაც მთავარია, ყოველ პროექციას საფუძვლად უდევს დემნასა და თამარის პოტენციურად შესაძლებელ ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტი.

შმაგი მიჯნური-ტარიელი არის ის „მე“, რომელმაც იფუტა დემნა უფლისწულის პიროვნებაში და გადაფარა მისი პარმონიული „მე“-ც და მეფური „მე“-ც. ტარიელის გადასვლა პროექტიიდან პროექციაში იმის მანიშნებელია, რომ დემნა უფლისწულს აუთანდილად ყოფნის შესაძლებლობა არ მიეცა, ხოლო ფრიდონად ყოფნა არ ისურვა.. პროექციებიდან ტარიელის გასვლით დამთავრდა დემნას ყოფნა საქართველოში და დაიწყო მისი განდგომილობა.. რა მოხდა შემდეგ? რას გვამცნობს კიდევ პოემის სიუჟეტის მეორე განხორციელება ანუ მატიანე „ვეფხისტყაოსანი“?

### პოემის სიუჟეტის მეორე განხორციელება პროექციების მიღმა

პროექციებიდან გასვლის შემდეგ დემნა-ტარიელი ერთგვარ სიცარიელეში ხვდება. პროექციების შიგნით მოქმედი ლოგიკით მატიანის გავრძელება აღარ იკითხება: რამდენადაც დევიარის მიერ ნესტანის დასჯის ანალოგია საქართველოში არ განხორციელებულა (ეს მოვლენა ხომ მეორე განხორციელების კონტექსტში მხოლოდ პოტენციურად შესაძლებელი ამის პერსპექტივადაა წარმოდგენილი), თამარი ნესტანისაგან განსხვავებით, ტახტის პრეტენდენტის ამბოხების შემდეგ სამშობლოში დარჩა, რის გამოც ქაჯეთის ციხის ეპოპეა არც არსობრივი და არც პერსპექტიული გააზრებით, არ შეიძლება თანხედებოდეს დემნას და თამარის რეალურ თავგადასავალს.

მიუხედავად ამისა, შეუძლებლად მიგვაჩნია, აქ წყდებოდეს დემნა უფლისწულის მატიანე. ვინაიდან ტარიელის თავგადასავალი დემნა უფლისწულის თავგადასავალს ეფუძნება (ანუ მის უშუალო პროექციას წარმოადგენს), ქაჯეთის ციხის ეპოპეა, როგორც აბოთოზი ამ თავგადასავლისა, გააზრების რაიმე ფორმით ანუ ხერხით უსათუოდ ჩართული უნდა იყოს მატიანეში.

ერთხელ კიდევ მოვივინოთ ის ჭეშმარიტება, ტარიელი და რუსთველი, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის სიშმაგით და სიყვარულისთვის სოფლის დათმობის იდეით რომ თანხედებიან ერთმანეთს; უნდა გავითვალისწინოთ



ისიც, რომ სოფლის დათმობის მიზანი ორივე შემთხვევაში სიყვარულის ძიებაა, მაგრამ ძიება სხვადასხვა სფეროში: - ვინაიდან რუსთველს ტარიელის განსახვეუებით, სატრფოსთან მიახლებების მიწიერი გზა აღკვეთილი აქვს, მისი ცხოვრების აზრად იქცევა სიყვარულის არსის ძიება, მისი შედეგად და მასთან შერწყმა. ამიტომ, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ნესტანი დღემო უფლისწულისთვის (მომავალი რუსთველისთვის) მხოლოდ სიმბოლოურად ან ალგორითულად შეიძლება განასახიერებდეს სატრფოს, - სიყვარულის არსს. ასე რომ, მატიანის შემდგომი გაგრძელება მხოლოდ სიმბოლოების ან ალგორითების ენაზეა შესაძლებელი.

და რადგან გზა ქაჯეთის ციხისკენ ინდოეთის პროექციიდან მიიმართება, ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა ინდოეთის პროექციაში უნდა მივიხიჯეთ.

### ალგორითული პლანო

მართლაც, თუ კარგად ჩაუვკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ინდოეთის პროექციაში მომხდარი ამბების ალგორითულმა გააზრებამ შეიძლება მიგვაკვლევინოს ჭეშმარიტებას.

„ვეუხისტკაოსნის“ მატიანეში „დავარის“ როლი რომ ვაცინდებით მეტია, ვიდრე უფლისწულთა მამიდის მოსალოდნელი მრისხანების გამოხატვა, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვრცლად ვილაპარაკეთ. „დავარი“ რომ ხსენებულ კონტექსტში იმ ორთოდოქსალური ქრისტიანული მორალის განსახიერებაა, რომლითაც თვით თამარია განმსჭვალული, ესეც უკვე ითქვა. აქედან ერთი ნაბიჯი და დარსა ალგორითამდე, რომლის ზუსტ გასაღებსაც იძლევა თვით სახელი „დავარ“: ის ორი სიტყვაა, რაც ამ სახელის ელერაში იხმის, - „და ვარ“ არის არსი დემნას და თამარის ტრაგედიისა. და ალგორითა ხომ სწორედ არსიდან მომდინარეობს. მართლაც, თუ „დავარს“ ვავიარებთ თამარის ზნეობის (დამძვრი გრძნობის შეუვალობის) ალგორითად, მაშინ ნესტანი მისვე (თამარის) სტიქიური სიყვარულის ალგორითად წარმოგვიდგება, და მთელი ეს ეპიზოდი ასეთნაირად ითარგმნება: როგორც კი თამარის გულსა და გონებაში არსებული დამძვრი გრძნობის შეუვალობის რწმენა გაიცნობიერებს მისგან ფარულად, მისსავე გვერდით ვალევივებული სტიქიური გრძნობის არსს, მაშინვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს მას. დამძვრი გრძნობის შეუვალობის რწმენა უკვე შევსებულად უხშობს გზას სიყვარულს, დაუნდობლად სჯის მას, მაგრამ ამასობაში ირკვევა, რომ მას თავად თვითმკვლელობა ჩაუდენია. ე.ი. „დავარის“ განაჩენი რჩება ძალაში, ის კი აღარ არის ცოცხალი.

ყოველივე ამის ფონზე, ქაჯეთის ციხეც რეალური ფაქტის მეტაფორულ ალგორითად გვესახება, - ეს არის ზნეობის მიერ დასჯილი სიყვარულის საპურობიდე. (რა თქმა უნდა, პოემის სიუჟეტის მეორე განხორციელებაში და არა მხატვრულ კონტექსტში).

განხდა ახალი ხატი: თამარის სიყვარული, გამოკეტილი მისივე სწეობის ციხეში.

სწორედ თამარის სწეობის განაჩენით დასაღუპავად განწირული მისი სტიქიური სიყვარულის (ნესტანის) გადარჩენა იქცევა ალევორიული პლანის დედაზრად, და ამდენად, ბუნებრივია, რომ პროექციითაა გარეთ, ღებობს სამივე „მე“-ს ალევორიის არსს განსაზღვრავს მისი პიროვნების ის თვისება, რომელიც გადამწყვეტია ნესტანის ძებნისა, მიკვლევისა და გადარჩენისათვის. ამ მიმართებით ტარიელი წარმოგიდგება დემნა ბაგრატიონის გრძნობის ალევორიად, ავთანდილი - მისი ვონებისა, ხოლო ფრიდონი - მისივე მეფური ძალმოსილებისა (ალევორიების დადგენისას გამოერიცხავთ იმ საერთო თვისებებს, - სიმამაცეს, თავდადებას, - რაც სამივეს თანაბრად ახასიათებს).

თუ რა იგულისხმება სიყვარულის ამ გადარჩენაში, ჩვენ ზაბოლოოდ დავადგენთ მთელი ალევორიული პლანის გაანალიზების შემდეგ, მაგრამ ის კი ცხადზე ცხადია, რომ ნესტანის ძებნისა და მისი ქაჯუთიდან დახსნის ეპოპეა ალევორიის ენაზე ისევ თამარისა და დემნას სიყვარულთან დაკავშირებულ რეალურ ამბავს გადმოგვცემს. მაშასადამე, ალევორიული პლანის შემეუბნით გამოიკვეთა ინდოეთის პროექციიდან ქაჯუთის ციხისკენ მიმავალი მაგისტრალური ხაზის უშუალო კავშირი ისტორიულ სინამდილე-სთან.

მაგრამ ვიდრე ამ მაგისტრალურ გზაზე გავადევნებდეთ თვალს დემნას სამი „მე“-ს ალევორიას (ანუ თვითონ დემნა ბაგრატიონს), ერთხელაც მიმოვიხედოთ ინდოეთის პროექციაში, - ხომ არ გვაძლევს კიდევ რაიმე ისტორიულ ცნობას აქ მომხდარი ამბების ალევორიული გააზრება.

რაახან ინდოეთის პროექციის ალევორიულ პლანში ნესტანი თამარის გაუცნობიერებელი სიყვარულის ალევორიაა, ხოლო ტარიელი - დემნას მთლიან არსად ქცეული აღზევებული გრძნობისა. როგორც ჩანს, ამ სიყვარულის შერქმნებით ფრთაშესხმული, ამ სიყვარულის იდუმალი კარნახით სჩადის დემნა საგმირო საქმეებს, მსგავსად ტარიელისა.

როგორი უღმობელი განაჩენით კლავს ტარიელი ხვარაზშმას. ძნელი დასადგენი არ არის, რომ ხვარაზშმა უსიყვარულო (პოლიტიკით განპირობებული) ქორწინების არსი ანუ ალევორიაა. ალევორიათა ლოგიკა ცხადყოფს, რომ ეს „მიკვლელობაც“ ჩადენილია სინამდილეში, და სწორედ ისე მიპარვით, ისე არარაინდულად, მაგრამ ისევე დიადი სიყვარულის კარნახით, როგორც პოემის მხატვრულ კონტექსტში. სახელდობრ, დემნას აჯანყების ფარული მიზანი იყო პოლიტიკით თავსმოხვეული ქორწინების გაქარწყლება, და ამ საქმეს იგი თავისივე სიმამრის, ამირსპასალარ ორბელის ხელით ახორციელებდა. ივანე ორბელს ვგონა, - ჩემს ასულს სადელიოფლო ტახტს უშუაღებო, ის კი, როგორც ჩანს, ვჭვადაც არ მქონია, რომ თუ დემნა გამეფდებოდა, ამ ნაძალადევი ქორწინების არსს სიცოცხლე აღარ ეწერა. დემნას პიროვნების შინაგანი ლოგიკა გვიდასტურებს, რომ სიყვარულში კომ-

პრომიხის გამორიცხულია. და რადგან ვიცით, რომ მას არც ფრიდონის (უსიყვარულოდ დარჩენილი მეფის) ხეული ხიბლავდა, ცხადი ხდება, რომ თავსმოხვეული ქორწინების არსის მოსპობა თამართან შეუღლების თვტებას ურთოდა... ეს ყოველივე, ისეთივე გიჟური, სიყვარულით ატანილი და ღაბრუ-მაკებული ჭაბუკის თავზე ხელაღებული გაბრძოლებაა „ქმად მართლისა სამართლისა“, როგორც ხვარაზშმას მკვლელობა. ორბელიან ქალიც და ხვარაზშმაც უღანაშაულო მსხვერპლია, ქორწინებაში მეფეთა პოლიტიკის ჩარევით გამოწვეული... მეფეთა პოლიტიკა და ადამიანური გულისთქმა - რომ გორ შეუთავსებელ და მოურიგებელ ცნებებად ჩანან „ვეფხისტყაოსნის“ ამ ეპიზოდში, და კიდევ უფრო მეტად, - დეშნა ბაგრატიონის პირად ცხოვრუ-ბაში.. მან ხომ უპირველეს ყოვლისა, თავისი თავი მიიტანა მსხვერპლად, რათა ადამიანური გულისთქმა გადაერჩინა.

ეს „მართალი სამართალი, ხეს რომ შეიქმს ხმელსა ნედლად“, - დეშნა უფლისწულის მიერ ჩადენილი სასწაულია. მაგრამ იგი არ თავსდება კონკრეტული დროის და სივრცის ჩარხოებში და პერსონალურად არც გიორგი მეფეს სვამს სამხჯაერო სკამზე. ეს არის მარადიული მშენიერებისა და მარადიული სიყვარულის გადასარჩენად ჩადენილი „მკვლელობა“. ეს ერთი კაცის მიერ გადახდილი ტროას ომია. ეს თამარის მოპოვებისათვის ბრძოლაა, და მერე, - ყველაფრის დათმობა იმის გამო, რომ თამარი საქართველოს არ დაკარგოდა.. ქართველი ხალხის ხსოვნაში დაუნჯებულმა მარადისმა თამარმა საუკუნებს დაუდასტურა მისი მსხვერპლის სიღიადე.

ეს „მართალი სამართალი“ „ვეფხისტყაოსანში“ ჩამარხული მაგნიტია, რომელიც ადამიანთა გულებს თავისკენ იზიდავს. ამიტომ მოხდევს ჟრუანტელი „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სტრიქონს და თაობიდან თაობაში ვადაყვება ქართველი კაცის სიხელსა და გენს. იგი ისეთი თვისობრიობაა რუსთველის პოეზიისა, არავითარ კვლევას და ანალიზს რომ არ ემორჩილება.

აღბათ, ვერავენ დაადგენს საბოლოოდ, რამდენი განზომილება და წახნავი აქვს „ვეფხისტყაოსანს“; რაც უფრო მეტს ამოიცნობ, უფრო მეტი შეუცნობელის წინაშე დგები. იგი სამყაროს დაუცხაბამო საიდუმლოების ნაწილია. იგი განგადღვეინებს ადამიანად ყოფნის აზრსა და სიღიადეს. იგი მოიცავს მარადიულ ადამიანურ საწყისს და სასრულს.

მაგრამ რადგან ჩვენ ამჯერად კონკრეტული მიზანი გვაქვს, ისევ ვუბრუნდებით ინდოეთის პროექციას; - ჯერ კიდევ არ ამოწურულა მასში ისტორიული ცნობები, რომლებიც აღფეორიების დოგიკით უნდა ამოვიკითხოთ. ეს უკანასკნელი, თუხვესის მიერ ლაბირინთაში გაბმული არიადნეს ძაფით გზას გვიჩვენებს, და უნდა მივდიოთ, თუ სინათლეზე გამოხვლას ვესწრათ.

სოკრატის მეორე განზომილების აღფეორიულ პლანში უკვე ნათლად ჩანს, რომ თამართან შეუღლების ოცნება დეშნა ბაგრატიონს ბოლომდე გულში არ აქონია ჩამარხული, და რადაც პირდაპირი, თუ არაპირდაპირი

გზით გაუმჯობესებია თამარისთვის. „დავარის“ ალევორიის გამოყვანა მიგვანიშნებს, რომ თამარის უეცარი გამოფიხილება, მისი წრეკლასული მრისხანება საკუთარი თავისა და გაუცნობიერებელი სიყვარულის მიმართ, სწორედ ამ გამქვადნებასთანაა დაკავშირებული. და რადგან „დავარს“ (ე.ი. დაძმური სიყვარულის შეუვადლობაში დარწმუნებულ თამარს) სიყვარულზე თვალის მუყვამ აუხილა, ეჭვი არ არის, რომ გიორგი მეფე თამარზე უწინარეს ჩაწვდა სტიქიურად წარმოქმნილი გრძნობის არსს და დემნას „სიშმაგვაც“ ადრე აუღო ადლო.

ეს თუ ასეა, მაშინ გიორგი III-ის პოლიტიკით დემნას დაქორწინება ორბელის ქალზე, სულ სხვა ჭეშმარიტების მაუწყებლად წარმოგვიდგება. მართალია, უფლისწულისთვის მახის დაგება ძალაში რჩება, მაგრამ მახის დამკები ახლა ტახტის უსურპატორი ტირანი მეფის ტრაფარეტს აღარ ესადაგება. მისი მოქმედების მოტივი რომ სწორად ავხსნათ, მთელ რიგ გარემოებათა გათვალისწინება და აწონ-დაწონა დაგვჭირდება; მათ შორის, რა თქმა უნდა, განმსაზღვრელი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის მონაცემები.

1. მართალია, გიორგი III-მ თავს გვირგვინი არც თუ კანონიერად დაიდგა (სტ. ორბელიანის ვერსია), მაგრამ ცხადია, რომ მას არ მოუკვლევინებია თავისი ძმა დავითი. (ისტორიკოსი ვარდანიძის ამ ვარაუდს გამორიცხავს „ვეფხისტყაოსნის“ მატიანე).

2. დავითმა გიორგის აღსაზრდელად ჩააბარა მცირეწლოვანი დემნა უფლისწული (სტ. ორბელიანის ვერსიას ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ მატიანე). ჩანს, როგორც ფარსადანი ტარიელს, ისე გიორგი დემნას ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა: ასულის მეფური ღირსების მიუხედავად, ინდოეთში გამოკვეთილად არ დგას საკითხი მისი გამეფებისა. ასეთივე სიტუაციაა სავარაუდებელი საქართველოშიც გარკვეულ დრომდე.

3. ინდოეთში მეფესა და სამეფოდ გამზადებულ ჭაბუკ უფლისწულს შორის განხეთქილება გამოიწვია პოლიტიკური ქორწინების საკითხის წამოჭრამ და მისი განხორციელების ღონისძიებამ, რაც ბუნებრივ შედეგად მოაყვა მეფის მიერ მისი ასულისა და ჭაბუკი უფლისწულის სიყვარულის სრულ იგნორირებას. თუ მეფის ასეთი ქცევის მიზეზი ინდოეთში ბუნდოვნად გვესახება, საქართველოს სინამდვილეში იგი სრულიად ნათელია: მართლმადიდებლური ქრისტიანობის ძლევა მოსილუბის ჟამს საქართველოს მეფისთვის მიუღებელია ძმისწულის პრეტენზია მისი ასულის ქმრობაზე. (ცხადია, ამ ქორწინების შესაძლებლობას გამორიცხავს თამარიც).

4. ასე, რომ გიორგი III-ის მიერ გაურკვეველი საშუალებით დემნასთვის ორბელის ქალის შეერთვენიება იმდენად მისი ტახტიდან ჩამოშორების ბოროტი განზრახვით არ უნდა იყოს ნაკარნახევი, რამდენადაც მისი თამარი-საგან ჩამოშორების სურვილით; ყველაფრიდან ჩანს (და გიორგი მეფემ იცის ეს), რომ დემნა ნებით ცოლს არ შეირთავს, - რომელი მეფის ასულიც არ უნდა მოპკვარონ; ირკვევა, რომ მას არც ტახტზე ასვლა სურს უთამაროდ

(„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერმიხვდომისა წყენითა“; (22). ამიტომ აბამს მას მახეში თამარის მამა, და ცოლად რთავს მისივე გამზრდელი ივანე ორბელის ასულს; პეტონია, რომ ამით ხელ-ფეხს შეუკრავს.

5. მოუხვდავად იმ ფაქტისა, რომ გიორგი მეფის მიერ თამარიასა და დემნას სიყვარულზე თვალის ახელამ თამარის საშინელი შეძრწუნება და მრისხანება გამოიწვია, და ეს შეიტყო დემნამ (ასმათის მაცნეობა ცხადყოფს ამას), ირკვევა, რომ მას მაინც არ დაუკარგავს იმედი და თავდაუზოგავად უცდია მოეპოვებინა თამარის სიყვარული. ამისი უცილობელი საბუთი არის პოემის სიუჟეტის მეორე განსომილების ალეგორიულ პლანში, მაგრამ იგი ისე ოსტატურადაა განაწილებული საქართველოს სამივე პროექციაში (ინდოეთი, არაბეთი, მულღაზანზარი), რომ მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც წინარე ალეგორიათა მნიშვნელობა უკვე ამოცნობილია.

დაუკვირდეთ ინდოეთში ამბის მსველელობას: დავარის მიერ გაძევებულ ნესტანს მაშინვე დაედევნა ტარიელი, ე.ი. ალეგორიათა ლოგიკა გვეუბნება: თამარის მიერ შერისხული სიყვარულის „საძებრად“ გადასდო თავი დემნა ბაგრატიონმა, და ეს მოხდა მეფესთან შეჯახების შემდეგ, ე.ი. ამბოხების პროცესში.

დემნას საქართველოდან გადახვეწა, როგორც ენახეთ, არაბეთის პროექციაშია წარმოდგენილი უცხო მოემის ამბით. მაგრამ ვიდრე არაბეთის პროექციაში ჩართული ამ ეპიზოდით მეფის ხელიდან დემნას დასხდტომის ამბავს გვამცნობდეს რუსთველი, მანამდე მას მულღაზანზარის პროექციაში გამოატარებს. (არაბეთში გამოჩენისას ტარიელი ხომ ფრიდონის ნაჟუკარ შავ ცხენზე ზის).

როგორ გავივით ალეგორიულ პლანში ტარიელისა და ფრიდონის მიერ ნესტანის ძებნა (რაკი ეს საქართველოდან გადახვეწამდე ხდება), თუ არ დემნას ცდა, - თავისი სიყვარულის ძალითა და მეფური ძალმოსილების წყალობით თამარის მიერ შერისხული სიყვარულისკენ მიმავალი უჩინარი გზა მოეძებნა და დაებრუნებინა იგი. ამით ძებნა გვიდასტურებს, რომ მისი მიწიერი ვნებისა და მეფური ძალმოსილებისათვის მიუწევდომელი აღმოჩნდა თამარის სიყვარული. იგი სამყაროს იდუმალდებაში ჩაინთქა.

მულღაზანზარის პროექციაში ტარიელის ყოფნის ალეგორიული გააზრება საბოლოოდ გვისაბუთებს (და ეს ხომ აქამდეც ამოვიკითხეთ), რომ დემნამ გაისივრძეკანა უსიყვარულოდ ტახტის ფლობის პერსპექტივა და უარყო იგი. თორემ ფრიდონს - „ძალი შესწევს ქადილსა“ და ბიძაბიძაშვილების მორევნა არ უტირს, მით უმეტეს, ტარიელის დახმარებით, ე.ი. დემნას მეფური ძალმოსილება და აღზევებული გრძნობა ყოველისშემძლეა ამ დროს; იგი მხოლოდ თამარის წინაშეა თავმოდრეკილი.

ამრიგად, მულღაზანზარის პროექციაში განვრცობილია სულიერი გარდატეხის დიადი წამი; ეს ის წამია, როცა დემნა ბაგრატიონის პიროვნე-

ბაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ადამიანი და მეფე, და ბრძოლა იწყება მხოლოდ.

დათმო საბოლოოდ მეფური ძალმოსილება და უკვე შექცევადი ქცეული, - ამხედრდა „შავ ტიაჭზე“, რომელსაც უნდა წაეფარებოდა მეფობიდან, ყოველგვარი პირობითობიდან შორს, - დაუსაბამო საძვაროში, ადამიანური ტანჯვისა და სრულყოფის ეკლიან გზაზე.

ხელიდან დაუსხლტა იგი მისი მოთოკვის მოსურნე გიორგი მეფეს: „უცხო მოყმის“ გოლიათური გაბრძოლება დეშნა უფლისწულის უკანასკნელი გაუღებება საქართველოში. მის თვალთვან მომდინარე ცრემლი საქართველოსა და თამართან განშორების მდულარე ცრემლია.

ვფიქრობ, პროექციებში მოცემული ფაქტები ამოიწურა; ხოლო პროექციების გარეთ ახალი ჭეშმარიტება უნდა გვაუწყოს სამმა აღფვტორიამ, რომლებიც დეშნა ბაგრატიონის გრძნობას, ვონებას და მეფურ ძალმოსილებას განახახიერებენ:

რახან ეს სამი აღფვტორიული თვისება პროექციების მიღმა, ე.ი. საქართველოს გარეთ იწყებს შერწყმას, უთუოდ აქ სამშობლოდან გადახვეწილი და კატასტროფის შედეგად გახლენილი დეშნა ბაგრატიონის პიროვნების თანდათანობითი გამოღიანება უნდა ვიგულისხმოთ. აღფვტორიების ლოგიკა ასეთ სურათს გვიხატავს: პიროვნების აგონია, რომელიც საქართველოში დაიწყო, გრძელდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც; შმაგი გრძნობა უფუღება მის ყველა ფიქრსა და სურვილს. ამ შმაგი გრძნობით შეპყრობილი პიროვნება იმთავითვე ზურგს აქცევს გონიერებასაც, მეფურ ძალმოსილებასაც, განერიდება ადამიანებს; იგი გაჭრილია ველად და შთანთქმულია ბუნების წიადში, - ჯადოსნური შავი მერნის დტოლვას მინდობილი.

შავი მერანი - ადამიანის დაუერვებელ გრძნობათა ნავარდი უმიჯნო და უსამანო კოსმოურ სიერცეში. შავი მერანი - ადამიანის უხეხავს მიწიერ გრძნობათა სტიქიონთან შერთვის აღფვტორია.

ვონება ყოველ დონეს ხმარობს გრძნობასთან შესაკეშირებლად, რათა აღადგინოს პიროვნების დარღვეული წონასწორობა. მაგრამ გრძნობა იმდენად გაშმაგებული და გავეღურებულია, რომ ვონება ვერა და ვერ ახერხებს მის მოხელთებას; დიდხანს კვალში უღვას, მიხი მდევარია, მაგრამ ანახლად მასთან მიხვლას ვერ ბედავს და შეამავალს მიმართავს.

შუამავალი ახმათია. რას განახახიერებს იგი აღფვტორიულ პლანში? ერთბაშად ძნელია ამ კითხვაზე პასუხის ვაცემა.

ახლა, როდესაც ჩემს წარმოსახვაში მოელი ხსახვით გამოიკვეთა პოემის მორე განზომილების მრავალმდანიანი სტრუქტურა და ვიერკვა მისი მიზანდასახულობა, ე.ი. როდესაც დავინახე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გენი-აღური პოეტური უშთავონებით შექმნილი მხატვრული სამყაროს მიღმა არის ცოვი ვონების მიერ სერუპულიოსურად გათვლილი სისტემა სახეებისა, რომ-



ლებმაც თავისი უკუფენით თამარისა და დემნას სულიერი თუ ხორციელი ცხოვრების მოდელი უნდა გამოაქანდაკონ, - ახლა, როდესაც ჩემთვის ნათელი გახდა ყოველივე ეს, მკრეხელობად არ ჩავეთვლი საკუთარ თავს, თუ დაესვამ კითხვას: თავისი ცხოვრების რა ასპექტის გამოსავლენად დასჭირდა რუსთველს ესა თუ ის მეორე რიგის პერსონაჟი?

პოემის ალეგორიული პლანის სრული სახით წარმოდგენა შეუძლებელი ხდება მეორე რიგის პერსონაჟთა (ასმათის და ფატმანის) ალეგორიული გააზრების გარეშე; ეს კი ჩვენგან მოითხოვს, დაეუბრუნდეთ პოემის მხატვრულ კონტექსტს და აღვიდგინოთ ამ პერსონაჟთა ყველა მნიშვნელოვანი პიროვნული თვისება თუ გამოვლინება, რათა ცივი განსჯით ავწონ-დავწონოთ ისინი და დავადგინოთ მათი ძირითადი მახასიათებელი.

## ასმათი

ასმათის პიროვნება თუ თავგადასავალი მთლიანად ნესტან-დარეჯანს და ტარიელს უკავშირდება. იგი ჯერ ერთის მესაიდუმლეა, მერე, მეორის განუყრელი მხლებელი. ფანატიკურია მისი ერთგულება და გავტეხელია საიდუმლოს შენახვის მისეული სიმტკიცე. იგი ბრძენია და მთელი მისი სიბრძნე ნესტანის და ტარიელის სიყვარულის ირგვლივ ტრიალებს. ასმათს არა აქვს სათავესო ინტერესები; ამიტომ მის ალეგორიად წარმოსახვისას ამოსავად წერტილად უნდა მივიჩნიოთ მისი მიმართება ნესტანის და ტარიელის ალეგორიებთან. (ნესტანი - ალეგორია დემნასადმი თამარის სტიქიური სიყვარულისა; ტარიელი - ალეგორია თამარისადმი დემნას შმაგი სიყვარულისა).

ე.ი. ალეგორიულ პლანში ასმათი თავდაპირველად განასახიერებს თამარსა და დემნას შორის სტიქიური სიყვარულის იდუმალ მიმოქროლვას; ხოლო მას შემდეგ, რაც თამარმა გაიცნობიერა თავისი სიყვარულიც და დემნას სიშმაგეც და შეძრწუნებულმა განირიდა მისი მიწიერი ვნება, - ასმათი უკვე დემნას გულში ცოცხალ ტკივილად შემორჩენილ სიყვარულის ხსოვნას განასახიერებს, - ხსოვნას და გულის საიდუმლოს. (ტარიელს ხომ ინდოეთიდან გამოყოფილი ყველა ერთგული ყმა დაეხოცა და მხოლოდ ასმათი ვადარნა ცოცხალი, ე.ი. გადახვეწილი დემნა უფლისწულის გულში გაწყდა სამშობლოსთან ერთობის ყველა ძაფი, გარდა სიყვარულის ხსოვნისა).

ნიშანდობლივია: - როცა დემნას გონება (ავთანდილი) გრძნობასთან (ტარიელი) კავშირის დამყარებას ელტვის, სიყვარულის ხსოვნა (ასმათი) დგას მათ შორის და ეურჩება გონებას.

სიყვარულის ხსოვნა მხოლოდ მაშინ განეწყობა ნდობით გონებისადმი, როცა დარწმუნდება, რომ ისიც გამსჭვალულია სიყვარულით. არა ცივ გონებას, - გამჭრიახსა და მოხერხებულს, მოძალადეს და შემტევს, არამედ სიყვარულით გამსჭვალულ გონებას შეივრდომებს სიბრძნე სიყვარულისა.

შეივრდომებს და კისრულობს შუამავლობას. და იწყება ერთმანეთს მონატრე ბული გრძნობისა და გონების მტკივნეული დაახლოება.

დემნას პიროვნების გრძნობისმიერი, სტიქიური საწყისი (სიყვარულის შმაგი გრძნობა) იმდენად ძლიერია თავისი უმწეობის ვამსაც, რომ იოტო-სოდენადაც არ იცვლის ნირს. მას სიცოცხლის დათმობაც არ ეხანება, რადგან სჯერა, რომ სულთა საუფლოში კვლავ მოიხილავს თავის სიყვარულს და შეერწყმის მას.

გონება არ უპირისპირდება პიროვნების გრძნობისმიერ საწყისს, არ უარყოფს მის პრიმატს, პირიქით, სწორედ მის გადასარჩენად და მისი გაძლიერებისათვის იღვწის, — შთააგონებს, რომ ამ ქვეყნადვეა შესაძლებელი საწადელის მიღწევა, — დაკარგული სიყვარულის მიკვლევა და მასთან შერთვის ღვთაებრივი ექსტაზი.

და აი, საფუძველი ეყრება გრძნობისა და გონების პარმონიას; გრძნობა კვლავაც უფლებამოსილია (და სხვაგვარ სიცოცხლეს არც სცნობს იგი) ისევ იქროლოს შავი მერნით დაუსაბამო სივრცეებში და ისევ ღვაროს სისხლის ცრემლი თავის „გამოქებაულში“, — სიყვარულის ხსოვნას მინდობილმა. ხოლო გონება თავს იღებს, — ყოველგვარი ღონე იხმაროს, რათა გაიგოს, რა ბედი ეწია თამარის სიყვარულს.

ვფიქრობ, გრძნობისა და გონების ეს აღიანსი არის დასაწყისი იმ სასწაულისა, რომელსაც რუსთველად გარდასახვა ვუწოდეთ... რუსთველის გრძნობამ და გონებამ ერთმანეთს გაანდო „ვეფხისტყაოსნის“ ჩანაფიქრი. მაგრამ ამ ჩანაფიქრს ხორცშესხმა არ უწერია, თუ მისი გონება სარწმუნოდ არ დაადგენს და გრძნობასაც არ „შეაჯერებს“, რომ ის ღვთით მოვლენილი სიყვარული ისევ ცოცხალია თამარის გულში. თუ თამარის გულში სიყვარული ჩაქრა, მაშინ რამ მისცეს ძალა აღმაფრენის! თუ მისმა ღვთაებამ სურვი შეაქცია, რადამ შთააგონოს სიტყვები ლოცვის!

სწორედ ამ მიზნისკენ სწრაფვად, ამ ამბის შეტყობის დაუცხრომელ სურვილად წარმომიდგება აღევგორიულ პლანში „წახვლა ავთანდილისა ნესტან-დარეჯანის საძებრად“. და გონების ამ გზაზე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ფატმანი.

## შატმანი

იგი მეტად როული და მრავალნიშნა მხატვრული სახეა; სათავისო ინტერესებიც უხვად აქვს და არც სასხვისო ინტერესებითაა ღარიბი. ფატმანის აღევგორია ძირითადად უნდა დავედგენინოს იმ როლმა, რასაც იგი ასრულებს ავთანდილის მიერ ნესტანის ძებნაში. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ეს ძებნა სამშობლოდან გადახვეწილი დემნას მიერ საქართველოს ისტორიული სინამდვილის წიაღში ჩახედვის ცდაა, რათა შეიტყოს თამარის ცხოვრების ამბავი, და კერძოდ, მისი სიყვარულის გადარჩენის თუ გაქრობის ნიშანს მიაკვლიოს. ამიტომ ერთი რამ უდავოდ გვესახება: ფატმანი პოემის

მეორე განზომილებაში ცოდნის აღგვორიანა: მაგრამ ამისი აღიარება ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს. უნდა გავიგოთ, რა ცოდნა, ვისი ცოდნა იგულისხმება აქ. ახმათიც ცოდნას განასახიერებს, - იგი საკუთრივ დემნას ცოდნა, - მისი გრძნობისმიერი, სიყვარულისმიერი ცოდნა და ხსენება ფაქტური კი, რომელმაც სამშობლოდან გადახვეწილ დემნას გრძნობასთან ეხლანდელი საიდუმლო უნდა ამცნოს, საიდან მომდინარე ცოდნის წყარო უნდა იყოს?

იმალება კითხვა: - რატომ დასჭირდა რუსთველს ამ ცოდნის მფლობელად გაეხატა ფატმანი, მინცდამინც ასეთი ელასტიური ზნეობის ქალი ხომ შეიძლება, აუთანდილს ნესტანის აღვილსამყოფელი გავეო თუნდაც იმ ვაჭრებისაგან, რომლებსაც ის ბადრავად დაუღვა. ვაჭრებიც ბევრი ამბის მცნობელი ხალხია; ანდა გავეო რაიმე სხვა გზით. რაღა მინცდამინც ფატმანი?

აღვეორიული პლანის კომპონენტთა ძიება გვაძლევს ამ ჩაცეპული კითხვების დასმის უფლებას, რაც პოემის მხატვრული პლანის მიმართ გაუგონარი შერეხელობა და ამასთანავე, მტკნარი უაზრობა იქნებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ აღვეორიების არსის ვახსნა სხვაგვარად შეუძლებელია; ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, სხვა გზას ვერ ვხედავ.

მიმართოთ პოემის ძირითად (პირველ) განზომილებას, მაგრამ არა მხატვრული ანალიზის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ ცივი განსჯით ავწინდავწინოთ პოემის ერთ-ერთი ვმირი ქალის, ფატმანის პიროვნების ყველა მნიშვნელოვანი თვისება თუ გამოვლინება, რათა მოვიხელოთ აღვეორია, მისი მხატვრული ხატის საფარველში რომ იმალება.

ფატმანის ცოდნის სფერო

1. ფატმანმა არ იცის ის, რაც იცის ახმათმა. მას წარმოედგენაც არა აქვს ტარიელის არსებობაზე.

2. სამვეოროდ, ფატმანმა იცის ის, რაც ახმათმა არ იცის: ნესტანის ძნელებლობანი და ამჯამდ მისი ქაჯეთში ყოფნა.

3. იცის ნესტანის უსოში მწუხარება, მაგრამ არ იცის მწუხარების მიზეზი; ნესტანი მას არ უმხელს თავის საიდუმლოს.

4. იცის, რომ ნესტანი ჳირში შეუდრეკელია, ვასაჭირის ჳამს გონიერების მომხმობია და თავისი დუმილითაც სიბრძნის მეტყველი.

5. იცის, რომ ნესტანის მწვებრი სიღამაზე ყველას ატყვევებს, მაგრამ იგი ყველასაღმი ვულგრილია, - თავს არიდებს საქმრო უფლისწულებს. ფატმანი ვარაულობს, რომ იგი ვისიმე მიჯნურია.

ფატმანის ნაამბობში ცოცხლდება ნესტანი, რომელიც ცას მოწვევტილი ვარსკვლავითი მიმოიძვრის დედამიწაზე, მნახველთ განაცდევინებს თავისი შუქის სიღაღეს; ხან ვინ მიინდომებს მის ხელთ გდუბას და ხან ვინ. მაგრამ იგი, თავისი გაუმხელელი საიდუმლითი, „გონიერთა გონებით“ ჳირს

შეჭიდებული, მიჰყვება ბედისწერას ქაჯეთისკენ, თავისი სიწმინდის შეუვალობის რწმენით.

ფატმანის თვისებები და გამოვლინებები

1. ფატმანი მოეღწეა ფხიზელი მოთვალთვალეა, - მის ძაღვად იქცევა ოთხივე მხრითა აქვს ვარსახდველი.

2. ახსიათებს დიდი ცნობისმოყვარეობა და ინფორმაციის მოძიების ასევე დიდი უნარი.

3. ვაჭრიახი ვონების პატრონია; აქვს ქმედების დაუცხრომელი ენერგია და ცხოვრების პრაქტიკული ადლო.

4. შეფუ-დედოფლის ერთგულია, მათგან წყალობას ჩვეულო; ამით თავი მოსწონს და ცდილობს მათაც აამის (ეს განპირობებულია მისი სოციალური მდგომარეობით).

5. ბუნებით კეთილია და აქვს სამართლიანობის გრძობა; ზოგჯერ რისკზე წასვლაც შეუძლია, მაგრამ მისი რისკი მოზომილია, - თავის განწირვის ექსტაზამდე არ მიდის.

6. გულუხვი და უშურველია, - თავისი საუნჯის უძვირფასესი განძეული თუ სამკაული სხვის შესამოხად და სხვის საძღუნოდ არ ენანება. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი გულუხვობის დიაბაზონს არავითარი შეხების წერტილი არა აქვს „მივე ვლახაკთა საჭურჭლე“-ს ფილოსოფიასთან; იგი სულ სხვა თვისობრივი კატეგორიაა.

7. ფატმანს აქვს საკუთარი ღირსების გრძობა, და ამავე დროს, არ დაღატობს სხვისი ღირსების შეცნობის უნარი; სხვისი სიბრძნით, სიღამაზით, დიდებულებით გულწრფელად იხიბლება.

8. იგი შწავედ ვანიცდის - ზეით ხმელეთზე ჩამოსული მზის - ნესტანის ნება-სურვილზე ძლადატანებას, მაგრამ აშკარა გამოქიმაგებას ვერ ბედავს, რადგან იცის, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ვერ გუობენ მათი ნების ვარდამბელობას.

საერთოდ, ნესტანთან დამოკიდებულებაში ფატმანი ამჟღავნებს თავისი სულის უკეთილშობილეს და უსათნოეს თვისებებს; შეძრწუნებულია მისი ქაჯეთში ყოფნით და შხადაა, შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მის მძებნელ მოუქეს.

9. ფატმანმა იცის ავისა და კარგის ფასი, მაგრამ არსევანის შესაძლე-ბლობა შეზღუდული აქვს.

თუმცა ბევრი რამ მისი სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული, მაგრამ ბუნებითაც ფატმანი იმ ტიპის ქალი არ არის, ვინც დაკარგული მიჯნურის ერთგულებისთვის ზღვათა მეფის სძლობაზე უარს იტყვის და ბედის ანაბარა ვაუდვება ვზას ღამის ყიამეთში.

10. ფატმანის ინტიმურ გრძობათა სამყარო სიყვალბეზეა აგებული და ყოფითი კომპრომიზის თარგზეა მოჭრილი: ქმარი არ უყვარს, მაგრამ ვაჭარ-

თუხუცესის ცილობით თავს იწონებს და ვტყობა, რომ ხათუნობის პრივილეგიებსაც არასდროს არ შეუკლავა.

„მკლე და თვალად ნახი“ ქმრის პატრონმა „ამდღეური და ტანსაკუთარი“ საყვარელი ვაჩინა, მაგრამ მასთანაც არა აქვს არავითარი სულიერი ერთობა, რადგან ეს კაცი თავად სიყალბეა; მიუხედავად ამისა, ვერც მას მისაგდება მისი შურისძიების შიშით. ყოველივე ამას ფატმანი განიცდის, როგორც ყოფით დრამას და არა როგორც ტრაგედიას.

II. ფატმანი არ არის თვალთმაქცი და თავის მორალზე შეუფარავად ლაპარაკობს, - ყველაფერს თავის სახელს არქმევს.

ფატმანისთვის უცხო ხილია სიყვარულის ვოლუხეთური ცეცხლით ვანქშენდა, ან ქმრის დაჯალბის გამო მტანჯველი კომპარები (როგორც, ვთქვათ, მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი ე.წ. „სიყვარულის კლასიკური სამკუთხედის“ ქალებისათვის, რომელთა ტრაგიკულ ვანცდას იოტისოდუნდაც ვერ ახელებს ქმართა „უღირსობის“ შეგნება). ქრისტიანულმა კაცობრიობამ მართამ მაგდალინელსაც კი მიუტვეა შეცოდებანი იმ მღუღარე მონანიების გამო. ცხადია, რუსთველის თვალს არ ვამორჩებოდა მიწიერი სიყვარულის დუთაბრივი ნაპერწკალი ფატმანის ვნებაში, და ტაქტიც არ უღალატებდა მას, - თანავრძობით ვწვევებინა მისი კათარზისი. მაგრამ პოეტის მსუბუქი ირონიული დამოკიდებულება ფატმანის მორალისადმი, და თვით ფატმანის პედონისტური მრწამსი ვამორიცხავს მის პიროვნებაში პოტენციური „მიჯნურის“ არსებობას.

12. ფატმანს, ანათისავან ვანსხევეებით, საიდუმლოს შენახვა უჭირს.

13. ფატმანს კეთილის ბოროტზე ვამარჯვება ახარებს და თვითონაც მხადაა ვადიოს თავისი წველილი კეთილის ვასადლიერებლად.

ამრიგად, ფატმანი შეტად წინააღმდეგობრივი ცხოვრებისეული ტიპია. მისი ერთ მნიშვნელზე დაყვანა და მისთვის უაქვალაციოდ დადებითი ან უარყოფითი ვმირის იარღიის მიკერა ჩვენი წარმოსახვის სიღარიბე იქნებოდა.

ფატმანისა და ავთანდილის ურთიერთდამოკიდებულება

1. ავთანდილთან შეხვედრისას ფატმანმა არ იცის, ვინ არის იგი; ანუ, - ავთანდილი ის არ არის, ვინც ფატმანს ჰგონია.

2. ფატმანმა არ იცის ავთანდილის ვრძობის და მიზნის სიღიადე; მას არც ლოცვა ავთანდილისა მოუსმენია და არც მისი სიყვარულის სიმღერა; ამიტომ ფატმანს ჰგონია, რომ ხათუნის ვნებიანი აღტკინება საკმარისია ავთანდილის მოსახიბლავად.

3. ავთანდილს ცივი ვონება კარნახობს, რომ ეს „მეზავრთა მოყვარე“ დიაცი უმჯველად იქნება მცნობელი ნესტან-დარეჯანის ამბისა. ეს რწმენა ვანაპირობებს ავთანდილის კომპრომიზის ფატმანთან.

4. ფატმანთან „რიოზი“ ავთანდილისათვის, თანამედროვე ავიაციის ტერმინი რომ ვიხმაროთ, - მიწაზე იძულებითი დაშეებაა. რუსთველი პირდაპირ ვვადრავებს ფატმანის ხელში ჩავარდნილ ავთანდილს, ხოლო ფატ-

მანის სასიყვარულო იერიშს, როგორც ძალადობას, ისე გვიხატავს. ეს გეშ-  
მარიტად, გენიოსის ფუნჯის უხეში მონახმებით დახატული სურათია.  
ჩვეულებრივ მხატვარს ასეთი სცენა არადასაჯერებელი და ყაღპი გამოიყუ-  
დოდა. მაგრამ რუსთველმა მის ვმირს ისეთი მონოლითური ძალა მიანიჭა სიყ-  
ვარულისა და თავისი იდეალის ერთგულებისა, რომ ახლა აღვივლად შეუძლია  
დაგვაჯეროს მის ვნებათა სრულ შეუჯავლობაში, ისე რომ სკეპტიკურ  
ლიბელი კი არ მოგვევაროს, პირიქით, შეუძლზე სიმწრის იფელი მოგვაწმენდ-  
ინოს.

რუსთველი რომ შევარებული კაცის მიწიერ ვნებათა ფრივოლური გა-  
მოვლენებისადმი ფარისევდურ რეაქციონიზმს არ იჩენს, ეს კარგად ჩანს ტარი-  
ელის მავალითზე; ვისვან შეიძლება იყოს უფრო მოულოდნელი, ვიდრე  
ტარიელისაგან სიყვარულით დაბნეულისა და ერთი ვაიუშველებლის შემდეგ,  
გამოცდილი არშოყის რიხით რომ შედის თავის საწოლში, სადაც სამო-  
ჯნუროდ მოსული დიაცი ვკულება? მოულოდნელია, მაგრამ რახან ბუნებამ  
ინება შინაგანი ძრწოლისა და დაბნეულობის კამს, რუსთველმა არ დააბრკ-  
ოლა და გაუშვა.

მაშ, რა რჯის პოეტს ავთანდილს მოსწმინდოს ნამუსი და  
„თვალთმაქცურად“ აღერვეინოს ცრემლი? მოუტვევებული გულუბრყვილობა  
იმისი არა თუ შტკიცება, გაფიქრებაც კი, რომ რუსთველს ნდომოდეს ავთან-  
დილის „რომანი“ დაეხატოს და ამ დროს ის ეთქვას: „ყმა ნამუსსა ინახევდა,  
სიყვარულსა იფერება“-ო, ხოლო თვით ავთანდილისთვის ეთქვინებინოს:  
„ (იტყვის თუ:) მნახეთ მიჯნურნი, იგი, ვინ ვარდი ა ვისად; უმისოდ ნეხვთა  
ზედა ვზი ბულებული მსგავსად ყვავისად“-ო.

ამ დღა კარის მტვერევა, ანბათ აბსურდული თავგამოდება იქნებოდა,  
ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში დროდადრო თავს რომ არ იჩენდეს ტერ-  
დენცია ფატმანის „მგზნებარე განცდებით“ ავთანდილის დამუნათებისა და  
მისთვის მიჯნურის როლის დაძალებისა. ჩემი მიზნისთვის კი აუცილებელია  
ზუსტად გამოვავლინო ამ ორი პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულების ხასი-  
ათი, თორემ სხვაგვარად ვერ დავადგენ თუ რის ალფობრიად ჰყავს რუსთ-  
ველს ჩაფიქრებული ფატმანი.

5. აქ ძალაუვნებურად მოითხოვს აღნიშვნას ის ლიტერატურული  
ფაქტიც, რომ ავთანდილ-ფატმანის ეპიზოდი თავისი არსით ემთხვევა  
ოდისევსისა და კირკეს ეპიზოდს. ოდისევსივით მარადიული ტიპია მცოთური  
ქაღლიმურთი კირკე, - აააას კუნძულზე რომ ცხოვრობს და ტროას ომიდან  
დაბრუნებულ აქველებს თავისი ჯადოთი სამშობლოს ავიწეებს. თუ  
ოდისევსი კირკეს ჯადოს აქარწელებს პერმესის მიერ მიწიდან ამოთხრილი  
თეთრყვავილიანი მცენარის, - მოლის წყალობით, ავთანდილისათვის ფატ-  
მანის ჯადოს გამაქარწელებელი „მოლი“ თინათინის სიყვარულია. ისიც  
ფრიად საგულისხმო ფაქტია, - ითაკაში დასაბრუნებელი ვზა კირკემ რომ



მიასწავლა მისი ჯადოს უკუსქეველ ოდისევსს. ფატმანიც ხომ ახალიგორი როდეს ასრულებს ავთანდილის ოდისეაში.

ფატმანის უჩინარი მონების მოსახხამს „მოლი რამე“ რომ უწოლა რუსთველმა, იქნებ ამითაც მივგანიშნა მისი მოდელის კომპროტის მოდელითა ერთობა.

ლიტერატურის დიდ წრებრუნვაში, როვორც მათობა მიმოქცევაში, არის გარკვეული ორბიტები, და სამყაროს უსასრულო ნაირსახეობის საერთო მნიშვნელზე დაყვანისას, ალბათ ბევრი გენიოსი ერთმანეთს დაემთხვეოდა.. მაგრამ ამ აბსტრაქციის დაშვებისას მაშინვე განხდება კონკრეტული ჭეშმარიტება: გენიოსები კი არ ამსგავსებენ თავიანთ ნაწარმოებებს ერთიმეორეს, ეს, „ბედის მწერალი“ ამსგავსებს ერთმანეთს მათი გმირების ბედს და კარნახობს მათ მსგავსი მოდულების ხმარებას.

გენიოსები ამ ცვალებად სამყაროში ყველაზე მეტად იმით გვანან ერთიმეორეს, რომ თავისი თავის გარდა არავის გვანან. ისინი თავისი ეპოქის სულისკეთებას, გარემოს, ადამიანებს გამოხატავენ, და თუ ეს კომპლექსი რითიმე თანხვდება სხვა ეპოქისას, ეს უკვე კაცობრიობის მარადიული ცხრაკლიტულის საიდუმლოა, რომლის ვახსნა ყველა გენიოსს თავისი დროის ვახსნებით შეუძლია.

მართლაც, ფატმანი ნამდვილად რუსთველის გენიის პირმშოა, - გულანშაროდ წოდებულ ახალი სამყაროს სათვალთვალ პუნქტში არსებული გრძნეული ძაღვის მფლობელი ცოდნა და კომპრომისია, რომელსაც გუერდს ვერ აუღლის ბედისწერის ვაპო მსოფლიოს ვხუბზე მთარული ოდისევსი-ავთანდილი, თუ მას თავისი მიზნის მიღწევა უნდა.

დიდი მისიის აღსრულება თუ იკისრე, უნარიც უნდა შევწვედეს მსხვერპლის ვალებსა, თუნდაც იგი შენი გრძნობისათვის ამაზრზენი იყოს. ამ მსხვერპლის ვალებით აძლივდები და ძალა გეძლევა, რადგან კომპრომისი შენი საკუთარი სარგებლობისათვის კი არ ჩავიდენია, დიდი იდეის სამსახურისათვის ჩაიღინე. ასეთია ის პუმანისტური იდეალი, რომელიც ბეწვის ხიდით გადაივლის გულანშაროს მღვრიე ვნებათა მდინარეს.

გულანშაროს მღვრიე ვნებანი თვით ცხოვრების ჭრელი ხინამდვილეა, რომელშიც ვხას მიიკვლევს კეთილშობილი ზრახვება.. გულანშაროს, თავის მხრივ, აქვს პოტენცია შეუმტოს და შეეწიოს ამ ზრახვათა მიზანსწრაფვას, თუ ზრახვათა მატარებელს ვაპნია უნარი მიზნის მიხაღწევად მასთან კომპრომისისა, თუ არ ეშინია მღვრიე მდინარეში ფეხის დასეველების.. ასეთია ის დიალექტიკა, რომელსაც აღიარებს რუსთველი ამ რთული და საინტერესო ეპიზოდის ჩართვით „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ თავისთავად, ყველაფერი ეს, პოემის მხატვრული კონტექსტის ჭეშმარიტებებია, და მათზე ასე გამოწვლილვით მსჯელობა იმისთვის დამკირდა, რომ გამოცნობიერებინა არსი ფატმანობისა. ახლა, მის ძირითად თვი-

სობრობათა დადგენის შემდეგ, ისევ პოემის მეორე განზომილების ალღვორიულ პლანს და ჩვენს გაწყვეტილ მსჯელობას უნდა მოვუბრუნდეთ:

### რისი ალღვორიაა შატმანი?

ეროვნული  
ნიშნითაა

რა ცოდნის წყაროა, ასეთი მრავალმხრივი ბუნებით რომ ხასიათდება, და გრძნობის კომპრომისს რომ მოითხოვს იმისათვის, რათა გონებამ მიაკვლიოს თავის საქმეებს? დემნას გონება რა ცოდნას უნდა ეზიაროს ისეთს, რომ ირწმუნოს თამარის გულში სიყვარულის გადარჩენის ფაქტი? ცხადია, საქართველოში მომხდარი ამბავი უნდა გაიგოს; მაგრამ რა წყაროდან? იმ წყაროდან, რომელმაც თავისი ცნობისმოყვარეობის, გამჭირახობის და მოხერხებული სათვალთვალო პუნქტის წყალობით ყველაფრის ასაველ-დასავალი იცის და შეუდარებელია ინფორმაციის სიმდიდრით; რომელიც თამარს აღმერთებს, განადიდებს, ეთაყვანება; დემნას კი, - მიუხედავად მისი გარეგნული სილამაზით და ვაჟკაცური ღირსებებით მოხიბლულობისა, ფაქტიურად არ იცნობს.

რატომ არის, რომ მას, - „სინამდვილეში მომხდარი ამბის ცოდნას“ ასეთი კომპრომისული ზნეობა აქვს? რატომ ემუქრება ამ „ცოდნას“ მასთან ინტიმურად დაახლოებული „სიყვალბე“, - განანებო მაგ მოყმის სიყვარულს? რატომ არის აუცილებელი ამ „ცოდნის“ გადასარჩენად, რომ „დემნას გონებაში“ მოაშთოს ის „სიყვალბე“? საით მიყვებით ამ ალღვორიულ სახეებს?

და აი, უცკრად სიურპრისს ვეთაყვანობს ფატმან-ავთანდილის მხატვრული მოდელის რეტროსპექცია, - ბერძნულ სამყაროში რომ მიმოგვაველიბინებს თვალს: ხსოვნაში გაიფლავებს ქალღმერთი კლიო, ერთი იმ ცხრა ქალღმერთთაგანი, - პოეზიის, ხელოვნების და მეცნიერების მუხებად რომ მოქნევიათ ძველ ბერძნებს...

ჩვენს წინაშეა ისტორიის მუზა, - კლიოს ქართული სახესხვაობა-ფატმან-ხათუნის (ე.ი. ფატმან-ავთანდილის მხატვრული მოდელის ბერძნულთან მსგავსება იმისთვისაც გამოიყენა რუსთველმა, რომ მიენიშნებინა, - ალღვორია ბერძნული ტრადიციის მიხედვითაა გააზრებულიო. მაგრამ სიმართლესთან აღბათ უფრო ახლოს იქნება თუ ვიტყვით, რომ მხატვრულ მოდელს აქ წინ უსწრებდა ისტორიული ფაქტი, - დემნას მტერ-მოყვრული დამოკიდებულება მისი თანამედროვე ქართული ისტორიის მუხასთან, რომელთანაც მას მოუხდა გაცნობა. თუ გავითვალისწინებთ ამ ეპიზოდის დანიშნულებას პოემის მეორე განზომილების ალღვორიულ პლანში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტისთვის ამოსავალ წერტილად იქცა სწორედ ალღვორიის საფუძველი (კლიო), რომლის მხატვრულმა ხორცშესხმამ კირკეოდისევის მოდელი მოითხოვა).

ისტორიის მუზა, - ცოდნა საქართველოში მომხდარი ამბისა, - ქართული მატანე, რომელშიც თამარის ცხოვრების ამბავია მოთხრობილი, და რომელიც, ჩანს დემნა ბაგრატიონსაც იცნობს, მაგრამ ისევე ზერეულედ, გა-

რეწული ნიშნების მიხედვით, როგორც ფატმან-ხათუნი - ვაჭრის ვეზაში გადაცემულ არაბეთის სპასპეტს.

რახან მატიანის რუსთველური შეფასება ფატმანის თვისებათა ალფორულ გააზრებაში იკითხება, საჭიროა კონკრეტული ფაქტის შეფასება „ვოთარგმნოთ“ ეს ალფორია: - რუსთველის აზრით, მატიანე გამოირჩევა ინფორმაციის სიუხვით და გამკრიახობით. თამარის მიმართ იგი იჩენს გულითადად, სამართლიან დამოკიდებულებას, და თუმცა მისი სიყვარულის საიდუმლო არ იცის, მაგრამ სამაგიეროდ, მისი სიბრძნის, ღირსების, სიღამაზის, ზნეობის, დიდებულების გულწრფელი თაყვანისმცემელი და შთაფრთხილი მებოტბეა. თამართან დამოკიდებულებაში იგი არ ამჟღავნებს არაერთარ სიყალბეს.

ერწმუნდებით, რომ დეშნა ბაგრატიონს მის მიერ წაკითხულ მატიანეში თამარის ცხოვრების აღწერა სრულ ჭეშმარიტებად მოუნწევია, და რაც მთავარია, შიგ იხივ ამოუკეთხავს, რომ თამარის გულში მისადმი სიყვარული არ ჩამქრალა. მაგრამ იხივ ჩანს, რომ დეშნა ბაგრატიონს ვერ უპატიებია მემატინისათვის ის სიყალბე, რომელიც მას ნებსით თუ უნებლიეთ, პირადად მის მიმართ გამოუჩენია. ამიტომაც, ამ მატიანის მფარველ ისტორიის მუხას მის პოეტურ წარმოსახვაში კომპრომისული ზნეობის მქონე ხათუნის სახე მიუღია; და თვითონ უკომპრომისოსა და „მართალი სამართლისათვის“ თავგანწირულს, ამ სიყალბის კითხვისას ისეთივე ამაზრზენი გრძნობა დაუფლებია, როგორც ავთანდილს ფატმანის სარეცელში. (რუსთველი ამით გვეუბნება, რომ ზნესრული კაცისთვის სიმართლის გაყალბების მოწმედ ყოფნა ისევე შემზარავია, როგორც უსიყვარულოდ ვნებააშლილი დიაცის აღდრსი).

რაც შეეხება უშუალოდ მატიანის სიყალბისადმი დამოკიდებულებას, ამას თვალნათლივ გვიჩვენებს ავთანდილ-ჭაშნავირის დუელის ალფორიათა გაშიფრა: ავთანდილი (დეშნას გონება) უპირისპირდება ჭაშნავირს (ისტორიის მუხასთან ინტიმურად დაკავშირებულ სიყალბეს), რომელიც ფატმანს (ისტორიის მუხას) უკრძალავს „მაგა მოყმისა ყოლასა“, და ეშუქრება, რომ მისადმი კეთილგანწყობილებას არ აპატიებს. ავთანდილი მიპარეთ კლავს ჭაშნავირს და მკვლელობის ნიეთიერ საბუთად ფატმანთან მიაქვს მისი ბეჭდიანი თითი: „აა, თითი და ბეჭედი, და დანა მაქვს სისხლიანი.“ (1118).

ისტორიის მუხისადმი მირთმეული ისტორიული სიყალბის „ბეჭდიანი თითი“ და დეშნა ბაგრატიონის „სისხლიანი დანა“ - ორივე სახეზეა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მორე განზომილებაში: ეს მიპარეთ მკვლელობა ხომ შენიღბულად ნათქვამი სიმართლეა, ოფიციალური მატიანის სიყალბის გამაბათილებელი? ეს ის ახალი მატიანეა, რომელიც ძვეს „ვეფხისტყაოსანში“ და რომლის ავტორი თვითონ დეშნა ბაგრატიონია. აკი ფატმანი (ისტორიის მუხა) თვით ავთანდილის (დეშნას) პირით შეიტყობს მის ნამდვილ ვინაობას და თავგადასავალს.

## შენიშვნა - ჩანართი

თანამედროვე მეთხველისათვის იქნებ მოულოდნელი და ძნელად წარმოსადგენი იყოს ფაქტის გააზრება ისტორიის მუხად (და მით უმეტეს - მატიანედ), მაგრამ ვინც დანტეს შემოქმედებას იცნობს, მან უდრავდევნოს, რომ „ახალი ცხოვრების“ ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი, რომელიც მთელი თავისი ქალური მომხიბვლელობითა და სათნოებით წარმოდგება ჩვენს წინაშე ნაწარმოების მხატვრულ კონტექსტში, ავტორისავე განმარტებით, - ალევორიულად ფილოსოფიას განასახიერებს. (იხ. დანტეს ტრაქტატი „ნადიმი“);<sup>1</sup> და თვით ბეატრიჩე „ღვთაებრივი კომედიის“ ერთ-ერთ ნაწილში ღვთისმეტყველების ალევორიად გვევლინება.

ეს პარალელი თავისთავად გავიღო ორ გენიოს პოეტს შორის, თორემ ალევორია რომ ქვაკუთხედია მთელი ადრექრისტიანული (და არა მხოლოდ ქრისტიანული) მწერლობისა, ეს ფაქტი მტკიცებას არ საჭიროებს; ბიბლიური სიუჟეტების სრული გააზრება ხომ წარმოუდგენელია მათი ალევორიული აზრის წვდომის გარეშე.

ალევორია, უძველესი მითებიდან მოკიდებული, იყო ფორმა აზროვნებისა, სამყაროს შემეცნებისა და შემდგომ თანდათან იქცა იგი ლიტერატურულ ხერხად. ამდენად, მისი არსებობა რუსთველისა თუ დანტეს შემოქმედებაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. საკითხი ისე კი არ დგას, შესაძლებელია თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ალევორიულად რომელიმე აბსტრაქტულ, ან კონკრეტულ მოვლენას განასახიერებდნენ, არამედ საინტერესო ისაა, თუ რა მასშტაბი მიანიჭა რუსთველმა ამ ხერხს და რა ოსტატობით გამოიყენა იგი თავისი პოემის მეორე განზომილებაში.

და კიდევ უფრო საინტერესოა იმისათვის თვალის გადევნება, თუ ცხოვრების კონკრეტული ფაქტი (მატიანის წაკითხვა) როგორ იქცა გენიოსის წარმოსახვაში მერყევი ზნეობის მქონე ისტორიის მუხასთან ურთიერთობის ალევორიად, და რაც მთავარია, ამ ალევორიამ როგორ შეისხა ხორცი და როგორ ჩაიდგა სული, რომ ფაქტმან-ხაუნად მოგვევლენოდა. დიახ, მთავრი აქ ალევორიისათვის პოეტური ხორცშესხმის სასწაულია - ფანტაზიისა და ცხოვრების ცოდნის გენიალური სინთეზი, - თორემ სქემა ფაქტიდან ალევორიამდე ჩვეულებრივი სქემა იმდროინდელი აზროვნების კონტექსტში.

## ბაზრქმელება

რა თქმა უნდა, მწარე მათრახია მემატიანისათვის მისი ზნეობის შედარება ფაქტის ზნეობასთან, მაგრამ ამავე დროს, ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსთველი უდიდეს შეფასებას აძლევს ამ მემატიანის ღვაწლს. ვინაიდან ალევორიულ პლანში ნესტანის ქაჯეთიდან დახსნა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ფაქტადაა გააზრებული, ჩვენს წინაშე აშკარად იკვეთება პარალელი: - რო-

1 - Данте Алигьери, Пир, II, XII, 1-8.

გორც ნესტანის ქაჯეთიდან დახსნა ფატმანის დაუხმარებლად, ისევე შეგუბდებელი იყო „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა თამარის მატეანის წაკითხვის ვარკვეშ პოემის სამივე გმირი თავს რომ იხრის მადლობის ნიშნად ფატმანის წინაშე, ეს სამპიროვანი ერთარსების - დემნა ბაგრატიონის მადლობაა. **სტანდარტის მატეანის ავტორისადმი.**

ძნელი წარმოსადგენია უფრო პირუთენელი დამოკიდებულება მოვლენისადმი: შეგუბდოს ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და ყოველივეს ღირსებისამებრ მიაგო მისაგებელი; ერთსა და იმავე მოვლენაში შუქ - ჩრდილის არსებობამ არც შუქს დააკლოს ელვარება შენს თვალში და არც ჩრდილს შემატოს სინათლე.

და აი, დემნა ბაგრატიონი კითხულობს თამარის ცხოვრების მატეანეს. ისტორიის მუხის „უჩინარ მონას“ შმაგი მიჯნურის გულისა და გონებისათვის მოაქვს ამბავი, რომ თამარის სიყვარული უცვლელია, რომ იგი პატიმარივით არის გამოკეტილი მისივე ზნეობის საპყრობილეში, სადაც იტანჯება მარტობითა და მოლოდინით... ე.ი. პოეტის ფანტაზიამ, სურვილმა, რწმენამ, გულთამხილაობის უნარმა და მემატეანის დადარაჯებული თვალთ შუმჩნეულმა, მაგრამ მისთვის აუხსნელმა რომელიღაც გამოვლინებამ თამარის ცხოვრებისა, ამცნო შეყვარებულ გულს მტანჯველი სიხარული; მას თითქოს უხილავი დენით გადმოეცა თამარის ქალური ფიქრი და ოცნება. თამარის რწმენა, - იმკვეყნად, მზის მარადიულ ნათელში თავის სწორფერთან სამარადისო შერთვისა. (ჩანს, ამ აღმოჩენამ შთააგონა პოეტს ნესტანის გენიალური წერილი) და სამყაროში დამყარდა ორი შეყვარებული გულის თანხმეობა; სამყარო ისევე აივსო სიყვარულით...

ახლა საჭიროა ტიტანური ძაღისხმევა, რომ ეს სიყვარული იმკვეყნად სულთა შეერთებამდე სამარადისო მიწიერი სიცოცხლისთვის გარდასახოს ქართული სიტყვის გენიამ. აღდგა პიროვნება: - შენივთდა გრძნობა, გონება, მეფური ძაღმოსილება, მისი ხელმქმნელის და ხელთდამსხმელის სიყვარულით ფრთაშესხმულმა რუსთველმა დაიწყო თავის უკვდავი საგაღობლის აღმოსაქმა.

კვლავ გონების თვალწინ დაგვიდგება პოემის შესავალში გაცხადებული ის ორად-ორი ბიოგრაფიული ფაქტი: 1. რუსთველი თამარის მიჯნურია; 2. რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია.

ორივე ეს ჭეშმარიტება განსხეულებულია პოემის სიუჟეტის მეორე განზომილების აპოთეოზში: თამარის ზნეობის მიერ დასჯილი სიყვარულის გადარჩენა საამკვეყნო სიცოცხლისათვის, იმ უცილობელი ჭეშმარიტების მაუწყებელია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პოეტისთვის არის პოეზიის მარადიულ სამყაროში სანატრელ მიჯნურთან ერთობის სფერო.

ეს არის რწმენა ქართველი ხალხის უკვდავებისა და მის ხსონაში თავისი დიდი, დაუძლეველი სიყვარულის, - თამარის და საქართველოს სიყვარულის გაუკვდავების.

გრძნობა, გონება და მეფური ძაღმოსილება ქმნიან რუსთველის მიროვნებას. პირველობა გრძნობას ენიჭება. გადამწვევტია გონების როლი. მაგრამ მეფური ძაღმოსილებაც განუკრელია მათგან. ამ უკანასკნელი თავისობრიობის აუცილებელი თანხლება იმისი მაუწყებელია, ქართული უფლისწულმა მეფური ვალი „ვეფხისტყაოსნით“ მოიხადე ქართული უფლისწული წინაშე.

ჩამესმის ქაღილით ნათქვამი ტარიელის სიტყვები: „ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცე ჩემგან კიდე!“ და „ეთარგმნი“ ინდოეთს საქართველოდ. არც ერთი მეფეს არ გამართლება ქაღილი ისე, როგორც ვაჟ მართლდა საქართველოს აზრთა მპყრობელ პოეტთა მეფეს:

**„საქართველო ჩემი არის, არვის მივსცე ჩემგან კიდე!“**

დემნა ბაგრატიონს ვერ წარმოედგინა უთამარო საქართველოში მეფობა. ახლა ის თამართან ერთად იმეფებს საქართველოს პოეზიის ტახტზე.

მეფობა მას ესმის, როგორც ერის მსახურება; და ერს სჭირდება ხატი თავისი ეროვნული მშვენიერების, სჭირდება რწმენა საკუთარი ხელის სიმადლის და ხერხემლის გაუტეხლობის; ერს პაერიოთ სჭირდება რწმენა სიტყვისა და საქმის ერთობის; ერს სჭირდება თავისი ცეცხლი კაცობრიული სიყვარულის საკურთხეველზე; და ერს სჭირდება თავისი ენის სტიქიონში იღუმადლი ზარების რეკვა საუკუნეიდან საუკუნემდე.

#### ჩანართი

##### (ისევ ინდოეთის გამოძახილი)

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილების არსებობის ვარაუდი ჩამინერგა პოემის სათაურის ინდურ კონტექსტში გააზრებამ. ახლა კი, როცა ამ ვარაუდმა ასეთი საინტერესო შედეგი წარმოაჩინა, თავს უფლებას მივცემ დაეძინო შემდეგი: შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, თავისი იპოსტასი ტარიელი ინდოელად რომ დასახა რუსთველმა და ვეფხისტყავემოსილობის ინდური გააზრება რომ აქცია თავისი ბედის სინთონიად და პოემის სიუჟეტის მეორე განზომილების გასადებად. ჩემი ღრმა რწმენით, ინდოეთი დიდ როლს თამაშობს რუსთველის პირად ცხოვრებაში. ის ფაქტი, რომ პროექციების მიღმა გასული დემნა - ტარიელი (ე.ი. საქართველოდან გადახვეწილი დემნა უფლისწული) ისეთ ქვეყანაში იმყოფება, სადაც ვეფხი და ღომი გვერდივერდ ცხოვრობს, იმისი მაუწყებელი უნდა იყოს, რომ მან საქართველოდან ინდოეთს მიაშურა, რადგან დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს ორი ცხოველი ერთად გვხვდება, - ინდოეთია.

მაგრამ ალბათ ჯობდა დამეწყო იმ პირველი ძლიერი იმპულსით, რომელიც პოემიდან გადმომეცა სიუჟეტის მეორე განზომილების ძიებისას: ის-ის იყო გამოვლინდა რუსთველის იგეგობა დემნა უფლისწულთან, და ამ დაუჯერებელი ამბით შემცბარმა ეჭვით შევხედე მათ შუამავლად მიჩნეულ ვეფხისტყავემოსილ ინდოელს, - რომ ჩემს თვალთა წინაშე გაიელვა შვი და



თეთრი ცხენის ორმა მხედარმა,<sup>1</sup> როგორც პოემის წიაღიდან ამოსხლეტრულმა იდუმალმა სინათლემ და ისევ ინდოეთისკენ მიმახედა: „პაპაგაუდ გიტას“<sup>2</sup> მიღწეული ამოტივტივდა ჩემს ცნობიერებაში: – პოემის მთავარი პერსონაჟები – ნახევარღმერთი კრიშნა და უფლისწული არჯუნა, გარდა იმისა, რამდენადაც ღვთაების (ვიშნუს) ორ ავატარად<sup>3</sup> გვევლინებიან, იმავე დროს ზრმე კრანტი ადამიანის ორ განსხვავებულ „მე“-დ არიან გააზრებული: კრიშნა ნიშნავს „შავს“ და განასახიერებს პიროვნების შავ, კოსმიურ „მე“-ს, ხოლო არჯუნა ნიშნავს „განთიადს“, „თეთრს“, „ნათელს“ და წარმოდგენილია, როგორც „ჯივა“, ანუ პიროვნების თეთრი, გამოვლენილი „მე“. კრიშნა და არჯუნა პოემის პირველ პლანში ორი განსხვავებული პერსონაჟია, ხოლო მეორე პლანის გააზრებით, დაძაბულ სიტუაციაში, აღიქმებიან ადამიანის ორი განსხვავებული საწყისის ურთიერთკამათად და რელიგიურ-ფილოსოფიურ ექსტაზად.<sup>4</sup>

შავი და თეთრი ცხენის მხედარად როგორ შეესატყვისება „ვეუხისტყაოსნის“ ამ ორი პერსონაჟის თვისობრიობა ერთი პიროვნების შავ და თეთრ „მე“-დ გააზრების მოდელს!

მოდელი, რომელსაც „ვეუხისტყაოსანში“ თეთრი „მე“-სა და მეფური „მე“-ს თანხლებით ახორციელებს პიროვნების შავი „მე“, აგრეთვე, ცნობილი ინდური ეპოსის „რამაიანას“ მოდელს თანხვდება.<sup>4</sup> ამ გააზრებით, ნესტანის დახსნა ქაჯეთიდან უკვე აღარ ნიშნავს კონკრეტულად თამარის მორალის მიერ დასჯილი სიყვარულის გადარჩენას, (რა მნიშვნელობაც მასა აქვს მატიანეში), ეს არის სიყვარულის მარადიულ არსში წვდომა, ეს უკვე ხელთდასმული ადამიანის ამადლებაა სიყვარულის გზით მის კოსმიურ, ღვთაებრივ არსამდე.

ასე რომ, „ვეუხისტყაოსნის“ მეორე განზომილებას აქვს კიდევ ერთი, კოსმიური პლანი (თუ შეიძლება ასე ეწოდოს), რომელიც ზემოდან შარავანდედით ველება მატიანე „ვეუხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრებას, პოემა „ვეუხისტყაოსნის“ შემოქმედის სულს და მის ამადლებას გვაუწყებს.

1 - ტარიელი ხომ განუყრელია თავის შავ ცხენთან; ავთანდილი კი თეთრი ცხენის მხედრად შთაგუებულობდა მას უკმდეგ, რაც პირველად გამოჩნდება ამხედრებული: „ფილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი... მუჟესა გასლუად აწვევდა, მოდგა თურ-ტაიკოსანი.“ (72).

2 - ავატარა - ინდუიზმის რელიგიაში ღვთაების (უმეტესწილად ვიშნუს) ჩამოსვლა მიწაზე რომელიმე არსების სახით, მათ შორის ადამიანადაც.

3 - „პაპაგაუდ გიტას“ შესახებ ჩემი მსჯელობა ემყარება სახსკრიტოლოგი ბ. ლ. სმირნოვის მიერ პოემის მოდელის ინტერპრეტაციას. იხ. Бхагavadгита, Ашхабад, 1977, Б. Л. Смирнов. Введение, стр. 31, 43, 46.

4 - ქაჯეთის ციხიდან ნესტანის დახსნის მოდელის მსგავსება „რამაიანას“ მოდელთან დიდი ხანია, რაც აღინიშნა რუსთველოლოგთა მიერ.

და ეს კოსმოური პლანი ძველ-ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოდელების სტრუქტურას და შინაარსს იმეორებს.

როდესაც ძველ-ინდური (V საუკ. წევნს ვრამდე) ფილოსოფიურ-რელიგიური ლიტერატურის პოეტური ძეგლი „პაგავად ვიტა“ („ღვთაებრივი გალობა“) პირველად ითარგმნა ევროპულ ენებზე (XVIII საუკ.), გოუბუ ატტა-ცებით შეხვდა მის გამოჩენას და ეს ფაქტი მიიჩნია მსოფლიო ლიტერატურული პროცესის დასაწყისად, - დასავლეთისა და აღმოსავლეთის აზროვნებათა სინთეზის საწინდრად. (თურმე ეს სინთეზი რუსთველის შემოქმედებაში უკვე რეალურ ლიტერატურულ ფაქტად ქცეულა).

ინდურ ლიტერატურასა, რელიგიასა და ფილოსოფიაში საფუძვლიანად განსწავლული, სანსკრიტის სრულყოფილად მცოდნე ქართველი მკვლევარი ალბათ დაადგენს მომავალში, თუ რამდენად რეალური შეიძლება იყოს რუსთველის მიერ პოემის სიუჟეტის მეორე განზომილებაში რეალიზებული ინდური მოდელების უშუალოდ ინდური სამყაროდან აღება; ჩემდათავად კი, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რუსთველი თავისი პოემის ორივე განზომილებაში ისე ბუნებრივად მოიმარჯვეს სხვადასხვა ლიტერატურულ მოდელს თუ სიმბოლოს (რომელი სამყაროდანაც არ უნდა აქონდეს იგი აღებული), როგორც წერა-კითხვის მცოდნე კაცი მოიმარჯვეს ანბანს წერის დროს. იგი კი არ ემორჩილება ამ მოდელებსა და სიმბოლოებს, არამედ იმორჩილებს მათ და თავისი მრავალწახნაგოვანი მიზნის სამსახურში აყენებს; ისინიც თვინიერად დააკვებიან გენიოსის ნებას, რათა საბოლოოდ „ვეფხისტყაოსნის“ თვითყოფადი და რთული მოდელის შემადგენელ ნაწილად იქცნენ, ახალი ფუნქცია და გააზრება მოიპოვონ.

პროფესიულ საკითხებში რუსთველის გათვითცნობიერებულობა ალბათ არავის გაუკვირდება. აქ მთავარია, მოვინიშნოთ რუსთველის დგომის წერტილი მსოფლიო ლიტერატურის იმ გარსახედველზე, საიდანაც ადამიანის ყველა განზომილება მოჩანს: ადამიანი, როგორც დროის (ეპოქის) სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით განპირობებული მიწიერი არსება და ადამიანი, როგორც კოსმოსური მოვლენა, სამყაროს ნაწილი, ანუ ადამიანი, როგორც სხვადასხვა საწყისთა წინააღმდეგობრივი ერთობლიობა.

ამჟამად მსოფლიო ლიტერატურის შემსწავლელ ცენტრებში ფართოდ და დახურვით დიდ მწერალთა შემოქმედების შესწავლის შედარებითი მეთოდი, რაც შესაძლებლობას იძლევა ესა თუ ის ეპოქალური ნაწარმოები დავინახოთ მსოფლიო ლიტერატურის ვრცელ პანორამაში, როგორც ცალკეული მწერლის შემოქმედებითი გენიის უნიკალური განსხვავება იმ მარადიულ მოდელებში, რომლებსაც ადამიანად ყოფნის საზღვრები აწესებს. „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ კიდევ მოელის ასეთ შესწავლას.

## პირველი მინაწერი

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე განზომილების ალგორითული კლასი გვარწმუნებს, რომ პოემის ავტორი დიდად არის დაეღებული თამარის შემადგინებელი. მაგრამ რომელია ეს შემადგინებელი, რომელთანაც „ვეფხისტყაოსნი“ მოყვრულმა დამოკიდებულებამ ბევრი რამ განაპირობა პოემის სტრუქტურა და პოეტის ხელოვნება?

ჩვენამდე მოღწეული ორი ისტორიული თხზულებიდან, რომლებშიც ქართველ შემადგინებელს მიერ თამარის ცხოვრების ვრცელი სურათია დახატული, დემნა (დემეტრე) უფლისწული მხოლოდ პირველში იხსენიება. სარწმუნოდ რომ ვიცოდეთ, - ამ ორი მატეანის გარდა სხვა არ არსებულა, მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ წყაროდ, ყოველგვარი დაუკვირების გარეშე მივიჩნევდით თამარის „პირველი“ ისტორიკოსის თხზულებას, რომელსაც ეწოდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ე.ი. „ისტორია და ქება გვირგვინოსანთა“, - იუგლისხმება ვიორგი III და თამარი). ეს მატეანე ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღიარებულია თამარის ცხოვრების პირადად აღწერად. მასში, გარდა თამარის სამეფო მოღვაწეობისა, მისი პიროვნული მომხიბველლობაც დიდი შთაბრძნობითაა დახატული.

ხოლო, რაც შეეხება დემნა (დემეტრე) უფლისწულს, მისი პიროვნების დაქინებულად წარმონეხასთან ერთად (მამამისის - დავით V-ის მეფობის ფაქტის მიჩქმდელებას რომ ერთვის), შემადგინებელი თითქოს სიმპათიასაც ამჟღავნებს მის მიმართ („სახე-კეთილი, ყოვლითა ხელითა მარჯუენ... და ა. შ.); ახლა როცა დემნა უფლისწულის პიროვნება მთელი სიდიდით წარმოდგა ჩვენს წინაშე, იმისი თქმის უფლებაც გვაქვს, რომ ეს შემადგინებელი, მართლაც, ისე ზურაველად იცნობს მას, როგორც ფატმან-ხათუნი - ვაჭრად გადაცემულ ავთანდილს.

ამრიგად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს მოდელი თანხვედება ისტორიის მუხის იმ გაორებულ ალგორითულ მოდელს, რაც რუსთველმა ერთის მხრით ფატმან-ნესტანის, და მეორეს მხრით, ფატმან-ჭაშნაგირის ურთიერთობის სურათით წარმოგვიდგინა.

მაგრამ ისტორიკოს კონსტანტინე გრიგოლიას აქვს საფუძვლიანი ვარაუდი „თამარის კიდევ ერთი შემადგინების“ არსებობის შესახებ.

საქმე ის არის, რომ მატეანეთა ხელნაწერების თავანბოლონაკლებობის და ზოგიერთი მათგანის ჩვენამდე მოღწეულობის გამო, ჯერ კიდევ ვერ დადგინდა, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ VI - ისეულ რედაქციაში რამდენი მატეანის გაერთიანებითაა შედგენილი თამარის ცხოვრების აღწერა. კ. გრიგოლიას აზრით, ამ წიგნში მოთავსებული თამარის ისტორიის „ბოლო ნაკვეთი“, რომელიც ი. ჯავახიშვილმა თამარის „მეორე“ ისტორიკოსის შემოქმედებად მიიჩნია, ხოლო ი. დოლაშვილმა სტილისტური ანალიზის საფუძველზე „პირველ“ ისტორიკოსს მიაკუთვნა, - არც ერთს ეკუთვნის და არც მეორეს. იგი წერს: „საქმე ის არის, რომ ბოლო ნაკვეთი ვერსად, ვერცერთ

შემთხვევაში ვერ იძლევა თამარის დღემდე მოღწეული ისტორიის რამდენიმე ალურ გაგრძელებას. პირიქით, ის იწყება ისეთი წინადადებად: „დღემდე, რომელიც ამგვარი გაგრძელების შესაძლებლობას კატეგორიულად გამოირიცხავს“.<sup>1</sup>

სხენებული საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა იმ გარემოებით, რომ ვახტანგისეული რედაქციით წარმოდგენილ თამარის ცხოვრების „ბოლო სიტყვაში“ ანუ „ბოლო ნაკვეთში“ აღმოჩნდა აბზაცი, რომელიც ანტონ კათალიკოსს ციტატად აქვს მოტანილი თავის „ღრამატიკაში“ და მიუთითებს, რომ იგი ამოღებულია „წერილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრებაი მეფის თამარისა“. იმავე წიგნში, მეცნიერი კათალიკოსი ციტირებულ 12 ავტორს შორის იხსენიებს „შოთა რუსთაველსა - გამოშქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისასა“.<sup>2</sup>

ე.ი. აქ საქმე ეხება იმ საკითხის დადგენას, თუ რომელი საისტორიო თხზულების ავტორია „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი, - ჩვენამდე ხელნაწერების სახით მოღწეული ორი მატნიანიდან ერთ-ერთისა, თუ იმ (კ. გრიგოლიას ვარაუდით) მოუღწეველი მატნიანისა, რომლის მხოლოდ ბოლო ნაკვეთი შესულია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში.

ჩემს წინაშე კი, - რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ნამდვილი სახელი და გვარია დემნა (დემეტრე) ბაგრატიონი, - დგება საკითხი: რა დამოკიდებულებაა ერთმანეთთან პოეტი დემნა ბაგრატიონი და ისტორიკოსი შოთა რუსთაველი, რომლის სახელითაც ტრადიციულად იხსენიება „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი?

იმ საკითხის საბოლოოდ დადგენა, თუ თამარის რომელი მატნიანი ავტორია ისტორიკოსი შოთა რუსთაველი, ალბათ მომავლის საქმეა და ცალკე მსჯელობისა და კვლევის საგანს შეადგენს. ჩემთვის კი ამჯერად, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა თვით ფაქტი ისტორიკოსი შოთა რუსთაველის არსებობისა.

ი. ლოლაშვილიმა მეცნიერული საბუთიანობით დაგვარწმუნა, რომ ანტონ კათალიკოსის მიერ თავის „ღრამატიკაში“ გამოყენებული ყველა სხვა ციტატის წყარო და ავტორი სერუპულოზური სისუსტითაა მითითებული.<sup>3</sup> „ეს გარემოებანი გვიკარნახებენ, - ასკენის მკვლევარი, - რომ ანტონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ და ამ თხზულებიდან დამოწმებული ციტატა მივინიშნოთ სანდო დოკუმენტად“.<sup>4</sup>

1 - კ. გრიგოლია, თამარის კიდევ ერთი მემატნიან-ისტორიკოსი, (თბ., 1977), გვ. 20.

2 - იხ. ივანე ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა უნაობის პრობლემა, (თბ., 1961), გვ. 10.

3 - ი. ლოლაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 13-16.

4 - იქვე, გვ. 17.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ დემნა ბაგრატიონს სწორედ შოთა რუსთაველის მატთანე წაუკითხავს, მისადმი უდიდესი მადლიერების გრძობითი ავსებულა თამარის ცხოვრების პირუთვნელი აღწერის გამო; პირადად წყნაროსტატურად შეუნიღბავს პოემის წერისას, და რადგან გასაგებ მიზეზთა გამო თავისი სახელის გამჟღავნება არ უნდოდა, - სწორედ მის სახელს ამოფარებია.. მაგრამ ფხვედო-სახელის დარქმევაც იმ წესით განუხორციელებია, რომელსაც სხვა შემთხვევაში მიმართავს (როცა განგებ ქმნის ორაზროვნებას, ანდა კონტექსტში დებს მისი სხვაგვარადაც ვაგების შესაძლებლობას); მან შოთა რუსთაველი კი არ დაირქვა, არამედ რუსთველი; რა თქმა უნდა, არ გაუკირდებოდა ღვექის სტრიქონში სახელიც (შოთა) ჩაეტია, მაგრამ ასე არ მოიქცა, რადგან სრული იდენტურობის შექმნა არ სურდა.

მაგრამ მიუხედავად რუსთველის და არა შოთა რუსთველის დარქმევისა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა ეტყობა, ისიც განტყვერტა, რომ მას სწორედ შოთა რუსთველად მიიჩნევედა შთამომავლობა, რადგან ამ უკანასკნელის მიერ დაწერილ მატთანეში, როგორც ჩანს, თამარის ქება ისეთი შთაგონებით არის ნათქვამი (უთუოდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს მსგავსად), რომ ქართველ მკითხველს არ გაუკვირდებოდა, თუ ვაიგებდა, - მემატთანე თამარის მიჯნური ყოფილაო, და იმასაც თავისთავად იგულისხმებდა, - ამ მატთანის დამწერი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ერთი და იგივე პირიუნებააო.

ვფიქრობ, სწორედ ამ მისტიფიკაციას ისახავს მიზნად პოემის შესავალში ნათქვამი: „ქემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ (19), და აგრეთვე, ორგვარი გააზრების შემცველი ფრაზა:

„ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული“ (4).

აზრთა მთელი სხვადასხვაობა, რაც ამ საკითხის ირგვლივაა რუსთველოლოგიურ დიტერატურაში, წინასწარ განტყვერტილი და გამიზნული ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ („საქმე ვქმენ სატოტმანები“). ხოლო ის საგანგებოდ შექმნილი წინაღმდეგობა, რაც პოემის შესავლის („დასაწყისი“-ს) რუსთველსა და ბოლოსიტყვის („დასასრული“-ს) რუსთველს შორის არსებობს, და მკითხველის დაეჭვებას იწვევს, - მოურიგებელ შეუსაბამობად ჩანს მხოლოდ მანამდე, ვიდრე პოემის მთელი სტრუქტურა არ გაიხსნება. (ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ქვემოთ).

დასკვნა - ჩანართი

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ჩვენს წინაშე წარმოდება, როგორც რთული, ორგანზომილებიანი მოდელი.

პირველი განზომილებაა პოემის სიუჟეტის მხატვრული განუწინილობა, რომელიც მთლიანად პოეზიის სფეროს განეკუთვნება. ნაწარმოების ეს ძირითადი ასპექტი ამჯერად არ ყოფილა ჩვენი კვლევის სა-

განი. მას მივმართავდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი იყო განზომილებათა შინაარსის ერთმანეთისაგან გამოყვანა.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე განზომილება წარმოგვიდგება როგორც ისტორიული ნაწარმოები (რუსთველის ცხოვრების მატინე), რომელიც პროეცირებულია პოემის მხატვრულ განზომილებაში დასაწყისიდან ვიდრე ქაჯეთის ციხის აღებაამდე. შემდგომი მოვლენები მთლიანად მხატვრულ ნაწარმოებს განეკუთვნება. ისინი ლოგიკურად ასრულებენ პოეტის მიერ შეთხზული „სპარსული ამბის“ მდინარებას.

ისტორიული განზომილება მხატვრული განზომილების ავტონომიას არ არღვევს, მაგრამ მის მასალას იყენებს, რათა იგი სულ სხვა ასპექტით წარმოაჩინოს მხატვრულისაგან განსხვავებული (ფაქტობრივი, პირობით-ისტორიული, ალეგორიული) კონტექსტების მეშვეობით... რა თქმა უნდა, პოემის წერის პროცესი შებრუნებული თანმიმდევრობით წარიმართებოდა: - ამოსავალი წერტილი იყო ისტორიული ამბავი და პოეტის ამოცანას შეადგენდა მისგან ზოგადსაკაცობრიო ლიტერატურული მოდელის შექმნა. ეს ლიტერატურული მოდელი, რომელიც ღუთაებრივი პოეზიის ყალიბში ჩამოასხა გენიალურმა პოეტმა და პოემა „ვეფხისტყაოსნის“ სახელით თავის მშობელ ხალხს გადმოაბარა, დღესაც დგას საქართველოს საძირკველზე, როგორც ყველაზე მაღალეკუმბათიანი ტაძარი. იგი მსოფლიოს დიდ ლიტერატორთა აღიარებით, თავის მთლიანობაში არცერთ სხვა მოდელს არა ჰგავს.

ახლა აღმოჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსნად“ წოდებულ ტაძარს ერთ-ერთ კედელში დატანებული აქვს ფარული კარი, რომელიც ტაძრის გუმბათქვეშა სივრცეს მის შენიღბულ არქიტექტურულ ჩონჩხთან აკავშირებს. კართან თვითონ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი დგას; გვამცნობს თავის ნამდვილ ვინაობას და ამით გვაუწყებს, რომ რასაც შემდგომ შევიტყობთ, ყველაფერი მის პირად ბუდსა და თავდაღასავალს შეეხება; ე.ი. ფარული კარის მიღმა ჩვენი თვალთ ვნახავთ, - როგორ განაღობა დიდი ხუროთმოძღვრის ოსტატობით და როგორ შენიღბა მან თავისი საკუთარი ავბედობანი თუ აღმაფრენანი, რათა გუმბათქვეშა სივრცეში ისეთი პარმონია და რეზონანსი შეექმნა, რომ ტაძარში შესულ ქართველ კაცს საუკუნეიდან საუკუნეში კქონოდა შვერძნება სიყვარულისა და სიბრძნის ღუთაებასთან პირისპირ ყოფნისა. (მე პირადად, ასე წარმომიდგება პოემის სიუჟეტის მეორე განზომილების დამოკიდებულება პირველთან).

### მეორე მინაწერი

დგუნა ბაგრატიონს არ სურდა იოლიად გახსნილიყო „ვეფხისტყაოსანში“ დამარხული მისი ბუდის საიდუმლო; ამიტომ მან შეფარვის რამდენიმე ხერხი იხმარა:

1. შესავალშივე რომ განაცხადა, - „ვეფხისტყაოსანი“ ჩემს მიერ ნაპოვნი და გაღეჟილი, ქართულად ნათარგმნი სპარსული ამბავიაო, პოეტმა საგანგებოდ კვალი აურიო მკითხველს, არა მარტო იმით, რომ მსგავსო



ფაბულა სპარსულ ლიტერატურაში აქებინა, არამედ უმეტესწილად იმით, რომ სპარსეთის კონტექსტში არაბეთი და ინდოეთი თავიდან ბოლომდე პირობით ქვეყნებად აღაქმევინა და ამრიგად, ყურადღება ჩამოაშორა პოემის მეორე განზომილების გასაღებს, - ვეფხის ტყაის ინდურ სიმბოლოებად და მწვენი და თეთრი „მე“-ს მოდელს.

2. მან ისეთნაირად გააფორმა პოემის შესავალი და ბოლოსიტყვა, თითქოს კარის პოეტი ყოფილიყოს, რომელსაც უბრძანეს თამარის ქება, (დავითის ქებაც არ დაივიწყა). მაგრამ, როგორც ვნახეთ, სტროფის შინაარსი, რომელიც ბრძანებით პოემის დაწერას გვამცნობს („მიბრძანეს მათად საქებრად...“) არ შეესაბამება მის ფორმალურ სტრუქტურას და ფაქტობრივად, სულ სხვა ტექსტების შემცველია, ისევე, როგორც სხვა ტექსტებსას ფარავს შემოთნახსენები შესავლის სტროფი („ესე ამბავი სპარსული...“) მასში ნახმარი სიტყვების პოლისემიურობის გამო.

3. ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მფლობელის შვილად ტარიელის გამოყვანაც კვალის ასარევიდაა გამიზნული. პოეტმა, ცხადია, იცოდა, რომ ქართული მკითხველი, გარდა განზოგადოებული ისტორიზმისა, იგრძნობდა ისტორიულ-ფაქტობრივი სიმართლის ანარეკლს „ვეფხისტყაოსანში“ და მისი ბედის იდუმალებით დაინტერესებული, ტარიელთან მისი ერთობის ვარაუდით, მას საქართველოს ისტორიაში დაუწყებდა ძებნას. ამიტომ მან მოჩვენებითი ორიენტირები დადგა (როგორც ვნახეთ, პოემაში გამოყენებული შეფარვის ხერხი გამოირიცხავს ისტორიულ მოვლენათა ასლობრივ გადმოღებას; ამდენად, მეშვიდე სამეფოს მფლობელობას მხატვრული სინამდვილის კუთვნილებად ტოვებს და ისტორიას არ უკავშირებს), და ისიც გენიალური აღღოთი განჭვრიტა, - როგორ გადაეტანა პოემის ისტორიული შიფრის მაძიებელი მკითხველის ყურადღება ძირითადიდან არაარსებითზე.

ეს გზისამრევი სტროფები ქართული ზღაპრის გზაჯვარედინზე დადებულ წარწერიან ქვასა კვავს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით გზავნის ბედის მაძიებელ მკვარვს, ხოლო მიზნისკენ მიმავალ გზას კი მუქართ ნიღბავს: - ამ გზით წახვალ და უკან ვეღარ დაბრუნდებით.

4. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისთვის ლოგიკური არ არის „დასასრულის“ პირველი სტროფი:

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.

გარდახდეს, გაელეს სოფელი, - ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! -

ვის გრძლად აკონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.

ვწერ ვინმე შესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.“ (1665).

იგი მართლაც არ ესადაგება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს: პოეტი ვამის სიმუხთლეზე ვადაღებს, მაშინ როცა პოემის გმირთა ბრძოლა გამარჯვებით, ზეიმითა და ბედნიერებით დამთავრდა. ასევე ეჭვს ბადებს „ვინმე შესხი

მელექსის“ განცხადება: „ვწერ... რუსთველისად ამისა“-ო, მით უმეტეს, რომ პოემის შესავალში პოეტი თავის თავს დაბეჯითებით რუსთველს უწოდებს. ეს სტროფი ინტერპოლატორის ნახელადაც მიიჩნევა, მაგრამ პოემიდან მის ამოსაგდებად ხელი არავის აღუმართავს, რადგან გრძნობდნენ: - იგი ისე ორგანულად ერწყმის პოემის „დასასრულს“, რომ უიმჩროდ ირღვევა მთლიანობა, - თითქოს შენობას საძირკველი გამოაცალესო. ეს იმიტომ, რომ ამ სტროფს გენიოსის დამლა აზის და რვა საუკუნეა ქართველ ხალხს მესხეთში აგულებინებს პოეტის ფესვებს.

ახლა, როცა ჩვენს წინაშე წარმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ შენიღბული მხარე და თვალნათლივ დავინახეთ, თუ რა პიროვნულ ტრაგედიაზეა დაშენებული პოემის მხატვრული სიუჟეტი, გასაგები ხდება, ვინცა პეაეს მხედველობაში პოეტს, როცა ამბობს: „გარდახდეს, გავლეს სოფელი, - ნახეთ სიმუხთლე ეამისა“-ო.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე განზომილების მიკვლევამ ცხადყო, რომ პოემა დემნა ბაგრატიონის მიერ არის დაწერილი რუსთველის სახელით („რუსთველისად ამისა“); ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებული ფაქტია, რომ ბაგრატიონები წარმოშობით სპერის ოლქიდან არიან და სპერი ისტორიულად მესხეთია.

აღბათ, არც თამარის ეპოქაში, არც მომდევნო ახლო ხანაში არ გაურცვლებულა პოემის ხელნაწერი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თანამედროვეთაგან ბევრს შეუძლო ამოეცნო მასში დაფარული საიდუმლო; ამიტომ, ძნელი სათქმელია, - როდის დაიწყო მისი ტრიუმფალური სვლა საქართველოში.

ერთი რამ კი ცხადია: - „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავის მკითხველად მომავალ საქართველოს გულისხმობდა, - მომავალსა და მარადისს.

---

საწარმო-საკომპლექსო ვერტიკალური გვერდიანი „მეცნიერება“, თბილისი 380060,  
კუტუზოვის ქ., № 19

---

29/3



საქართველოს  
აქრონული  
ბიბლიოთეკა